

652 /
1958/2

625/2

4
1958

36

საქართველოს
საბჭოთა მთავრობის

საქართველო

შინაპარსი

ფრ. ხალვაში—მუხა და ქარი; შენ, სიყ-
მაწვილევ! წვიმა (ლექსები) 3

კ. ლორია—ორი დედა (მოთხრობა) . . . 6

ლ. ბელაძე—კვლავ იალაღი, შინ
(ლექსები) 22

ბ. შერვაშიძე—ისმაილბეი (მოთხრობა) . 24

ჟ. ჯაქელი—ციხის გაღვანთან (მოთხ-
რობა) 27

რ. ართილაძე—კაცის სვეტი (ლექსი) . 33

მ. ტაბიძე—ბავშვობის გახსენება
(ლექსები) 34

ი. რურუბა—ლამის ფრინველი (მოთ-
ხრობა) 35

ს. მარუაძე—დღეს, ხვალ თუ გუშინ
(ზღაპარი) თარგმნა შ. შუბლაძემ . 41

ჟ. უმღვი—პირველი ბავშვი (მოთხრობა)
თარგმნა ი. ფარეიშვილმა 43

უ. მუხომანი—მწვანე მთები (მოთხრობა) ინგ-
ლისურიდან თარგმნა მ. ჭიჭინაძემ . 51

ფ. მარტინი—ჰამალი ბავშვები (მოთხრობა)
თურქულიდან თარგმნა ნ. ბერიძემ . 56

დღეები და აღამიანები

ბ. ბელაძე—სიმამაცისა და გამბედაობის
გზაზე 58

აჭარის წარსულიდან

ნ. ახვლედიანი—ოთხმოცი წლის წინათ . 62

ტურისტის ჩანაწერები

ბ. ხაჩინაშვილი—რა ვნახე ექვს
ქვეყანაში 76

მწერლის არქივიდან


ტ. ტაბიძე—გაჭიანურებული მადრი-
გალი

7600

4

1958

**ივლისი
აგვისო**



ფ ო ლ კ ლ ო რ ი

ნ. ნოღაიდელი—ხალხური რევოლუციური
სიმღერები 86

კ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ა. მხითარია—ლასხიშვილის
ალმანახი 90

წიგნის თარო

ი. ძაშიბაძე—საინტერესო და სასარგებლო
კრებული 93



რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ნ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი),
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

ჰაიონ ნაღვაში

მუხა და ქარი

მიწაზე იყო სიჩუმე მყარი,
ხე იდგა, როგორც ლოდინში ქალი...
და შემდეგ ყური მე მივაპყარი,
თუ რას ამბობდა ფოთლებში ქარი:

„მუხავ, მე შენში ვიხილე სიტბო,
შენ მე თითებით ქოჩორს მივარცხნი,
ყველგან მე შენი ტრფიალი ვზიდო
და ნუ მენახოს მე შენი მარცხი.

ნატვრა ხარ ჩემი და მეფე ხეთა,
ზღვიდან მოსული სიმღერით გეძებ,
ქარი ვარ, მაგრამ შენ მაინც მხედავ
და გაშლილ ხელებს შემომავებებ.

და მარადისად შეუჩერები
შევდგები შენთან, დაგიხრი თავსა,
შემოგეხვევი უხილავ ფრთებით,
ეს გული მხოლოდ შენ შეგეთავსა.“

ასე ამბობდა ფოთლებში ქარი,
მაგრამ ხეს ერთხელ შემოჰკრეს ცული...
დღე იყო თბილი, დღე იყო წყნარი,
დღე, როს ყველაფერს სურს სიყვარული.

ხემ დააღეწა მკლავები მიწას
და გატილდა ვეება ველი,
მოვიდა ქარი, ყველაფერს მიწვდა,
მაგრამ არ შეხვდა ხე სასურველი.

და მოჰყვა ნაღვე ტოტებში ტირილს.
 ნადვლიან ხმაზე და გულის მწველად,
 შემდეგ, ვით სატრფომოკლული გმირი,
 გრიგალი რისხვით გაიჭრა ველად.

სახლს დაეჯახა, კოხიც დაყარა,
 და რადგან ტურფა ხე იწვა მკვდარი,
 წვიმა სისხლივით სდიოდა ყავარს,
 შურისძიებას გავდა ავდარი.

1958 წ.

შენ, სიყმაწვილევ!

რა იყავ მაინც შენ, სიყმაწვილევ!
 შენ მე რამდენსაც უფრო გცილდები,
 მახსოვს გამტყდარი ციგის საძირე
 და გაცვეთილი ღაზლის წინდები.

თოკის ქამარში წალდის გარჭობა
 და კურდღელივით აღმა სირბილი.
 ცეცხლს მთელი სული შემოხარჯოდა
 და არ იწვოდა ნედლი სირბილე.

თოვდა.
 ვითბობდი თითებს უბეში, —
 ვერ ვცილდებოდი ტყეს საღამომდე.
 მიკვირდა, ცა რად იყო უხეში,
 ან ასკილები რად არ ჰყვოდნენ.

დასველებული, მხრებჩამოყრილი
 მივადგებოდი კარებს ბინდისას.
 — სად იკარგები! — იყო ყვირილი —
 არ შეგაწუხა მაინც სინდისმა?!

შემდეგ ყველაზე ახლოს ბუხართან
 მე დამაჯენდა მაინც მშობელი;
 მას ქვეყანაზე ვინმე თუ ჰყავდა,
 მე ვიყავ სწორედ ის ახლობელი.

შემოიდგამდა მუხლზე იდაყვებს,
 მეტყოდა: შვილო, გრჩება ვალები...
 მე ავიღებდი მჭადის დიდ ნატებს
 და ყველის მწათხში ამოვავლებდი.

წ ვ ი მ ა

ყანები ავად გახადა გვალვამ,
 ბოლოს, როგორღაც მოვიდა წვიმა, —
 ჩამოიშალა ნაწნავი ქალმა,
 ქარში ალივით ავარდა ალვა,
 ქარმა სიმინღი გადააწვინა.

შცებ ყველაფერს მიეცა ფერი
 და მიაჩერდა ცას ყველაფერი.
 ხაპებზე მთვრალი ქვერები მიწვა;
 ღეროზე წვიმის წვეთები მღერის
 და პოეზიას სვამს ღედამიწა.



პაკიან ლოკია

ოთი დღეა

ერთ დღეს უცნობმა, ათი-თორმეტი წლის ბავშვმა ბარათი გადმომცა. სანამ კონვერტს გავხსნიდი, მომტანი სადღაც გაქრა.

ბარათი უცნობი ხელით იყო დაწერილი. მისი ავტორის — ნატო ოირაშვილის ვინაობაც ჩემთვის გამოცანას წარმოადგენდა.

„პატივცემულო სახდრო, — მომმართავდა უცნობი ავტორი. — ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ ჩემს დღეში მყოფ ადამიანს ყველაფერი ეპატიება და თქვენც უნდა მაპატიოთ. ძალიან გთხოვთ, რამდენიმე წუთი დაკარგოთ და მინახულოთ“.

სახელისა და გვარის შემდეგ მიწერილი იყო მისამართი და ბინის ნომერი. გამიკვირდა.

ვინ უნდა იყოს ეს ნატო ოირაშვილი? ყველა ძველი და ახალი ნაცნობ-მეგობარი მოვიგონე, მაგრამ ამ სახელ-გვარისა ვერავინ აღმოვაჩინე.

— ვილაც ცელქობს, — გავიფიქრე მე, — იცის ხოლმე ზოგიერთმა უსაქმურმა ახალგაზრდამ ამ გზით ამხანაგის გაცურება. რომელიმე ნაცნობი ქალიშვილის სახელით ბარათს გაუგზავნის, პაემანზე მიიწვევს და საათობით აყურყუტებს, გულუბრყვილო ახალგაზრდას, მაგრამ მე არც ასეთი ვინმე მეგულებოდა ჩემს ნაცნობებს შორის და არც იმ ასაკში ვიყავი, ჩემი გათამაშება გაებედნათ.

ბარათი მეორედ წავიკითხე და გადავწყვიტე მენახა მისი ავტორი.

სახლს, რომლის მისამართი ბარათში ეწერა, ადვილად მივაგენი. იგი ქუჩიდან მოშორებით, ეზოს სიღრმეში იდგა. ეტყობოდა, რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა აქ ჩადგმულ სახლებში, რადგან მთელი ეზო ბავშვებით იყო საესე-უცნობი ძიას შესვლა უცებ შენიშნეს, ცნობისმოყვარეობით დამიწყეს ცქერა. ერთი გოგონა, რომელიც სხვებზე უფროსი ჩანდა, სწრაფად მოიჭრა ჩემთან და მორიდებით მკითხა:

— ვინ გნებავთ, ძია?

დავუსახელე, ვისაც ვეძებდი.

— იმ ოთახში ცხოვრობს, — მანიშნა ხელით. — წამობრძანდით. — წინ გაშიძღვა.

უცნობის ბინა ერთი ოთახისაგან შედგებოდა, ეზოსაკენ ორი ფანჯარა და ერთი ცალფა კარი ჰქონდა. უკანასკნელი ღია იყო და ოთახის მორთულობა მთლიანად ჩანდა.

— მობრძანდით, ბატონო, — კარებთან შემომეგება ოცი-ოცდაროი წლის ლამაზი ქალი. მას ხელში ფუნთუშა ბავშვი ეჭირა.

ქალს მივესალმე და დაკვირვებით შევათვალიერე. ვერ ვიცნობდი, არასოდეს არ მენახა და არც შეიძლებოდა ის მიმეჩნია წერილის ავტორად.

კარებთან გავჩერდი.

— მობრძანდით, ბატონო, სახლში მობრძანდით! — შემიპატიჟა. — ვერ წარმოიდგენთ, ნატოს როგორ სურს თქვენი ნახვა.

— ნატოს? — ჩავილაპარაკე და ოთახში შევედი.

კედელთან მიდგმულ ტახტზე იწვა ფერწასული, მისუსტებული ქალი. თხელ საბანში გარკვევით მოჩანდა ამ არსების უსისხლ-ხორცო ჩონჩხი. სახეზე თეთრი დოღბანდი ეფარა.

— ესლახან მიიძინა, — წამჩურჩულა ქალმა, როცა შემატყო უხერხულობას ვგრძნობდი. შემდეგ ბავშვს გადახედა.

— გადი, შვილო, ეზოში ითამაშე. ხომ ხედავ, დედას ძინავს... თქვენთან ბოდიში, ბატონო! დაბრძანდით, ხანგრძლივი ძილი არ იცის მაგ საბრალომ, მალე გამოიღვიძებს.

იატაკზე მჯდომმა ბავშვმა თავი გაიქნია: „არ წავალ, დედასთან მინდაო“. ძალაც არავის დაუტანებია. მე კი ფრთხილად ჩამოვჯექი სკამზე და სულისთქმაც შევანეღე.

— ეს ორი დღეა ძალიან დასუსტდა, ბატონო, — ჩურჩულით დაიწყო ქალმა. — ყველა თავისიანის ნახვა მოისურვა. რამდენჯერმე მოვიგონათ. ძალიან ერიდებოდა თქვენი, მაგრამ ბოლოს გაბედა. დიდად დაგვავალეთ, რომ მობრძანდით...

ქალი ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა. ხანდახან შეჩერდებოდა და შემომხედავდა. თუ ფიქრობდა, იქნებ სურს რაიმე მკითხოსო, მაგრამ მე ენაჩავარდნილი ვიჯექი. სათქმელი მქონდა, შესაკითხი და გასარკვევიც, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. უპირველეს ყოვლისა, მსურდა გამეგო ავადმყოფის ვინაობა, რით არის ავად და რამდენი ხანია. კიდევ ბევრი რამ ჩანდა საინტერესო, მაგრამ ჩემგან ეს უხერხული იყო. მომვლელი ქალის თქმით, მე ნატოს მეგობარი ვარ, ჩემს ნახვას ნატრობდა. მაშასადამე, უნდა ვიკითხო ის, რაც უნდა ვიცოდე? სირცხვილია. ამიტომ ვდუმვარ და ვფიქრობ.

მომვლელი ქალი ცდილობს არ მომაწყინოს. ჩურჩულით ათას რამეს მიყვება. ხან ცხელ ზაფხულს ემდურის, ცუდად იმოქმედა ყანებზე, ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფისათვის ხომ სულ აუტანელია ასეთი ცხელი დღეებიო. შემდეგ საკოლმეურნეო წყობაზე გადადის, აინტერესებს ეს ახალი წამოწყება, თუმცა მის არსში ჯერ კიდევ ვერ ერკვევა ხეირიანად. სიძნელეებზეც არ დუმს. სუსტ ხელმძღვანელებსაც არ ინდობს, ეშმაკურად გადაჰკრავს ხოლმე მათ და მე შემომხედავს, თუ მიძიხვდაო. გურიაში იციან ასე ქარავმებით ლაპარაკი. ხშირად ისეთ რამეს დავადასტურებინებენ, რომელიც აშკარად შენს გასამართახებლად მოიგონეს.

ეტყობა განათლებული, მახვილი გონებისა და ენაწყლიანი ქალია. ლაბარაკობს გურული აქცენტით, მაგრამ წმინდა ქართულით. აცვია უბრალოდ, მოხდენილად, ცოცხალი სახე და ეშხიანი თვალები აქვს, ენაც ტკბილი და ხარნარი. ადვილად შეუძლია მამაკაცი გაიტაცოს. სქელი ტუჩები, რომელსაც ღია ლალისფერი დაჰკრავს, კიდევ უფრო აშშვენებს ამ უბრალოდ ჩაცმულ ქალს. რაც უფრო ვუკვირდები, მით უფრო მხიბლავს მისი სინატიფე.

ენაწყლიან მასპინძელს სალაპარაკო შემოეღია, ან იქნებ მობეზრდა მუნჯ თანამოსაუბრესთან ჩუროჩული და გაჩუმდა.

ვდუმვარ. დუმს პატარა ბიჭიც, ტახტთან იატაკზე რომ ზის და რეზინის მამალს ათამაშებს. დუმს ახალგაზრდა ქალის კალთაში ჩაწოლილი ფუნჩულა ბიჭიც, მაგრამ მას უკვე ჩაძინებია დ ეს არის მისი დუმილის მიზეზი.

ავადმყოფმა ბევრი არ გვალოდინა. სუსტი ხმით ამოიკვნესა, ჯოხებად-ქცეული ხელები, გულზე რომ ეწყო, ასწია, თხელი საბანი მკერდიდან დაიცურა და დოღბანდს ქვემოდან ორი შავი თვალი აციმციმდა.

— ნატო, გაიღვიძე? — სწრაფად წამოხტა მომგლელი ქალი, კალთაში ჩაძინებული ბავშვი იქვე გაშლილ ჭილოფზე მიაწვინა, ავადმყოფთან მივიდა, ოფლდაყრილი შუბლი მოწმინდა.

— ნატო, გამოიხედე, გენაცვალე, ნახე ვინ გვესტუმრა!

ავადმყოფმა თვალები ჩემკენ შემოაბრუნა, შემომხედა, თავი ოდნავ წამოსწია და გაძილიმა. გაძილიმა-მეთქი ვამბობ, მაგრამ ეს გაღიმების სურვილი იყო ძხოლოდ.

— მაპატიეთ, რომ შეგაწუხებთ, — ნაღვლიანად ამოილაპარაკა მან. — ჩემს დღეში მყოფ ადამიანს ასეთი რამ არ გაემტყუნება. — წამოჯდომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და კვლავ ბალიშზე დაეშვა.

— გთხოვთ, ნუ მეზობლიშებით. იწექით მშვიდად, — ვუთხარი მე, სკამი საწოლთან მივიტანე და სასთუშაღთან ჩამოვჯექი. მომგლელმა ქალმა ბალიშების მოძატებით თავი უფრო მაღლა წამოაწვინა და სახე სველ ტილოთი მოუწმინდა.

— სხვა, რას შვრებით? როგორ ბრძანდებით? — ამ გაცვეთილი სიტყვების მეტი ვერაფერი ვიპოვე.

ავადმყოფმა პასუხის ნაცვლად ამოიოხრა და გაცრეცილი ტუჩები ააცმაცუნა. ეს იყო ჩემი უადგილო შეკითხვის პასუხი: ასეთ დღეში მყოფ ადამიანს ამგვარ შეკითხვას არ აძლევენო.

შემრცხვა. მართლაც, როგორი შეკითხვა გამომივიდა, განა არ ვხედავ, რა ცუდად არის? მაგრამ უკეთესი სიტყვა ვერ ვიპოვე.

— თქვენ, ალბათ, გაგიკვირდათ, ვინ არის ეს გონებასუსტი დედაკაცი, ასე ურცხვად რომ მისმობსო, — ამოიღო ხმა ავადმყოფმა და მოქანცული თვალებით ამომხედა.

— რას ბრძანებთ, — მომეცა ამეტყველების საბაბი. — რა დიდი დავალება ეს არის... თუმცა, რაც უნდა დამავალოთ... დიახ, რასაც დამავალებთ, ყველაფერს შევასრულებ. — ვლაპარაკობ იმ დამნაშავესავით, რომელიც ოღონდ მომაბეზრებელი დაკითხვებისაგან გაათავისუფლე და ყველაფერზე ხელს მოაწერს.

ქალმა მწარედ გაიღიმა (მე მაინც ღიმილს ვარქმევ მისი ბაგეების იმგვარ ამოდრავებას).

— თქვენთვის ჯერ ძველი ვალიც არ გადამიხდია, მაგრამ მაპატიეთ, თუ ვინმე გადაგიხადეთ, ჩემს შალხაზს დავაფალებ გადაგიხადოთ, — და ავადმყოფმა იატაკზე მჯდომ ბავშვს გადმოხედა.

პატარა ისევ რეზინის მამალს აწვალვდა.


— მაპატიეთ, მაგრამ, ალბათ, გეშლებათ. ჩემგან დავალებული თქვენ... ფრთხილად შევაპარე ცქერა, იქნებ ვინმე ნაცნობთაგანია და ვერ ვცნობ-მეთქი. ავადმყოფმა ეს შემატყო და მომეშველა.

— ხშირია შემთხვევა. — მშვიდად დაიწყო მან. — როცა ადამიანები ერთმანეთს ხედებიან ქუჩაში, თეატრში, ბაღში, კრებებზე, საღამოებზე, ზოგჯერ ესაღმებთან კიდეც, მაგრამ ერთმანეთის ვინაობა არ იციან, გვართა და სახელით არ იცნობენ. ან კიდეც ერთი იცნობს და მეორე ვერა. განმასხვავებელი ღირსებაც არის. ერთი სიტყვით, მე მინდა ვთქვა, რაიმეთი გამოირჩევა ერთი მეორისაგან. ამ შემთხვევაში ბოროტი ადამიანიც სარგებლობს ერთგვარი უპირატესობით. მასაც იცნობენ სახელითა და გვარით, იციან, ვინ არის და რა შინაარსისაა. შეიძლება კეთილ და საზოგადო მოღვაწე ადამიანებს მეტი ნაცნობი ჰყავდეთ, მაგრამ ამაში არის განსხვავება. პირველს იცნობენ და უფრო თხიან, გაურბიან, ერიდებიან მასთან სიახლოვეს და ურთიერთობას. მეორეს კი აღტაცებითა და სიხარულით ეგებებიან, მის ირგვლივ იკრიბებიან, მასთან დაახლოებას ლაძობენ. თქვენ ამ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით. როცა ქუჩაში დავინახავდით, გული სიამით დამიწყებდა ძვერას. საამაყოდ მიმაჩნდა, რომ გიცნობდით, გიცნობდით-მეთქი, თქვენი სახელი და გვარი ვიცოდი. თქვენ, ალბათ, ყურადღებაც არ შოგიქცევიათ ჩემთვის. ერთხელაც არ გაგივლიათ გულში, ვინ არის ეს გოგონა, ყოველი შეხვედრისას რომ გამიღიმებს და მესალმებაო. არც ჩემი სახელით დაინტერესებულხართ, არც გვარით. შე კი მუდამ იმას ვცდილობდი, თქვენი ყურადღება მიმეპყრო და გამეცნეთ. ამის მიღწევას ვფიქრობდი წარჩინებული სწავლით, საზოგადო საქმიანობაში ჩაბმითა და ენერგიული მუშაობით. ამიტომ იყო, კომკავშირის რიგებში შესვლისთანავე რომ გავაკვირვე ყველა ჩემი აქტიურობით. მაგრამ მალე მოვწყდი ყველაფერს. ბავშვური ოცნება — გამოვსულიყავ სასახელო ადამიანი, ოცნებადვე დარჩა. კარგი სახელით ვერ დავიშასახურე თქვენი და თქვენისთანა ადამიანების ყურადღება, აბა ცუდი სახელი თქვენამდე ზომ ვერ მომიყვანდა... რაც ჩემი მოკლე სიცოცხლის მანძილზე ვერ გავაკეთე, იმის შესრულება დღეს განვიზრახე. იძულებით მინდა გავაცნოთ თავი და ჩემი სათხოვარიც გადმოგცეთ... მაპატიეთ...

— მახრჩობს ეს წყეული და ვერც დამახრჩო. — წარმოთქვა ხველების ოდნავ შეწყვეტის დროს და სახე დაუმუწხრდა.

— ნუ ღელავ, შემოგვევლე! — ალერსიანად უთხრა მომვლელმა ქალმა, მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა. — დღეს ვიკმაროთ ამდენი საუბარი. პატივცემულ სანდროს ვთხოვ არ დაგვამადლოს მეორედ მობრძანება.

— ერთხელ რომ გავბედე და შევწაწუხე, მაშინაც დიდი დანაშაული ჩავიდინე. — ჩახლეჩილი ხმით ამოილაპარაკა მწოლიარემ. — მეორეჯერ როგორ უნდა გავთავხედდე ასე. — სუსტად ამოისუნთქა და იქით-აქეთ გადაყრილი ხელები გულზე დაიკრიფა. თვალებიც რომ დაეხუჭა, მიცვალბულს დაემსგავსებოდა, დიდი ხნის მიცვალბულს, რომელსაც ხორცი გამოლევიდა და ტყავშემოხვეული ჩონჩხიდა დარჩენილა.



— მაგაზე ნუ იფიქრებთ. თუ თქვენთვის სასიამოვნო იქნება, როცა ისტორიები, მაშინ მოვალ. ჩემთვის ეს დავალება მეტად საპატიო იქნება და, გთხოვთ, ნუ მომერიდებთ. პიქსახურეთ როგორც ძმა, მოკეთე და ნათესავი. — ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოვთქვი, რომ მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა უმადურობა იქნებოდა. — დიახ, დამავალეთ ყველაფერი, რაც საჭიროა. ექიმების მოწვევა, წამლების შოვნა... იქნებ სახარჯოც გჭირდებათ. — და ჯიბისაკენ წავიღე ხელი, მაგრამ მომვლელმა ქალმა შემაჩერა.

— მადლობელი ვართ, — თქვა მან. — დახმარება არ გვაკლია. ექიმები ხშირად დადიან, წამლებსაც ვმოულობთ, სახარჯოც გვაქვს. ახლა ორთვიან საგზურს დაგვიბრდა პროფკავშირის თავმჯდომარე. აბასთუმანი ძალიან არგებსო, ამბობენ. თუ შევატყვევ, რომ მოუხდა, კიდევ შევუძენ საგზურს. ნეტავ, თავის დროზე მიეხედა ასე თავისი თავისათვის. რა სჭირდა ახალგაზრდა, ჯანდონით სავსე ქალს გასაუბედურებელი. ჩვენს დროში უამრავი საშუალებაა მაგ წყეული სენის მოსასპობად და ადამიანის გადასარჩენად. ახლა კიდევ რაღაც ახალ პრეპარატს შემპირდნენ, ყოველდღე ველოდები, მაგრამ საჭიროა ცოტა თავის თავსაც წამოუძახოს, მუდამ სიკვდილზე ფიქრი ჯანმრთელ ადამიანს დაადნობს. რა სჭირს, ბატონო, მაგას სასიკვდილო, მოვლასა და ექიმობა-წამლობას მასეთი სნეული მოურჩენია? ამის მაგალითი რამდენიც გნებავთ, იძღენია.

— რასაკვირველია, რასაკვირველია. — იმედინად წამოვიძახე მე. — რამდენი მინახავს საკუთარი თვალით. — და სახელდახელოდ შევთხზე ამბავი: — ერთი ამხანაგი მყავდა. იგი ნატოზე ცუდად იყო, წარმოიდგინეთ, ლაპარაკიც არ შეეძლო, ვერც ჭამდა და ვერც სვამდა, თვალეზშიც სინათლე გამოეცლია, მაგრამ...

— განიკურნა? — შემომხედა ავადმყოფმა.

— ისე ყველა ჩვენი კეთილისმდომელი განკურნებულა. ოთხი თვით აბასთუმანში ყოფნამ სავსებით გამოაჯანმრთელა. ახლა დედალს სჭამს ჯერზე... ცოლიც შეირთო და შვილებიც ჰყავს.

— ორთვიან საგზურს მომცემენ, მაგრამ... — თვალეზში შუქი ჩაუდგა მომაკვდავს.

— ოღონდ გარგოს და ექვსთვიან საგზურს შეგიძენ, შენ შემოგველოს ჩემი თავი. — არ დააყოვნა მომვლელმა ქალმა. — რომ არგებს და განკურნავს, ამამი დარწმუნებული ვარ. ახლა არ ბრძანეთ, მომაკვდავი მოარჩინაო? ვერც ჭამდა და ვერც სვამდაო? მადლობა ღმერთს, ჩემი ნატო მასეთ დღეში არაა. ჭიქა რძესა და ცოტაოდენ ნამცხვარს ყოველდღე გეახლებათ.

— მადას ვერ დავმედურები, ბატონო. — დაუდასტურა ნატომ და შევატყვევ, რომ ამ აშკარა ტყუილითაც ინუგეშა თავი.

— ჰოდა, მაშასადამე, საქმე კარგადაა. — ღიმილით გადავხედე ნატოს. — რამდენიმე თვის შემდეგ სანატორიუმიდან ჯანმრთელად დაბრუნდებით, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და... მაგრამ კარგი სუფრის გაშლა მოგიწევთ. თამალობა უთუოდ მე უნდა გავწიო.

— ნეტავ იმ დღეს! — ჩაილაპარაკა მომვლელმა ქალმა. — ჩემს ნატოს ფეხზე მდგომს შევხედავდე და არაფერს არ დავიშურებ. დიდი ზეიმის გადახდასაც არ დავიშურებ.

— მაგრამ თამადა იმ ზეიმზეც მე უნდა ვიყო.

— უთუოდ, უთუოდ, — გახალისდა ნატო. ოდნავ თავიც კი წამოსწია და მიწოდებული რძე შესვა.

ნაძალადევი ხუმრობაზე სამივემ ნაძალადევად გავიციინეთ. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ერთმანეთს ვატყუებდით, მაგრამ ასეთი ტყუილი საჭირო და სასარგებლო იყო ჩვენთვის და ამას შეგნებულად ჩავდიოდით. ერთს ვფიქრობდით, მეორეს ვამბობდით, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავდით და არ ვთაკილობდით.

— მაშ შევთანხმდით, — წამოვდექი მე. — ხვალ ამ დროს, გნებავთ უფრო ადრე, ან უფრო გვიან, როგორც თქვენ ისურვებთ, კვლავ გეახლებით და...

ამ „და“-ს იქით არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა. „ვისაუბროთ“, „ვიბაქროთ“ თუ რა? როგორც ვხედავდი, ნატოს არაფრის თავი არ ჰქონდა. ყველაფერი ზედმეტი და მავნე იყო მისთვის, მაგრამ მისი სურვილი მის შესაძლებლობას როდი უწყევდა ანგარიშს.

— დიდად დამავლებთ, თუ მობრძანდებით და მინახულებთ. — ვედრებით მთხოვა ავადმყოფმა. — დღეს ვერ შევძელი იმის თქმა, რასაც ვფიქრობდი. მაპატიეთ. თქვენს წინაშე ძალიან დამნაშავე ვარ. მართალია, ადამიანი ფუთით არ იყიდება, მაგრამ... ვერ შეგკადრეთ. რამდენჯერმე კი მქონდა გადაწყვეტილი. ვინ იცის, რა შთაბეჭდილება დავტოვე თქვენზე.

— არაფერი მესმის! — გულწრფელად გავიოცე.

ავადმყოფმა კეთილად შემომხედა.

— დავიჯერო, მართალს ბრძანებთ?

— სინდისს გეფიცებით.

— არა მგონია, ადამიანის უღირსი საქციელი ასე ჩქარა დაივიწყოს კაცმა. მატარებლის ბილეთი რომ ავალებინეთ და საფასური არ მოგართვით. — ავადმყოფმა თვალები წუთით შეასვენა, მაგრამ უმაღვე გაახილა.

— აღარც ახლა მოგაგონდათ?

— მაპატიეთ. არაფერი მახსოვს. ვეცდები კი მოვიგონო. მეორედ რომ გეახლებით, მაშინ მოგახსენებთ ყველაფერს.

— ძალიან გთხოვთ, ჩემი გულსათვის ძვირფას დროს ნუ დაკარგავთ. როცა მოიკალათ, მაშინ მობრძანდით. წერა შემეძლოს, სათქმელს იმის საშუალებით გეტყოდით, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ გამომთიშა ცხოვრებას წყუღმა სენმა.

— ნუ გეშინიათ, გულს ნუ გაიტეხთ! იფიქრეთ სიცოცხლესა და განკურნებაზე. ხომ იცით, ძლიერი სული და ნებისყოფა ყოველგვარ სიძინელესა და სენს ძლევს და ამარცხებს. ნახვამდის, ხვალ უთუოდ მელოდეთ.

* * *

რკინიგზის სადგურში ბილეთის სალაროსთან ვიდექი. ხალხი ბლომად ირეოდა და რიგიც საკმაოდ გრძელი იყო. ახალმოსულთ საეჭვოდ ეჩვენებოდათ მატარებლის მოსვლამდე ბილეთის შეძენა და ლელავდნენ. რიგში მდგომთ სთხოვდნენ დახმარებას და ბილეთის ფულს აწვდიდნენ, მაგრამ რიგის უკანა ნაწილი პროტესტს აცხადებდა. ყვიროდნენ, ხმაურობდნენ: ბილეთის აღება თუ გსურთ, რიგში ჩადგომასაც ნუ უკადრისობთო. მაგრამ ზოგი მაინც ახერ-

ხებდა საქმის მოგვარებას. რიგში მდგომ რომელიმე ნაცნობს მოძებნიდა თვალთ ანიშნებდა, ბილეთი ამიღე, ფულს მერე მოგცემო.

აი მივუახლოვდი სალაროს და ვიღაც ქალის ხმა მესმის.

— პატივცემულო სანდრო, თუ შეიძლებოდეს ერთი ბილეთი... — და ქალი ხელჩანთას ხსნის, ალბათ, ფული უნდა ამოიღოს, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ უკანა რიგიდან არ დაანება ჩემთან მოახლოებუ და საბრალო ქალი იქაურობას მოაშორა. მე კი ყველამ შემომიტირა, არავის ბილეთის აღება არ იკისროთო და მუქარაც წამოვიდა. მე ისინი დავამშვიდე, მაგრამ მაინც ორი ბილეთი შევიძინე.

რიგიდან რომ გამოვედი, საბრალო ქალი თვალთ ეძებდა სხვა მშველელს.

— თქვენთვის ბილეთი უკვე ავიღე, — ჩუმად ჩავუღალაპარაკე ქალს, გვერდით რომ ჩავუარე. — შეგიძლიათ წამობრძანდეთ ბაქანზე.

ქალს სახე გაუნათდა. ბაქანზე გამოსვლამდე ხმა არ ამოუღია, მაშინ კი მადლობა გადამიხადა, მაგრამ ხელჩანთის გახსნა არც უფიქრია.

— ძუძუმწოვარა ბავშვი მყავს დატოვებული და ახლა რომ არ წავსულიყავი, დავიღუპებოდი. — თქვა მან ისე, რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს.

მატარებლის მოსვლამდე ჩვენ რამდენჯერმე ავიარ-ჩავიარეთ ბაქანზე, მაგრამ შეტწილად ვღუმიდით. ჩემი თანამგზავრი ხშირად ამოიოხრებდა, რალაცის თქმსაც მოიწადინებდა, მაგრამ არას ამბობდა. არ ვიცი, ვერ ბედავდა თუ ერიდებოდა. არც მე ვაძლევდი გასაუბრების საბაბს. არ ვიცი, რატომ ვიჩენდი ასეთ გულგრილობას ახალგაზრდა და საკმაოდ ლამაზი ქალისადმი. ფიქრებში ვიყავი გართული. ვფიქრობდი ამ ქალზე, ვინ არის ის და საიდან ვიცნობ მას? ან როდის შევხვედრივართ ერთმანეთს და რა პირობებში?

ვერ მოვიგონე. მაგრამ დაიცა, ეს ხომ ის გოგონაა კომკავშირის კრებებზე ისე აქტიურად რომ გამოდიოდა, ყოველი შეხვედრისას ღიმილს რომ შემომავებებდა და მომესალმებოდა? როგორ არა, მე მას ვიცნობ. დიახ, დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ მისი სახელი და გვარი რომ არ მახსოვს? არასოდეს არ დავინტერესებულვარ ახლო გაცნობით, თუმცა კი იყო ამის ღირსი. სხვა რომ არ იყოს, მის გარეგნობასა და სინატიფეს უნდა მოეხდინა გავლენა ჩემი ასაკის მამაკაცზე. ლერწამივით აშოლტილი ტანი, პატარა და ლამაზი სახე, მიმზიდველი თვალები და ეშხიანი მიმოხრა. ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობდა, რომ იგი საკითხავი ქალიშვილი იყო, მისი გაცნობით უნდა დაინტერესებულიყვნენ.

ეს იყო სამიოდე წლის წინათ, როცა იგი ახლადკურსდამთავრებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოიჭრა და ახალგაზრდული სიცოცხლე და სიახლლე შემოიტანა. ყოველთვის აღუფრთოვანებია მისსა და მისთანების მჩქეფარე მისწრაფებებს, მახარებდა ჩვენი ახალგაზრდობის ასეთ რჩეულთა გამოჩენა და, რადგან ყველა ერთნაირად საყვარელი იყო ჩემთვის, ცალკეული მათგანის გაცნობა მაინცადამაინც არ მაინტერესებდა.

კარგად, დაკვირვებით შევათვალე ჩემი თანამგზავრი. იგი კვლავ ლამაზი და კეკლუცი იყო, მაგრამ ბევრი რამ დაეკარგა მის მშვენიერებას. სახე გაცრეცოდა, თვალებში ნალველი ჩასახლებოდა, მიმოხრაშიც ეტყობოდა მოდუნება და სიზანტე.

„ნუთუ ქმარ-შვილიანობამ ასე მალე დაასვა დალი?“ — გავიფიქრე, უთანასწორო ქორწინება თუ ჰქონდა, ვინმე მოხუცი შეხვდა, ან მეტად ახალგაზრდა

და რეგენი. ან იქნებ ვინმესთან... მაგრამ არა, ასე რომ იყოს, ჩემთან არ გაამხელდა, შვილი მყავსო. მაშასადამე, უკანასკნელი ვარიანტი მოხსნილია და, უნდა ვიფიქროთ, თუ ამ ქალის ამგვარად შეცვლა დაქორწინების მიზეზია, მაშინ ბრალშია ოჯახური უსიამოვნება. ეს კი უსათუოდ უნდა შევიტყო. დიახ, უნდა შევიტყო, რამ გამოიწვია ამ მხიარული და ცქრილა გოგონას ასე უდროოდ დაქალება და მოხუცება?

ჩემი ფიქრები ორთქლმავლის საყვირის ხმამ გაფანტა.

მგზავრები აფუსფუსდნენ, აირ-დაირივნენ. ჩემი თანამგზავრი ძლივს შეგსვი კიბის საფეხურზე, საიდანაც ხალხის ტალღამ ვაგონში შეატურა. მე კი ბოლო ვაგონს გავყევი.

იმის შემდეგ არ მინახავს. ზოგჯერ გამახსენდებოდა, მომინდებოდა მასთან შეხვედრა, უფრო ახლოს გაცნობა, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვახერხებდი. მისი სახელის გაგება სულითა და გულით მინდოდა, მაგრამ გავიდა ხანი და ამ სურვილმაც გამიარა. რომ ეს შემთხვევა არა, სამუდამოდ დავიწყებას მიეცემოდა.

დღეს, როცა ეს-ესაა დავბრუნდი ჩემი იძულებითი ვიზიტიდან, იმ ქალის ვინაობა უკვე ვიცოდი. მას ნატო ჰქვია, მისი გვარია ოირაშვილი, ცხოვრობს ამა და ამ ქუჩაზე ამა და ამ სახლში, ჰყავს სამი-ოთხი წლის ვაჟი, ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფია, ჭლეჩით არის დასნეულებული. თავს ადგას და უვლის მეტად კეთილი ქალი, დაი უნდა იყოს, თუმცა მათ შორის ოდნავი მსგავსებაც არ არის. საინტერესოა კი იყო გამეგო. ქმრის შესახებ არაფერი ვიცი, მათ არ უთქვამთ და მეც არ მიკითხავს. ხვალ ყველაფერი უნდა გამოვკითხო და გავიგო. საქმე ისაა, ლაპარაკი თუ შეძლო. დღეს ძალიან სუსტად იყო. ნეტავ შეიძლებოდეს სასწაულის მოხდენა, საკუთარ სიცოცხლეს არ დავიშურებდი მის გადასარჩენად. სასიკვდილო ადამიანი ყველა ცოდო და შესაბრალისია, მაგრამ უფრო გულსაწვავია ის მომაკვდავი, რომელიც თავისი უკანასკნელი წუთის მოახლოებას გრძნობს და შველს ითხოვს, ან სხვებს იბრალებს და თავის თავს არაფრად აგდებს. რა შეგიძლია უთხრა ასეთ ადამიანს? რით უნდა დაამშვიდო და გულიც მოიოხო?

არა, არ მინდა ამაზე ვიფიქრო. ამ უსასრულო მსჯელობით თავი გავიბრუნებ, ძილი გავიტეხე და მოვიქანცე. სჯობს, აღარასოდეს არ ვიფიქრო სიკვდილზე.

მეორე დღეს მისვლა დამიგვიანდა და ნატო შეწუხებული დამიხვდა.

— მეგონა დამივიწყებდით. — მითხრა მან, როცა დავგვიანებისათვის ბოლოში მოვიხადე.

— როგორ გეკადრებათ. დასავიწყებლად მემეტებით? ცოტაოდენი საქმე გაძიხნდა და...

— თუ ხატრი გაქვთ, ჩემი გულისათვის ნუ მოცდებით. დღეს შედარებით უკეთ ვარ და, ვინ იცის, იქნებ ბედმა კიდევ მარგუნოს თქვენთან შეხვედრა და საუბარი. იქნებ არც ისე ადრე მოვკვდე, როგორც ფიქრობ.

— თქვენ მართალს ამბობთ, გუშინდელთან შედარებით მართლაც უკეთ ხართ. იმედია, ხვალინდელი დღე უფრო გაგვახარებს. მე მზადა ვარ თქვენი ყველა დავალება და თხოვნა შევასრულო, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ სიკვდილზე ფიქრს თავი დაანებოთ, მასზე ლაპარაკი სამუდამოდ აღკვეთოთ. ადრე თუ გვიან, იგი ყველა ჩვენგანის არასასურველი სტუმარია და ამიტომაც დავიწყოთ იგი. თქვენ ის მითხარით, წამლებს თუ იღებთ თავის დროზე?

— რასაკვირველია.

— საქმელიც კარგად მიიღო, ბატონო. — მითხრა მომვლელმა ქალმა, რომელიც უსაზღვროდ კმაყოფილი იყო დღევანდელი დღით.

— მართალია, უკეთ ვჭამე. ალბათ, თქვენმა გუშინდელმა ვიზიტმა იმოქმედა. — ღიმილმა გაუპო ბაგე ავადმყოფს.

— გასაგებია, პატივცემულო ნატო. — ავყევი ხუმრობას. — მე რომ ავადმყოფს ვნახავ, იგი არათუ მალე მორჩება, არამედ არასოდეს აღარ გახდება ავად.

ჩვენმა მხიარულმა საუბარმა, გახუმრება-გაცინებამ პატარა ბიჭის ყურადღებაც მიიპყრო. იგი ახლა რეზინის მამლის ნაცვლად თუნუქის კოლოფს ათამაშებდა. როცა შენიშნა მუდმივი ოხვრა-კვნესის მაგიერ მხიარული განწყობილება იღვა, შუბლი გაეხსნა, თუნუქის კოლოფი იქით მიაგდო, წამოდგა, დედის საწოლთან მივიდა, თავთან დაუდგა და სიყვარულით დაუწყო ცქერა.

— ახლაც შეგიძლიათ დაიფიცოთ, რომ ჩემი მაშინდელი საქციელი ვერ მოიგონეთ? — კვლავ გუშინდელი გაიხსენა ნატომ.

— არ ვიცი, რა საქციელზე ბრძანებთ?!

— ბილეთი რომ ავადებინეთ და საფასური არ გადაგხადეთ!

— კარგი, თუ ღმერთი გწამთ. ნუთუ ასეთი მცირე რამ ღირს მოსაგონებლად, მით უმეტეს სალაპარაკოდ.

— თუნდაც ასე იყოს, მაგრამ მე მინდა გავიგო, თუ გაიხსენეთ ის შემთხვევა?

— გაიხსენე, — მივუგე მე. — თქვენი ვინაობა რომ დამედგინა, მხოლოდ იმისათვის დამჭირდა მისი გახსენება.

— და მაშინ მოგაგონდით, მიცანით?

უხერხულობაში ჩავვარდი. მეთქვა, გიცანით-მეთქი, ტყუილი იქნებოდა, ხოლო ასე მოკლედგახიანი ტყუილის თქმა ამყამად არ გამომადგებოდა.

— როგორ გითხრათ. — გადავწყვიტე აშკარად მეთქვა. — მე თქვენ გიცნობდით, გამორჩეული მყავდით, შევხაროდი და შეგნატროდი თქვენს სილამუსსა და სინატიფეს. მუდამ მოლიმარსა და ეშხით სავსე თვალებს, უწყინარ სიანცეს, მაგრამ...

— ჩემი ვინაობა არ იცოდით! — შემატყო, რისი თქმაც მეუხერხულებოდა.

— გამოგიტყდებით, სწორია. არ ვიცოდი თქვენი ვინაობა, მაგრამ მახარებდა თქვენი მუდამ ხალისიანი და მხიარული შეხვედრა. ვიცოდი, რომ სხვებთან ერთად აქტიურად ჩაებმებოდით ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საქმეში, შექმნიდით ოჯახს, დაზრდიდით შვილებს და ადამიანის ყველა კეთილშობილურ მოვალეობას მოიხდიდით. ვინ იყავით, რა გვარი და რას გეძახდნენ, ეს მაშინ ჩემთვის სულერთი იყო. შეიძლება იმიტომაც, რომ პირადად ჩემთვის მიუწვდომელი იყავით... — უნებლიედ წამოვწითლდი და მასაც უცებ აუფერადდა უსიცოცხლო ლოყები.

— ვერ წარმოვიდგენდი, ქათინაურები თუ გეხერხებოდით, — თქვა მან ისე, რომ სახეზე მოდებული ალისფერი არ მოშორებია. მისმა თვალებმა ამ დროს ერთხელ კიდევ ამოისროლეს ის ნაპერწკალი, რომელიც ადამიანის გულს აძვრებს და ასხივოსნებს, რომელიც სისხლის მოძრაობას აძლიერებს და აჩქარებს. ეს ნაპერწკალია უდიდესი სიამოვნებისა და კმაყოფილების გამომხატ-

ველი და რადგან მე ნატოს თვალეში ის გამოვიწვიე, ჩანს. ჩემი საუბარი მას წამლად რგებდა და ამით კმაყოფილი ვარ.

— თქვენ როგორც გსურთ, ისე იფიქრეთ, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემს სიცოცხლეში ჭეშმარიტებისათვის არ მიღალატნია, მითქვამს მხოლოდ ის, რაც ჩემს გონებას აღუქვამს და უკარნახია.

ამ სიტყვებმა კიდევ რამდენიმე ნაპერწკალი აანთეს ნატოს თვალეში და ლოყებიც უფრო აუვარდისფერეს.

ტკბილი საუბარი გარეშე პირების მოსვლამ შეგვაწყვეტინა. ოთახში სამი კაცი შემოვიდა. ერთი მათგანი, შუახნის სერიოზული გამომეტყველების კაცი, განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე იყო, ორი დანარჩენი — ექიმები, ერთი რაიონული პოლიკლინიკიდან, მეორე — მთავარი საავადმყოფოდან.

მათმა მოსვლამ კვლავ ავადმყოფობა და ავადსახსენებელი სენი გავვახსენა. ნატოს წამსვე გაუქრა სახეზე ვარდისფერი და თვალეშიც უფრო ჩაიძირა სიღრმეში.

ავადმყოფის გასინჯვისა და მოთათბირების შემდეგ ექიმებმა წამლები გამოწერეს, მომვლელ ქალს დარიგება მისცეს და წავიდნენ. დავრჩით მე და პროფკავშირის თავმჯდომარე. უკანასკნელმა აბასთუმნის სანატორიუმის ორთვიანი საგზური დაუღო ნატოს მაგიდაზე და შეპირდა საგზაო თანხას გამოგიწერ და ერთ ვინმესაც თან გაგაყოლებო.

— მაღლობელი ვარ, ბატონო. არა ვარ ამდენი ყურადღების ღირსი. ყველასთან დიდი ბოდიში მომიხდია ჩემი უბედური... — მიბნედილი თვალეებიდან სისველემ გამოჟონა და სათქმელი უცაბედად მოვარდნილმა ხველებამ შეაწყვეტინა.

შევეცადეთ დაგვემწვიდებინა, საიმედო სიტყვები არ დავზოგეთ, ცოტათი მოვებრუნეთ, მაგრამ ექიმების მოსვლამდე რომ მხნეობა ემჩნეოდა, ახლა სრულიად დაჰკარგოდა.

ამის შემდეგ დიდხანს არ დავრჩენილვართ. რახან პროფკავშირის თავმჯდომარე წამოდგა, მეც ავყევი, ორივემ იმედიანი სიტყვები დავუტოვეთ ავადმყოფს გამოთხოვებისას და წამოვედით.

— თქვენი კავშირის წევრია? — შევეკითხე თავმჯდომარეს, ქუჩაში რომ გამოვედით.

— ნატოზე ამბობ? მასწავლებელია.

— ვასო, თუ ძმა ხარ, მითხარი, რა ჭირს მაგ უბედურს, ასე რომ დალეულა?

— ეჰ, ნუ მკითხავ, თუ კაცი ხარ, — ხელი ჩაიქნია ვასომ. — ადამიანის რომ დაეჭვებინა და არ გაეკრპებულებო, ამ დღეში არ ჩავარდებოდა. ახლა ყველაფერზე თანახმაა, მაგრამ გვიანდაა. ფილტვები დახრული და დაცრეცილი აქვს. არაფერს არ ვზოგავთ, წამლები, ექიმები... გასულ კვირას ორი პროფესორი მყავდა.

— კი, მაგრამ ქმარი?

ვასომ გაკვირვებით შემომხედა.

— როგორ, არ იცი ჰყავს თუ არა? მეგონა, შენი ნათესავი თუ არა, კარგი მეგობარი მაინც იყო. ქმარი ჰყავს და არც ჰყავს. სულ იმის დარდს გადაჰყავა ეგ უბედური. ვითომც სხვას არავის შემთხვევია ასეთი რამ. ისე, ძა-

ლიან უსინდისოდ მოიქცა ის არამზადა. ერთი ცოლ-შვილი აქ დატოვა და მეორე იქ ვაიჩინა. მეორესთან როგორ ცხოვრობს, არ ვიცი, მაგრამ ამაზე საუბრით აიღო ხელი.

— მაშ, ნატო ქმარმა მიატოვა?

— მერე რა დროს, როცა საბრალო ქალს ავადმყოფი ბავშვი კალთაში ეწვა. სამწუხაროდ, დროზე ვერ გავიგე, თორემ მე ვიცი, რა დღესაც დავაყრიდი.

— ალბათ, ვინმე ოხერი დედაკაცი შეუჩნდა და ასეთი საქმე ჩაადენინა, თორემ როგორ დავიჯერო, ნატოსთანა ქალზე კაცი ხელს აიღებდა. ოხერი დედაკაცი, რომ მაძაყაცს აეკიდება...

— არა, არა, ჩემო ძმაო, — შემაწყვეტინა ვასომ. — მამაკაცს საკუთარი სინდის-ნამუსი უნდა ჰქონდეს. დედაკაცი ვის არ შეხვედრია, მაგრამ განა ყველას ცოლ-შვილი მიუტოვებია? მე არ ვიცი და ვერ გეტყვი ამ შემთხვევაში ვის მხარზეა სიმართლე, ნატოს ქმარია დამნაშავე თუ მისი მეორე ცოლი, მაგრამ ერთი კი ცხადია, არც ერთი არაა მართალი. ორივე უნდა დაისაჯოს საზოგადოებრივი თვალსაზრისით. არა, ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ, — მომიბრუნდა ვასო, — ვაჟკაცი რომ უძღურ ცოლსა და უსუსურ შვილს უღალატებს და მიატოვებს, ის როგორი მოქალაქეა? სამშობლოს, პარტიას და ხელისუფლებას უერთგულებს იგი?! ადამიანი ყველაფერს შვილებისა და მომავალი თაობისათვის აკეთებს. ვის გულშიც შვილის სიყვარული არ ჩქედს, ის ვერავის ვერ შეიყვარებს და ვერ უერთგულებს.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე. სამსახურისა თუ პირადი საქმეების გამო მხედველობიდან გამომჩნა ნატოს ამბავი. მართალი ვითხრათ, მესამეჯერ მისვლა უხერხულად მიმაჩნდა. ვინ იცის, ვინ რას იტყოდა და იფიქრებდა. ესეც არ იყოს, რა უნდა გამეკეთებინა? ჩემი დახმარება არ სჭირდებოდა, ერთხელ მთხოვა და ორჯერ ვინახულე, თუ ისურვებს, ვნახავ მესამეჯერაც, მაგრამ იქნებ შევაწუხო ამდენი ვიზიტებით.

ხანდახან მაინც გამიტაცებს ცნობისმოყვარეობა და სურვილი აღმეძრება გავიგო ნატოს რომანის საიდუმლოება. განსაკუთრებით უკანასკნელი თავი მაინტერესებს, რადგან პირველი თავები რომანისა მოსაბეზრებლად შაბლონური და ერთფეროვანია. იწყება ქალ-ვაჟის უცაბედი შეხვედრით, გადაკრული სიტყვებითა და ქათინაურებით, მიდის კინოთეატრის ან კულტურის სახლის საცეკვაო დარბაზამდე. აქ იმართება დავა, შეჰყვეს თუ არა ქალი ვაჟს დარბაზში. კეთილად დაბოლოებული საქმის შემდეგ ინიშნება პაემანი, იწყება ხშირი შეხვედრები, ათრთოლებული გულების საიდუმლო გასაუბრება, სახლამდე მიცილებისას ვაჟის თავშეუკავებლობა და კოცნა, რაც იწყებს ქალის სასტიკ განრისხებას, ვაჟის სიწითლეს, ბოდიშის მოხდას, პირობას, რომ არასდროს ასეთ რამეს აღარ გაიმეორებს, მაგრამ გამწყრალი ქალი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და შეუბრალებლად ექცევა თავგანისმცემელს. სამუდამო დამღურებით ემუქრება, დასჯის სხვა მეთოდიც უნდა გამოიყენოს, მაგრამ გულკეთილობს. დაემღურა და ხმას არ სცემს, მაგრამ ეს უეცარი დამღურება უეცარი შერიგებით მთავრდება, ისევ ერთად დადიან, ერთად ბაასობენ. ერთ-

ხელ ვაყი მიცემულ პირობას არღვევს და უფრო დიდხანს და ძლიერად კოცინის, მაგრამ ამ დანაშაულისათვის მას არავინ სჯის, არც დამღუბებით რება. რომანის ასეთ დასაწყისს უმეტეს შემთხვევაში ბედნიერი ბოლო აქვს, თუმცა გამონაკლისიც გვხვდება.

ასეთია ნამდვილი რომანების შესავალი და პირველი თავები. ბოლო თავებსა და ფინალზე არ ლაპარაკობენ, რადგან ისინი მეტად პროზაულია.

მე კი სწორედ ამ პროზაულმა ნაწილმა დამაინტერესა ნატოს რომანიდან. ის მინდა გავიგო, რაც მრავალთათვის წაუკითხავი და უცნობია.

შეიძლება მალე ამ სურვილსაც გაველო, მივიწყებისთვის მიმეცა ნატოს ამბავიც, მაგრამ ასე არ მოხდა.

ერთხელ ქუჩაში ვიღაც ქალი მომესალმა და შემაჩერა.

— ო, რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა თქვენი ნახვა, პატივცემულო სანდრო, — მითხრა მან და პირდაპირ შემომხედა.

პირველად მეოცა, მაგრამ მალე ვიცანი ნატოს მომვლელი ქალი და ამბავი გკითხე.

7600

— უკანასკნელ დღეშია, ბატონო. — თვალეში ჩაუტებული ცრემლები ამორწმინდა ქალმა.

— სანატორიუმში არ წაუყვანიათ?

— არა, ბატონო, მისი წაყვანა არ შეიძლება, ისეთ მდგომარეობაშია, დიდი დღე არ დარჩენია იმ უბედურს. — თვალებიდან დაძრული ცრემლების ორი წვეთი ნიკაბთან შეუერთდა ერთმანეთს და ქალმა ცხვირსახოცი მოიშველია. — უნდა დამდოთ პატივი და დამეხმაროთ როგორმე. — კვლავ მომანათა ცრემლიანი თვალეები.

— დიდი სიამოვნებით, ახლავე წავალ და ექიმებს მოვიწვევ. — შევთავაზე მე.

— არა, ბატონო, არა, — შემაჩერა ქალმა. — მას მხოლოდ თქვენი ნახვა სწადია. ისე ნუ მომკლავ, ერთხელ კიდევ რომ არ მანახო.

— საოცარი ამბავია. რა უნდა სურდეს ჩემგან?

— მეც არ ვიცი, რა სწადია, რატომ გაწუხებთ ამ უცხო კაცს, მაგრამ მომაკვდავს სურვილი არ შევუსრულო?.. — აქვითინდა და სახეზე ხელები აიფარა.


— კარგი, წაძოვალ, — და გავყვივი.

გზაზე თითქმის უხმოდ ვიარეთ. მე მხოლოდ ორიოდ შენიშვნა მივეცი. მასეთ ავადმყოფთან ბავშვების ყოფნა სახიფათოა, არც თქვენთვისაა კარგი ასე გაუფრთხილებლად გეჭიროთ თავი-მეთქი.

— ნეტავი მთლიანად ჩემზე ვადმოვიდოდეს* მისი სენი, მე მომიღებდეს ბოლოს ისე, რომ სხვას არაფერი გაუჭირდებოდეს. — ჩაილაპარაკა მან და დადუმდა.

სახლში რომ მივედი, მომვლელი ქალის პატარა ბიჭს ეძინა. ნატოს ვაყი დედის საწოლთან იდგა და მომაკვდავ მშობელს დასცქეროდა. მისი თვალეები უსაზღვრო მწუხარებას დაენისლა. მან არ იცოდა, რა დღეში იყო დედა, მაგრამ კარგი რომ არა სჭირდა, ამას გრძნობდა. ნატო უსიცოცხლო თვალეებით ესიყვარულებოდა პირმშოს და უსიტყვოდ ეალერსებოდა.

ჩვენ რომ შევედით, მან შვილს მოსწყვიტა მხერა და გადმოვხედავ.



— როგორ შეგაწუხებთ, ბატონო, — ძლივს ამოილაპარაკა მან, — მანამდე, თქვენი ჭირიმი. სული მთხოვდა თქვენს ნახვას... აქ დაბრძანდით, ახლოს, ხმამაღლა ლაპარაკი მიჭირს.

შევასრულე მისი სურვილი. ახლოს დავჯექი. იგი ახლა სავსებით დაღუ-
ულიყო. შემოლოვდა სისხლი და ხორცი და მარტო ძვლები და ტყავი შემორ-
ჩენოდა.

— ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია, — დაიწყო მან. — არც თქვენი შეწუ-
ხება მინდა.... ჩემი თავგადასავალი გეცოდინებთ, ან აწი გაიგებთ. დავმარცხ-
დი ცხოვრებასთან ჭიდილში. უბედური დავრჩი. პირველი ჩემი სიყვარული,
რომელზეც იმედს ვაპყარებდი, ჩაიფერფლა. მეც დავიწვი მისი სიმხურვალით.
ჩემი შვილის მამა...

— ცეცხლში დაიწვას და დაიხრუკოს მისი სული და ხორცი, — ჩაილაპა-
რაკა ამ დროს მომვლელმა ქალმა.

— ოლია, თუ და ხარ, ნუ დაწყევლი მასე უტანაურად, — საყვედურით გა-
დახედა მას ნატომ. — ღმერთმა უცოცხლოს იგი მის ცოლსა და შვილს. მე
რომ ბედი არ მქონდეს, ვისი ბრალია.

— ბრალმა და ჭირმა მოსპოს მისი თავი და მისი ცოლიც, — უფრო ძლიე-
რად დაიწყევლა ოლიამ, მაგრამ ნატოს ეს წყევლა არ გაუგონია.

— ჰო, რატომ შეგაწუხებთ, — განაგრძო ნატომ. — გულისხმიერი ადა-
მიანი ბრძანდებით... ოლია, წყალი მასვი, ჩემო დაია, პირი ვამიშრა.

— ახლავ, შენ შემოგველოს ჩემი თავი. — და მომვლელმა ქალმა ჭიქით
წყალი მიაწოდა.

— იმ დღეს ჩემს ყოფილ ქმართან ვიყავი, — უფრო დაწმენილი ხმით
ალაპარაკდა ნატო. — მაშინ იქ მსახურობდა და ჯერ კიდევ ჩემად მიმაჩნდა.
ცოლის პრეტენზიებიც მქონდა და შვილის სახელითაც შემეძლო მესარგებ-
ლა. იმ დღეს გადაწყდა ჩემი ბედი. ის ადამიანი, რომელიც კეთილი და გულის-
ხმიერი ქმარი მეგონა და ჩემი შვილის მამა იყო, გულქვა, საძაგელი და შეუბ-
რალებელი აღმოჩნდა. ძუძუმწოვარა შვილის დედა უჭმელ-უსმელი და უკაპი-
კოდ გამოიმისტუშრა... იტყვიან, კაცმა თავი რატომ მოიკლაო, მე მაშინ უნდა
ბომექლავ თავი, მაგრამ შვილის — ჩემი მალხაზის სიბრაულმა გადაამარჩინა.
მინდოდა აღმეზარდა ჩემი ბიჭი ისე, როგორც საჭიროა, დამემტკიცებინა მამა-
მისისათვის, რომ დედაკაცსაც შესწევს უნარი აღზარდოს შვილი მამის დაუნა-
რებლად, მაგრამ... თვით მე ვარ დამნაშავე, დროზე არ მივხედე თავს. გლო-
ვით, ტირილითა და ცრემლებით მოვინდომე დაკარგული ბედნიერების დაბ-
რუნება. დავივიწყე, რომ შვილის აღზრდა და სხვისი სამსახური მაშინ შემეძ-
ლებოდა, თუ თავს მოვუვლიდი და ვუპატრონებდი. აი სად შევცდი. დღეს ყვე-
ლაფერი წასული და დაკარგულია. ერთი საათის გამოყენება არ შემიძლია გა-
სული ოცდარვა წლიდან... მივდივარ. ძალიან ადრე, მაგრამ მაინც მივდივარ.
მრჩება ერთი საბრალო ბიჭი, ჩემი მალხაზი. — საწოლთან მდგომი ბავშვისაკენ
შეაბრუნა ცალი თვალი. — ვიცი, ჩვენი მთავრობის ხელში ობლობით ბავშვი

არ დაიჩაგრება, მაგრამ მშობლის ალერსი მაინც სულ სხვა რამეა მოზარდ-სათვის.

როცა ნატო ამ ლაპარაკში იყო, მომვლელი ქალი კუთხეში კედელზე მიყრდნობილი შეუქმნევლად ღვრიდა ცრემლებს და ქვითინებდა. როცა ავადმყოფმა თქვა: ჩემს ბიჭს ალერსი მოაკლდებაო, მაშინ მან ქვითინი შეწყვიტა, თვალები ამოიწვინდა და ავადმყოფის საწოლთან მივიდა.

— საკუთარი შვილის ხორცის შემჭმელი იყოს მაშინ შენი ოლია, ასე რომ მოხდეს, მალხაზი თუ თავის შვილზე მალა არ დააყენოს, ის რომ სხვას დაუთმოს, — თქვა მან. დედის საწოლთან აბუზულ ბავშვს ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და მასთან ერთად აქვითინდა.

მე ცრემლი ვერ დავფარე. ნატო კი თითქოს დაამშვიდა ამ ამბავმა.

მომვლელი ქალი ქვითინებდა, ქვითინებდა პატარა მალხაზი, სიამოვნებით ავქვითინდებოდი მეც, მართოდ რომ ვყოფილიყავი. ვაჟკაცს მეტი თავდაჭერა მართებს.

— კმარა ამდენი ქვითინი და ოხვრა-კვნესა, — გამამხნეველად დავიწყე მე. — საქვითინო და სატირალი არაფერი გვჭირს. ზაფხულის ცხელმა დღეებმა იმოქმედა ნატოზე და ცოტათი უჭირს, მაგრამ ეს გაუვლის. სულ მალე ავრილდება და ნატოც შოიკეთებს. მანამდე კი ჩვენ ეს ბავშვი გავვზავნოთ სადმე. ურიგო არ იქნება სოფელში მამასთან თუ გავუშვებთ. მე მგონია, არც ისე უსულგულო და გულქვა იქნება ის დედაკაცი, რომ ქმრის ხათრით მის შვილს გულზე ხელი ჰკრას და, ვიდრე ნატო მოიკეთებდეს, არ უპატრონოს.

ქალებმა გაკვირვებული თვალები შემომანათეს.

— გულქვა კი არა... — ცრემლები დასცვივდა ნატოს.

— რატომ ოთარ ბაყუნაიშვილის შეხვედრამდე არ დაელია დღე იმ ცოდვის შვილს, — მიაწყევლა მომვლელმა ქალმა. — იმ შეჩვენებელს რომ არ გადაყროდა, ეს ბედნიერი ოჯახი ასე არ დაირღვეოდა... — ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — ღმერთო, აბატიე და გამოასყიდვინე მისი შეცდომა და დანაშაული იმ უბედურს. — კვლავ აქვითინდა, ლოგინზე დაემხო და ნატოს გამხმარ ხელებს დაუწყო კოცნა.

— ნუ ტირი, ჩემო დაია, — ალერსით გადაუსვა თავზე ხელი ნატომ. — ყველას წინაშე უმწიკვლო და უცოდველი ხარ. შენ არ ყოფილიყავ, სხვა იქნებოდა. კიდევ ბედნიერი ვყოფილვარ, რომ შენისთანა კეთილი გულის ადამიანი დარჩა ჩემი შემცვლელი და არა მართლაც ბოროტი და გულქვა ადამიანი.

გაკვირვებისაგან გაფართოებული თვალები მომვლელ ქალს მივაპყარი.

— ნაკუწ-ნაკუწად დასაჩენი ვარ, ბატონო. — შემატყო გაკვირვება ოლიამ. — რატომ დროზე არ ვიკითხე და შევამოწმე, ვისთან მქონდა საქმე. ვის ვაბარებდი ჩემს პატიოსნებასა და სინდის-ნამუსს? რატომ ვერწმუნე გაიძვერა ადამიანს და მის თაღლით მოწმეებს? გამოუცდელი, ნატოსავით ობლად აღზრდილი და უჭირისუფლო, მოვტყუედი. მომხიბლა ტკბილმა და ალერსიან-

მა სიტყვებმა. ახლა რაღა ვარ. ღირსებაახდელი და გათელილი. განა შემიძლება საზოგადოების წინაშე თავი ვიმართლო? ნატოს პირნათლად ჩავხედო თვალეში? მისი შვილის წინაშე შეუნდობელი დანაშაული არ ვივრძნო? ნეტავი შეიძლებაოდეს საკუთარი სისხლით ამ დანაშაულის გამოსყიდვა. დედა ვარ, შვილის პატრონი, მაგრამ შეეწირავდი ჩემს დედობას და ჩემს შვილსაც, თუ ეს დედა და შვილი ბედნიერად მეყოლებოდა. გიკვირთ? ჯერ კიდევ ბევრია ასეთი საკვირველი მაგალითები, ოთარ ბაჟუნაიშვილისთანა გაიძვერები კიდევ ცოცხლობენ და თარეშობენ.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ნატოს რომანს ასეთი ფინალი ექნებოდა. ვერც იმას ვიფიქრებდი, რომ ნატოს მომვლელი კეთილშობილი და გულკეთილი ახალგაზრდა ქალი ამ ოჯახის ახლო ნათესავი არ იყო. აქ ორი ქალი და ორი დედა, რომლებიც მდგომარეობის მიხედვით მოქიშპეთა ბანაკში უნდა მდგარიყვნენ, ერთმანეთისათვის სიცოცხლეს არ იშურებდნენ.

— როგორ უცქერის თქვენი მეუღლე თქვენს ამგვარ ურთიერთობას? — დავინტერესდი მე.

— სიკვდილს უცქირა მისმა თვალეებმა, — თქვა ოლიამ. — რა საქმე აქვს მას ჩვენს ურთიერთობასთან! ორი ქალი გაგვაუბედურა, არ კმარა მისთვის? ახლა ნერვებმოშლილი დაეხეტება. როცა მისი გაიძვერობის ამბავი გავიგე, მაშინ უნდა მომეკლა იგი. ქვრივი ქალის სახელის ტარება სჯობია, მასეთ გარყვნილ და მატყუარა ქმართან ცხოვრებას.

როცა ის ქმარს ასე საშინლად კიცხავდა და აძაგებდა, ნატოს სახეზე ზედმეტი ნაოკები ჩნდებოდნენ და ერთმანეთს ენასკვებოდნენ. ეტყობოდა, წყინდა პირველი სიყვარულით დაახლოებული ადამიანის აუგად ხსენება.

— მამაკაცი რომ ქალს მოატყუებს, ყოველგვარი სასჯელის ღირსია. — ვერ ითმენდა ოლია. — ჩემი მოტყუებით უდიდესი ცოდვა ჩამადენინა, მოღალატე გამხადა. ქვეყნის თვალში შემარცხვინა. საზოგადოებისაგან გამომთიშა, გამანადგურა... მასწავლებელი ქალი ვიყავი. მიყვარდა ჩემი პროფესია, სკოლა და ბავშვები. თავი დავანებე. მოსწავლეების მრცხვენოდა. რომ გაიგეს ცოლგაშვებულ კაცს გავყევი, ჩემზე ჩურჩულებდნენ. ასე მეჩვენებოდა, თორემ შეიძლება სხვა მიზეზიც ჰქონდათ. თავი შეგაწყინეთ, ბატონო. ნატოს ვერ გავუტეხე ხათრი და იმიტომ გთხოვთ, თორემ...

— დიახ, მე ვარ დამნაშავე თქვენს შეწუხებაში. — დაუმატა ნატომ. — უკანასკნელი სათხოვარი მაქვს და შემპირდით მაინც, რომ შემისრულებთ. ნუ, დამამადლით, ხანდახან ინახულეთ ჩემი მალხაზი, ადევნეთ თვალყური მის აღზრდა-დავაჟკაცებას. შორიდანაც იკითხეთ მისი ამბავი. თუ ოდესმე შეხვდეთ დავაჟკაცებულს, უთხარით ორიოდე მამაშვილური სიტყვა. აი რა მსურდა მეთხოვნა თქვენთვის და რისთვის შეგაწუხეთ. — ნატომ წამით თვალეები მილულა და ისევ გაახილა... ახლა უფრო დამშვიდებულად და კმაყოფილებით ანათებდნენ ისინი. ნატოც დამშვიდებული და კმაყოფილი მეჩვენებოდა.


* * *

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ნატოს სიკვდილს და დაკრძალვას არ დავსწრებივარ. იმ დროს არ ვიყავი ქალაქში. როცა გავიგე, ძლიერ მეწყინა. პატარა მალხაზის ამბავი ვიკითხე. მითხრეს, ოლიამ წაიყვანაო. ერთხელ კი შევხვდი მეთე კლასის მოსწავლეებთან. კარგი ყმაწვილი დამდგარიყო და გამეხარდა. შემდეგ იგი არ შემხვედრია. მაწუხებს, მომაკვდავის დავალება რომ ვერ შევასრულე. ნეტავ, სად არის ახლა მალხაზი? ვეკითხებოდი საკუთარ თავს და პასუხს ვეძებდი. ამ რამდენიმე დღის წინ ნაცნობი შემხვდა იმ კუთხიდან და, პირველ ყოვლისა, ოირაშვილის ამბავი ვკითხე.

— მალხაზი? დიდი კაცია. სახელგანთქმული ინჟინერი და სპეციალისტი. რუსთავეშია და ერთ-ერთ წამყვან უბანს ხელმძღვანელობს. საბრალო ნატოს მაგიერობა ოლიამ გაუწია და დედის საპატიო მოვალეობა კეთილშობილურად და პირნათლად შეასრულა. — მითხრა მან და შემპირდა, შვებულებაში რომ ჩამოვა, უთუოდ გაცნობებ და შეგახვედრებო.

მეც ველოდები მასთან შეხვედრას.

ივნისი, 1958 წ.



ღევენ გელაძე

კვლავ იალაღი

კვლავ იალაღი,
კვლავ იალაღი,
აქ ვიყავ ლაღი,
აქ ვიყავ ბალღი.
კვლავ ლოღიღირი.
ამ კორღს ატყვია
ჩემი შიშველი ფეხების კვალი,
იმ დღეთ განვიცდი როგორც ნატყვიარს,
ბავშვივით ცრემლით მევსება თვალი.
ღვას ისევ მუნჯად,
ღვას ისევ კენტად,
ერთი ძელური უთავნო სახლი,
ვღვავარ კიბესთან და თითქოს ვხედავ,
მამა საქონელს მორეკავს სახრით.
და მეშინია არ გაწყრეს ღეღა,
რად დაჰკარგეო ხბორები, ბიჭო,
თითქოს შინ შესვლას ვეღარა ვხედავ,
აქ ახლოს ბუჩქში დამალვა მიჯობს.
მესმის ძროხების ბლავილი გაბმით,
მერე ქოთანში შესაბუნა რძისა,
მათრობს კარაქის სურნელი ჭარბი,
ფიქრები ფიქრებს მისღვევენ ნისლაღ.
მერე ხავიწის მსუყე ვახშამი,
მერე არწივის მართვებზე ფიქრი!
რა ტკბილი იყო ის დღე,
ის ჟამი,
ღრო მერანივით
მიჰქრის და მიჰქრის.
კვლავ ლოღიღირი,
ძელური სახლი,

ეს მოგონება მიმძიმებს სევდას,
ახლა დედ-მამა არა მყავს ახლოს,
თვალი შორეულ აჩრდილებს შეხვდა.

კვლავ იალაღი,
კვლავ იალაღი,
აქ ვხდები ლაღი,
აქ ვხდები ბაღღი.

ზ ი ნ

მე სახლში მუდამ ვბრუნდები ადრე,
შენ მებუტები: „რად იგვიანებ.“
ქვირფასო,
კმარა,
ნუ ჯავრობ აგრე,
თორემ გულს იჭვი დაგიზიანებს.
თორემ მეც ბოლოს ვიწამებ მართლა,
რომ შენ ფიქრებთან დიდი ხნით გტოვებ,
წამის და წუთის ნუ იწყებ დათვლას,
ხანდახან კაცი შეხვდება ტოლებს,
ხანდახან კაცი აიღებს ჭიქას,
ხანდახან კაცი დალოცავს მიწას,
ხან იტყვი, როგორ არ უფრთხი ჭიქას,
ხან იტყვი, ამ დღემ მამულს რა მისცა,
ხან იტყვი, როგორ თბილია „შინა“,
ხან იტყვი, როგორ ჟღერტულებს ბიჭი,
როგორ ჩაკოცნი სიფრთხილით მძინარს,
ხან იტყვი, როგორ დაფასდა ნიჭი.
ხან ქართველურად ყელს მოიღერებ,
ხან გუდიაშვილს შეუქებ ფუნჯსა, —
თუნდ არ სვა, ასე დათვრები მერე,
ტრფიალი ენას ჩაუდგამს მუნჯსაც.
მე სახლში მუდამ ვბრუნდები ადრე,
შენ მებუტები: „რად იგვიანებ.“
ქვირფასო,
ნუ...
ნუ...
ნუ ჯავრობ აგრე,
თორემ გულს იჭვი დაგიზიანებს.



ისმაილ ბეი

ვინ არ იცნობდა სტამბოლში ისმაილ ბეის.

პერაზე სამი დიდი სახლი, გალათაში სასტუმრო და ოქროს რქაზე რესტორანი „ენი დუნია“ — ისმაილ ბეის საკუთრება გახლდათ.

აღმოსავლეთ ანატოლიაში ცხვრის ფარა, ესკიშეხირში ტყავისა და იზმირში ლელვის ჩირის ქარხნები, სამსუნში თამბაქოს ფაბრიკა, ზღვაზე სამი გემი და ხმელეთზე ავტომანქანების მთელი ჯოგი განუწყვეტლივ მიერეკვბოდნენ ოქროს ლირებს ისმაილ ბეის უძირო ჯიბეებისაკენ.

მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ბებეკასა და თერაპიაში ისმაილ ბეის ორი დიდი ვილა ყველას ხიბლავდა სიმდიდრითა და ლამაზი ბაღებით.

ამასთან ერთად ისმაილ ბეი განთქმული იყო როგორც გულკეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი და ამ სახელის მოხვეჭისათვის თვითონაც ცოტას როდი ცდილობდა.

ვინ მოსთვლის, რამდენი საქველმოქმედო საქმე გაუკეთებია ისმაილ ბეის: „ცხოველთა დაცვის კომიტეტს“ ხუთი ათასი ლირა შესწირა, „უპატრონო მოხუცთა სახლს“ — სამი ათასი ლირა, თერაპიაში კი ძაღლების საერთო საცხოვრებელი მოაწყო, სადაც მისი კაცები უპატრონო ძაღლებს უყრიდნენ თავს და მის ხარჯზე უვლიდნენ „ადამიანის ერთგულ მეგობრებს“.

* * *

იენისის მიწურულს ისმაილ ბეი ესკიშეხირს ეწვია. ტყავის ქარხანა მონახულა.

მოულოდნელად გაჩნდა ქარხანაში, მაგრამ ყველაფერი რიგზე დაუხვდა.

ნასიამოვნებმა შეაქო ქარხნის დირექტორი ორხან ქილიმჯი, რომელიც ერთხანს დაიბნა კიდევ ესკიშეხირში ისმაილ ბეის მოულოდნელი ჩამოსვლის გამო.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ ორხან ქილიმჯიმ ისმაილ ბეი სადილზე სახლში მიიპატიჟა.

* * *

ეზოდან ცხვრის ბღავილი მოისმა.

ისმაილ ბეი მამინვე აივანზე გამოჩნდა და ეზოში შემზარავი სურათი დაინახა... ორხან ქილიმჯის მზარეულს თოვლივით თეთრი ცხვარი წაექცია და ის იყო მისთვის ყელი უნდა გამოეღადრა, რომ ამ დროს ისმაილ ბეის სიტყვები მოესმა:

— არ გაბედო! ხელი გაუშვი! რას ერიხი საბრალო ცხოველს?

ისმაილ ბეიმ სწრაფად ჩამოირბინა კიბეზე და ქილიძის მზარეულს და-
აღდა თავს... მაგრამ უკვე გვიანდა იყო... ყელგამოღარული ცხვარი სისხლი-
საგან იცლებოდა და მისი თეთრი ბეწვი გულმკერდზე წითლად შეღებილიყო,
მწვანე ბალახში გაგორებული წითელლაქებიანი ცხვრის თეთრი თავი პირ-
აღმა ეგდო და ღიად დარჩენილი თვალები, დაკლული ცხვრის თვალები,
გულისგამგმირავად მიშტერებოდნენ ისმაილ ბეის. მან იმ თვალებიდან წყევ-
ლა და საყვედური ამოიკითხა: „რას მერჩოდი, ადამიანო, სხვა ვერაფერი ნა-
ხე, რომ შენი სტომაქის ამოსავსებად ჩემი სიცოცხლე არ შეგეწირა?“

ისმაილ ბეი მხოლოდ მაშინ გამოერკვა ფიქრებისაგან, როცა თვითონ
ორხან ქილიძემ წაავლო მკლავში ხელი და სახლისაკენ წამოიყვანა... ისმაილ
ბეიმ უმადობა მოიმიზეზა და მოწოლილი სევდის გასაქარვებლად ქალაქგა-
რეთ გასეირნება მოისურვა.

ხუთი წუთის შემდეგ ორხან ქილიძის მანქანა ქალაქგარეთ მიაქრო-
ლებდა ისმაილ ბეის.

ორხან ქილიძე კი, სტუმრის უარით დიდად ნაწყენი, აივანზე გაშლილ
სუფრას მარტო მიუჯდა, ყავას შეექცა და დროგამოშვებით ნარგილეს
ქაჩავდა.

ორხან ქილიძე დიდად შეაწუხა მის ეზოში მომხდარმა არასასიამოვნო
შემთხვევამ... ისმაილ ბეის სახე ედგა თვალწინ და ვერაფრით ვერ მიმხვდა-
რიყო, რატომ მაინცდამაინც მის სახლში დადგა ცუდ ხასიათზე მისი მფარ-
ველი და ყოვლისშემძლე პატრონი.

ამ ფიქრებში იყო, როცა მზარეული წამოადგა თავს.

— ორხან ეფენდი, რა ვუყოთ დაკლულ ცხვარს? — იკითხა მზარეულმა.

— აღარ არის საჭირო, ახლავე რესტორან „ისტამბულში“ წაიღე და
შერიფ ალას მიჰყიდე.

— სწორია, ორხან ეფენდი, ჩემი აზრით, ისმაილ ბეი ცხვრის ხორცს არ
ჭამს... იგი ხომ გულკეთილი კაცია... როცა დაკლული ცხვარი დაინახა, ის-
მაილ ბეის თვალებში ცრემლი შევნიშნე.

„ისმაილ ბეის თვალებში ცრემლი“ — ყრუდ გაიმეორა ორხან ქილიძე-
მ მზარეულის ნათქვამი და თვალწინ დაუდგა ისმაილ ბეის კუთვნილი დი-
არბექირის სასაკლავო, სადაც ყოველდღე აღმოსავლეთ ანატოლიიდან მირე-
კილი ასობით პირუტყვი იკვლებოდა და საიდანაც განუწყვეტლივ მოდიოდა
დაკლული საქონლის ტყავი ესკიშეხირის ქარხანაში გადასამუშავებლად.

ორხან ქილიძემ მაგრად მოქაჩა ნარგილე და ეზოში გადაიხედა. მზარეუ-
ლი დაინახა. მას მხრებზე მოეგდო დაკლული ცხვარი და რესტორან „ისტამ-
ბულში“ მიჰქონდა.

* * *

ერთი საათის შემდეგ, როცა ქალაქგარეთ გასეირნებით გული იჯერა,
ისმაილ ბეი ისევ ქალაქში დაბრუნდა, სასტუმროსთან გადმოვიდა მანქანიდან
და მაღაზე მოსულმა ტელეფონის ყურმილს წაავლო ხელი.

რამდენიმე წუთში ესკიშეხირში მცხოვრებ ყველა მეგობარს გამოელა-
პარაკა და ყველანი რესტორან „ისტამბულში“ მიიწვია ვახშამზე.

ათამდე ესკიშეხირელმა მეგობარმა მოიყარა თავი ისმაილ ბეის მიერ
გამართულ ვახშამზე. ორხან ქილიძეც იქ იყო.

ესპანური ღვინო, ფრანგული კონიაკი და შამპანური ერთმანეთს ეჯიბ-
რებოდნენ.

ჯერ კონიაკი შეისვა, მერე ღვინოს მიადგნენ და ამ დროს ესკიშეხირის
მინარეთიდან მუეძინის გაბმული ზმუილი მოისმა.

ისმაილ ბეი და მისი კამპანია ნოხებით მოგებულ დარბაზში გავიდნენ
და ნამაზს შეუდგნენ.

ლოცვა მოითავეს და ისევ სუფრას მიუხსდნენ. ისმაილ ბეიმ ისლამისა და შარიათის მიერ მუსლიმანებისათვის აკრძალული ღვინით სავსე ჭიქა ბილო და ისმაილისა და შარიათის სადღეგრძელო შესვა.

შემდეგ საუბარი გააბეს იმის შესახებ, რომ „ამ ბოლო დროს ბევრმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, ალაპი და სარწმუნოება თანდათან დაივიწყეს და ნამდვილ გიაურებს დაემსგავსნენ. ამიტომაც არის ასე რომ გავრცელდა ხალხში ყოველგვარი სისასტიკე და დაუნდობლობა“. — დაასკვნეს მათ.

— დღეს საშინლად აღმამფოთა შემზარავმა სურათმა, — დაიწყო ისმაილ ბეიმ, — წარმოიდგინეთ საბრალო პირუტყვი, თეთრი, თოვლივით თეთრი ცხვარი, რომლის დანახვითაც ადამიანს გულში ალაპის გაჩენილი ყველა სულდემულისადმი სიყვარული და პატივისცემა უნდა აღეძრას... და აი ხედავთ, რომ პირიქით ხდება...

უტოდველ პირუტყვს შენს თვალწინ, შენივე მსგავსი ადამიანი სულ რამდენიმე ყურუში გასამრჯელოსათვის დანით ისე სჭრის კისერს, რომ სახეზე სიბრალულისაგან ერთი კუნთიც არ უთამაშებს. და ამ დროს იმ უსულგულო კაცთან ერთად შენც ალაპის მიერ გაჩენილ ადამიანს გეძახიან... რა დიდი შეცდომაა...

უფრო მეტიც — საშინელებაა...

მაგრამ ამ ქვეყნად, საბედნიეროდ, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სინდისი, ადამიანობა და გულკეთილობა კიდევ საკმაოდ გააჩნიათ.

მოდით, ეს ადამიანები ვადღეგრძელოთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

— ეს სადღეგრძელო თქვენ გეკუთვნით, ისმაილ ბეი!

ყველამ ერთად წამოიძახა და ყველამ ერთად შესვა ისმაილ ბეის სადღეგრძელო.

ამ დროს სუფრაზე ცხელ-ცხელი ყარსული მწვადები მოიტანეს. ისმაილ ბეიმ სამადლობელო დალია და ყარსულ მწვადს შეუტია... ჯერ ღუმის ქონით გაყენთილი შემწვარი ბადრიჯანი მიირთვა, მერე ხორცსაც სწვდა და ძალიანად შეეჭკა. მწვადი ყველას მოეწონა და ყველა ერთსულოვნად შეთანხმდა: არსად არ აკეთებენ ისე გემრიელ ყარსულ მწვადებს, როგორც ესკიშეხირში და ისიც მხოლოდ რესტორან „ისტამბულში“.

ამ სიტყვების გაგონებაზე რესტორანის პატრონი შერიფ-ალა ფრიად ნასიამოვნები დარჩა და კმაყოფილებით გადახედა ორხან ქილიმჯის, რომლის გამოგზავნილმა ცხვარმა დროზე უშველა, თორემ მოულოდნელი სტუმრებისათვის (ისიც ასეთი პატივისცემი სტუმრებისათვის), სამზარეულოში დარჩენილი ხორცი არ ეყოფოდა.

სწორედ ამ დროს ორხან ქილიმჯის მზარეული თავის სახლში სუფრასთან იჯდა და ოჯახის წევრებთან ერთად ცხვრის შემწვარ თავს შეეჭკეოდა.



ჯემალ ჯაყელი

ცინის გალავანთან

მხედარმა მოსართავეები მოუმაგრა ცხენს და უზანგში ფეხშეუდგმელად მოევლო უნაგირს. ცხენი ატოტებულ ვეფხს დაემსგავსა, ლაგამი ჩაახრამუნა. დაოთხილი მიტორავდა ღამეში ბილიკებს შეზრდილი პირუტყვი. მთებს თანდათანობით ეგრავნებოდა ნისლი, ხოლო მხედრის შუბლს—ფიქრები სამშობლოზე.

ფიქრები...

თვალწინ ედგა აჭარა, მესხეთი, ახალციხე, ჩამოხავსული სიმაგრენი, ჯაყელ ათაბაგთა დამარხული გოროზი ბუნება...

და ახალციხის ახალი ათაბაგი სელიმ ხიმშიაშვილი იმედის ნათელით წკვარამ ღამეში გზას უნათებდა მხედარს. რა იცოდა ხიმშიაშვილმა, რომ მისი საბრძანებლისკენ მითქარუნობდა თეთრი ქურანი და მიჰყავდა მთიულური მხნეობით სავსე რაინდი... მხედარი ჩქარობდა, იქნებ გათენებამდე მიეღწია ახალციხის ათაბაგთან და დროულად შეეტყობინებინა... თანაც ეჭვი არ ასვენებდა — იანიჩრებს არსად შეეკრათ გზა ან არ დაეგოთ მახე მზაკვრული... მართლაც, დაუბატიყებელი დარაჯი ძილმა მოიპარა... ძილის წინ ფიცრულ ხიდს სამი არშინის სიფართოზე ააცალა ფიცრები და წავიდა... ხიდისპირ ცხენმა დაასო ქუსლი.

ეუცნაურა ფრუტუნნი მხედარს, სელიმთან ჩქარა მისვლის სურვილით რომ იყო გულანთებული. მხედრის წინ უფსკრული იდო.

— წყეულიმც იყოს სახელი თქვენი, კაცთმოძულენო, სიმართლის მდევნელნო!...

ხიხანელმა გადაწყვიტა წყალში გაეტოპა. თვალეზად ქცეული ცხენი ეურჩებოდა, მაგრამ მორევში შეიჭრნენ. ბნელში ფონი რომ ვერ შენიშნა, გამოხრამულში დგაფანი მოადინა მხედარმა.

წყალი მიმსუოდა, ხიხანელი მორევს ებრძოდა.

* * *

ხიხანელი მორევს ებრძოდა... ხიმშიაშვილი — ფიქრებს. თაფლის სანთლებით გაჩირადნებულ დარბაზში იგი ბოლთას ცემდა და ფიქრობდა, როგორ...

როგორ აეხვია სულთნისათვის ცბიერი თვალები. დღეს ბარე მეათეჯერ კითხულობდა სულთნის შემონათვალს. „...ვიდრე ახალციხის ფაშობა არ მოგზულდება, იბრძოლე საქართველოს დაპყრობისათვის, ნამდვილი დროა... ნაპოლეონი უტევს კუტუზოვის ჯარს, რუსს საქართველოსათვის არა სცალია. დაარტყი, აიღე, იბატონე“.

— იბატონე! — კბილებში გაცრა ხიმშიაშვილმა და შემოტრიალდა. დარბაზის კარს მოდგომოდა კდემამოსილი ქართველი ქალი, მამია გურიელის და, ხიმშიაშვილის კეთილი რძალი.

— მამავ დიდებულო, დედის საფლავი ვეღარ მომინახულებია თურქთა თარეშის გამო. როდის გვეღირსება საქართველოსთან შეერთება... ამ ხნის მანძილზე შეიღს მამა ვეღარ მოუნახულებია, აჭარა-მესხეთი ხომ დედა-საქართველოს მწვანე აკვანია ღირსეულ მამულიშვილთა, — მიმართა რძალმა და თვალებზე ცრემლი ძოადგა. გულაფთარ ათაბაგსაც მოუღბო გული სათნო რძლის ცრემლებმა.

— თავისუფლების მლოცველო ჩემო კეთილო რძალო, მე კარგად ვიცი, რომ საჭიროა განმთელდეს საქართველო — დაუბრუნდეს მას აჭარა, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავს, მას უნდა დაუბრუნდეს მესხეთი, ჯავახეთი, ახალციხე...

— მამავ უფალო, ქართველ დედათა ლოცვა შენს მადლად დაიწერება. ხელი მოგმართოს ცისიერმა ძალამ სიციხადით სავსე მიზნის გათენებაში.

— ძვირფასო რძალო, ერთი წელია ვატყუებ სულთანს. ხან ავადმყოფობა მოვიმიზეზე, ხან შევატყობინე, რომ ქართველ თავადებთან კავშირი მაქვს და ისინი ბრძოლის გარეშე შემოგვიერთდებიან-მეთქი. მაგრამ სულთანს ეჭვმა უკბინა. ჩემს მართალკაცობაში დაეჭვდა, ხოლო კუტუზოვის მიერ ნაპოლეონის ჯარების განადგურების შემდეგ საქართველოს აღებისა და გალოკვის იმედი გაუცრუვდა.

— ბოროტთა კაცთა არ ჩააგონონ შენი ზრახვანი სულთანს, დიდო მამაო...

— სულთანი რუსეთ-ოსმალეთის ომს მოელის... სურსათ-სანოვაგე და ხმალ-აბჯარი გამოგზავნა რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ... მე არამცთუ მათთან ომი და დაშორება მინდა, არამედ მენატრება მათი ჯარის დახმარებით მთელი ამ გურჯისტანის გათავისუფლება ოსმალეთისაგან... ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ, ჩემო რძალო, გულხელით დავემხობი და ჩემს არა მარტო სავგარეულო მამულს, არამედ მთელ გურჯისტანს ვეამბორები, ვითარცა მშობელი დედის მადლიან მკერდს...—და ნეტარებით თვალები მიღულა სელიმ ხიმშიაშვილმა.

როცა საუბარს მორჩა, დარბაზში შემოსული ხიხანელი მეციხოვნე იცნო. სელიმი ადგილზე გახევდა და სიტყვა დაუძვირდა. ბოლოს ძლივს წარმოთქვა:

— სულთო, შენ შემლილის სახე გაქვს, რა მოხდა, რას მათუწყებ?!

— დიდო მოჭირნახულევ, მინდა გიამბო... თუ არა შენ, მამ ვიღამ მოხედოს შენს მამულს... ჩვენმა შიკრიკმა ასეთი ამბავი მამცნო: არზრუმის სერასკერმა ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებიდან შეაგროვა თხუთმეტი ათასი ცხენოსანი და ამ ჯარს ამზადებენ ახალციხეზე გამოსალაშქრებლად და...

— და კიდევ რაი?

— მოკვეთილი თავი მიართვან სულთანს.

— კეთილი, ჩემო მამულიშვილო.

— მბრძანებულო სელიმ...

— დამწვიდდი, ჩემო სულთო, ყველაფერი რიგზე იქნება.

— უბრძანებიათ შენი შეპყრობა, მერე ვიღამ მოხედოს გურჯისტანს... ხიხანს გავმაგრდეთ-მეთქი...

— შენისთანა მამულიშვილთა მოიმედეს ვერვინ შემიპყრობს, ჩემო რაინდო. მოწყალე არის სამშობლოს სიყვარული და გამარჯვების მტკიცე რწმენა.

სელიმმა ნიშანი მისცა ზინზილაკების შექლარუნებით. კარებს მსახური მოადგა.

— უხმე პირველ მოხელე შირინს ათი წარჩინებული მამასახლისის თანხლებით, სწრაფად!

მსახური გავიდა. შემოვიდა შირინი — ახალციხეში ძალაუფლების პირველი დამცველი, სელიმის საქვეყნო მიზნების პატივისმცემელი. მას შემოეყვანათამდე წარჩინებული, სასახლის თავკაცები და მეჯლისის პირველი მესიტყვენი.

— მოგეხსენებათ, სულთანს ჩემი დასჯა აქვს განზრახული. რადგან მე სხვადასხვა ხერხით თავი ავარიდე მისი ბრძანების შესრულებას — საქართველოზე გალაშქრებას. პირიქით, კიდევ უფრო განვამტკიცე ქართველ ხალხთან ფარული მეგობრობა მამია გურიელის მეშვეობით. კიდევ მეტი, ამიერკავკასიის მთავარმართებელი რატისჩევი ჩემზე იმედებს ამყარებს აჭარამესხეთის საქართველოსთან შემომტკიცების საქმეში. დღეშმანი იმანაც გააბოროტა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადების შესახებ მათუწყებელი ეპისტოლე არ მიმირთმევია სულთნისათვის. ჰოდა, უპირველესი მიზანია აჭარამესხეთის მხრიდან ყველა ბოლაზის ჩაკეტვა. ამიერიდან იქ გამაგრდება თქვენი სელიმი, რათა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდოს შემოსეული თურქების განდევნისათვის, გურჯთა გათავისუფლებისათვის...

* * *

მეორე დღე ფარული სამზადისით მიიღია. ფერმკრთალად დადნა მზე ჰორიზონტზე. და სელიმის გულში დაიშარხა ყამირი ბოღმა, უთქმელი ტკივილი სამცხე-საათაბაგოსთან განრიდებისა.

შებინდდა. ქროდა ქარი, ცახცახებდა ხეთა ფოთოლი. სასახლის კიბესთან ქვეთინებდა ვერხვი თეთრტანა... რაინდი მმართველი კიბეზე დინჯად დაეშვა. არსაიდან ხმა... ცაზე ვარსკლავნი მომრავლებულიყვნენ. თითქოს მაყრიონად შემოსჯაროდნენ ჰორიზონტს, რათა ძველი ქართველი მამულიშვილი გაეცილებინათ ხიხანისაკენ...

სელიმმა დაიმუხლა ვერხვის ძირში. მიწა პეშვით აიღო და დაიფიცა, რომ თავს გასწირავდა ძთელი ქართული მიწა-წყლის დასაცავად. შემდეგ ხელებგაშლილი წაპოიჭრა და ცას შიპყრო თვალი მადლიანი:

— ქართული სულის უკვდავო ძლიერებაე, ქართული ხმლის წაუბილწავონამუსო, წმიდა მამათა ქართველკაცობაე, მამულზე ფიქრით გათეთრებულ წმიდა მამათა... მე მივდივარ, მაგრამ არ ვივიწყებ მშობლიურ სამცხეს... მწვიდობით მესხეთ-ჯავახეთო, ქართული კულტურის ძველო აკვანო, ხავს-მოუდებელი ქართული კულტურისა!

— ძვირფასო მამაე, — დაარღვია მყუდროება ნაცნობმა ხმამ. — სელიმი მთელი ტანით შემოტრიალდა, გულზე ჯვარედინად დაწყობილი ხელები არ ჩამოუშვია. მის წინაშე უფროსი ვაჟი იდგა.

— რას მეტყვი, შვილო.



— აბჯარხანიდან საჭურველი გაიტანეს, რაზმი მწყობრში დგას, აღუ-
ღებულ ცხენებს ძლივს ახერებენ...

სელიმმა ცალმუხლზე დაშვებული შვილი წამოაყენა და თვალეში ჩახე-
და. და როცა შუბლზე მშობლიურად ეამბორა, ხმალი გადააწოდა და უთხრა:

— იყავი მტკიცე, როგორც ეს ფოლადია. იბრძოლე დედის მანდილის,
სატრფოს ნამუსის, მთელი გურჯისტანის გადასარჩენად...

სელიმი ხიხანში გაეძგზავრა მებრძოლი რაზმით.

* * *

არზრუმის სერასკერი ბაბა-ფაშა ფეხლევანი თხუთმეტი ათასი ცხენოსნით
მიადგა ახალციხეს, რათა სულთნის ბრძახება აღესრულებინა. — ჩამოევდო
გურჯი ფაშა, ურჩი სელიმი, თავი მოეკვეთა და ნიშნად დავალების ბრწყინვა-
ლედ შესრულებისა იგი გულცოფიანი სულთანისათვის მიერთმია, რადგან
მბრძანებელი დიდად აღეშფოთებნა ხიმშიაშვილს ურჩობისა და ღალატის
გამო.

სასახლეს შემოეჯარა ურიცხვი რაზმი. ზიმშიმებდენ ოტომანთა პორტას
გულღვარძლიანი ტახგაჟფული დასტები.

— გახსენით ბჭენი სასახლისანი, გამოიყვანეთ გურჯი მელია! — ბორგავდა
ბაბა-ფაშა ფეხლევანი. ყრუანტელმა დაჰკრა შირინს, წელში გაიწურნენ ახალ-
ციხის მამასახლისები, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალა და ენერგია სელიმის
მიზნების განხორციელებას მოანდომეს. — განხუენით კარნი, ცბიერნო! გამოიყ-
ვანეთ აულაგმავ გურჯთა ბადიში სელიმი...

მოახსენეს, რომ სასახლეში უკვე არავინ იყო.

გაცოფდა დესპოტი, მბრძანებელი იბრაიმ ფეჰლევან ბაბა-ფაშა. ჯარი
სასწრაფოდ მოიყვანა წესრიგზე. ექვსი ათასი რჩეული მეომარი რიგში ჩააყენა
და ბრძანა შესეოდნენ აჭარას, დაეღწათ ხიხანის ციხე, შეეპყროთ ურჩი ხიმ-
შიაშვილი და თავი მოკვეთეთ. დანარჩენი კი დატოვა ახალციხეს და დაავალა
მთელი მხარე გაეწმინდათ საეკვო პირთავან.

მოთქარუნობდა არზრუმის მათრახში გაწვრთნილი ჯარი აჭარისაკენ. მეს-
ხეთი მტვერში გახვია მათი ცხენების ფლოქვებმა. ყანლზე სისხლმოწყურე-
ბულ სვავივით გადმოდგა დესპოტი მძლოლი. აჭარის ხევში ნისლი იწვა პონ-
ტოს კარამდე. მღუმარებდნენ მთანი და ჭალა. ცრემლებს მალავდა მტირალას
მთა. ჩოხებში გამოჭიმული აჭარელი გურჯნი ხიხანის ციხეს უტეხ გალავანი-
ვით შემოსჯაროდნენ.

პიტალო ციხეზე გადმოდგა გურჯთა არწივი — ხიმშიაშვილი.

მან იხმო სამცხელ ჯაყელთა შთამომავალი ჯავარდენა — ლომივით ჭაბუკი.

— ეპატრონე აბჯარხანას ჩემო რაინდო!...

— დიდება ქართულ მიწას!... დაიგრილა მებრძოლთა რაზმმა.

— მებრძოლნო! — კვლავ დაიწყო სელიმმა. წლების მანძილზე ქართუ-
ლი მიწა თურქთა საჯიჯნად გადაქცეულა. ვერ მოგვიტმენია ჩვენი ქართული
ვაზის ცრემლები, წელში გადამტყდარი ჩონგური მამაპაპათა. ჩვენ გვედავე-
ბიან ჩვენს მიწას! არ ვათელივინოთ, დავიცვათ იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამ-
დე. წყეული იყოს სამშობლოს გამყიდველი! მამ ჩამოურიგდით სათოფურებს
და უხმეთ მეკარეს, ჩაკეტოს ხიხანის კარები. გასაღებს თვალის ჩინივით
გაუფრთხილდეს. ამაშია დიდი სინდის-ნამუსი და მამულიშვილის წმინდა პა-
ტიოსნება.

სელიმის წინ სულთო იდგა. ხიხანის მეციხოვნე. შუბლზე ჯერ ვიღევ არ გადაშლოდა იმ ტანჯვის ანაბაჰლი, რაც განიცადა. სიცივეს დაეკოდა მისი გული და ყრუდ ახველებდა.

— დიდო მოამაგევ, მაპატიე კადნიერება. მე სრულებითაც არ მინდა წირილი მივაყენო მეკარის გულწრფელობას, მაგრამ მსურს გთხოვო, მე ჩამაბარე ციხის კარები! იქნებ უძინარია, ან უბედურება რაიმე სჭირს და ვერ მოგვაქცია ყურადღება...

ხიმშიაშვილმა გამომცდელი თვალებით შეხედა მას და მრავალმეტყველად შეათვალიერა. იქნებ ეჭვიც კი შეეპარა სპეტაკი სულთოს სისპეტაკეში. მაგრამ ამის საფუძველი ჭაბუკის თვალებში ვერ ამოიკითხა და მიმართა.

— შენ ჩემთან ერთად იბრძობებ, როგორც ჩემი მარჯვენი და იმედი...

* * *

ბაბა-ფაშის ექვსიათასიანი ლაშქარი ხიხანის მახლობლად მწვანე ველზე შედგა. ფაშამ ნაბადი კორდზე დააგო და თეძოზე წამოწვა. ირგვლივ შემოეჯარა ლაშქარო.

— არზრუმის ქურთი მომიყვანეთ აქ! — გასცა ბრძანება. მოიყვანეს ქოსა არზრუმელი. ქურთი მბრძანებლის წინ დაემხო. დესპოტმა მას მათრახი გადაუჭირა და წამოდგომა უბრძანა.

— შენ უნდა იყო არზრუმის ქურთთა მბრძანებელი!..

ქოსა გაფითრდა და აცახცახდა, რადგან ვერ გაიგო ფაშის ხუმრობა.

— შენ გეუბნები, არ კადრულობ გაუფროსებას? უკეთუ არა, წაგაცლი მაგ თავს.

— მზადა ვარ მოწყალეო...

— რამდენი ოქრო გინახავს ერთად.

— ერთი, ორი.

— ხაზინადარო! — დასჭექა ფაშამ, — რამდენი ოქრო გაქვს?

— რამდენიც საქმეს შველის, დიდო მფარველო!

— გადაეცი ამ ქურთს!

— და მიუბრუნდა ქოსას.

— ეგ ოქრო უბეში შეინახე და ხიხანის ციხის მეკლიტულისაკენ გაგვიძებ, ჯესმის? თუ არა, მაგ ოქროს გადავადნობ და ყელში ჩაგასხამ.

წამოდგა მბრძანებელი და ნაბადიც აიყოლია. ბალახი წელში აღარ ამართულა.

— მოემზადენით! — უბრძანა მხედრობას და ულაყს შოველო.

გამართა ბრძოლა ფიცხელი. ხიხანლების თითო ტყვიას თითო სიკვდილი მიჰქონდა მტრის ბანაკში. დაიღვარა სისხლი. გმირი გურჯები ებრძოდნენ არზრუმის დესპოტის გაწვრთნილ მეომრებს. დღე-ღამეს ცვლიდა, ღამეს-დღე. არ ნელდებოდა ხოცვა-ჟლეტა.

ბაბა-ფაშამ გადახედა თავის ლაშქარს. აღაშფოთა დამარცხების მოახლოებამ.

მებრძოლებს ამხნევებდა ხიმშიაშვილი, მაგრამ გრძნობდა, რომ საჭურველს ფხა გადაელია, მიილია სურსათ-სანოვაგეც და ტყვია-წამალიც.

— თუნდაც შიმშილით ამოვილიოთ, არ უნდა დავთმოთ ჩვენი მამულის ზერხემალი, ჩვენი ხიხანი! — ქადაგებდა სელიმი.

არზრუმელ ეშმაკეულთა ბილწი სულით აივსო ხიხანის გალავანი. მკანო-
ლი დასტები ემატებოდა... გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. დაილია ერთი
მუჟა აჭარლობა ურიცხვ მტერთან ბრძოლაში. მტრის ხელი მისწვდა არწივსაც...

სულთო სისხლისაგან დაიცალა... აბჯარხანის მცველ ჯავარდენას ხმალი
გაუცვდა ბრძოლაში. როცა დაჭრილი დაეცა, ხედავდა, დიდი მამულიმეილი
სელიმი ბაბა-ფაშის წინ იღო გათოკილი.

არზრუმის დესპოტი გამარჯვებულის მედიდურობით დაჰყურებდა მას.
ჯავარდენამ ერთადერთი ტყვია ინატრა, ფეხლეგანის შუბლი რომ გაეხვრიტა,
მაგრამ ნატვრა ნატვრადვე დარჩა.

სელიმს თავი მოჰკვეთეს...

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მან ყელში ხრიალით თქვა:

— მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას ჩემს შვილებს ვუტოვებ.



ჩვეუბ ანთონიას

კაცხის სვეტი

ლევან გოთუას

ზევით კაცხის სვეტი არის,
ქვევით ხევი კაცხურა.
მთას კი ნისლის ჩაბალახი
ხურავს, თითქოს კაცს ხურავს.
აქეთ ციხე ნარიყალა,
იქეთ ველი კრწანისის.
აქ სიცოცხლის სიყვარულით
გულმა დაღლა არ იცის.
ასპინძა და ბასიანი,
დიდებული მარტყოფი...
ღღეს ხომ იმათ სადიდებლად
სიმღერები არ გვყოფნის.
ყველგან სითბო, ყველგან სიტკბო
მშობლიური თბილისის,
საქართველოს ტკბილი მიწის,
საქართველოს თბილი ცის,
ქვეყნად ფასი სიცოცხლისა
ჩვენზე უკეთ ვინ იცის.
ყველგან ცოდნას ვეწაფებით
გულითა და ფიქრებით,
ძველისძველი საიდუმლოს
ნამარხებში მიგნებით,
დაცვეთილი ეტრატებით,
ასწლოვანი წიგნებით...
...საქართველო არ გვიყვარდეს,
რა ქართველი ვიქნებით!



პანგანგ ზაბიძე

ბავშვობის გასვენება

ზოგჯერ დავდევდი ჭრელკაბა პეპლებს,
ზოგჯერ ვიჭერდი ციციანათელას,
ხანაც დავყავდი ყანების მეკვლედ
პაპა პართენას.

ყამირი მიწა ფერავდა სახნისს,
ხრიოკ ველებზე კავიც ტყდებოდა,
ეჰ, რამდენი დრო ახლის გათლამდე
იკარგებოდა.

ახალ კავს ისევ აწყობდა პაპა,
მე კვლავ ვუძლოდი ნიშას, ღვინიას,
რამდენი ოფლი, რამდენი ჯაფა
გამოგვივლია.

ეჩიჩქნით მიწას, რიონის ველებს,
— ჰამო!... ჰა!... მიდი!.. — ისმოდა ხმები.
ქვიშიან ბელტებს აწყობს, ამღერებს
ღღეს ტრაქტორები.

ზოგჯერ დავდევდი ჭრელკაბა პეპლებს,
ხანაც ვიჭერდი ციციანათელას, —
აღარ სჭირდება ხარების მეკვლე
პაპა პართენას.



ილია ჩხეიძე

ღამის ფრინველი

წლებადღეული ზაფხული მთელმა ჩვენმა ოჯახმა მშობლიურ სოფელში გაატარა.

ძველი, თითქოს ჩვენს ხანგრძლივ მოლოდინში თვალდანისლული, ოდა მსიხარულით აივსო.

სათიბივით აბიბინებული კონდარი ერთ კვირაში მოითელა, ბილიკებით დაისერა.

ასწლოვანი ცაცხვების ძირში ჰამაკები გაიბლანდა.

სამზადს თავზე მუდამ კვამლის მუქ-ლურჯი სვეტი ადგა.

შავად ბზინავდა აივნის კედელზე ჩამოკიდებული სანადირო თოფი.

ლაფაროში შრებოდა კუნჭულა ბადე. იქვე, გვერდით, წვრილი კისრებით ერთმანეთს გადახვეოდნენ ანკესები...

გახალისებულ ბებიასა და ბაბუას ფუსფუსს ბოლო არ უჩანდა.

ძალიან კარგად გავატარეთ ზაფხული, ამდენი ნათელი მოგონება არც ერთი კურორტიდან არ წამოგვყოლია.

მაინც ყველაზე მეტად ერთი საღამო, დამამახსოვრდა, ყველაზე ნაკლებად მსიხარული საღამო.

ვასშმაღ ვიჯექით.

ტკბილად ვმასლაათობდით, ვიცინოდით, ვხუმრობდით, და სიცილ-კისკისში უცებ გაისმა:

— მოგიკვდეს ბებია... ნეტა რა დღეში ხარ, კოტე!

ამ უნებურმა ამოკვენსამ ყველას ხმა ჩაგვიწყვიტა. თავი ჩავლუნეთ. თითქოს შეგვერცხვა, რომ მსიხარულებაში ესოდენ ახლობელი ადამიანი დაგვავიწყდა.

მძიმედ ჩამოწოლილი ღუმილი ბაბუამ დაარღვია:

— კარგი, ქალო ახლა!.. მორჩი ტირილს!

— რა სიკვიდილმა უნდა გამაცინოს ნეტა! — ასლუკუნდა ბებია. — თქვენ ყველანი აქ, ის კი სადღაც ციხეში... არ ვიცი შია, ცივა...

— დაიწყებს ახლა მისებურად!.. არაფერია, ჭკუას ისწავლის!

— მტერი არაა მეტი! — წარმოთქვა მამამ დაგუბული, ყრუ ხმით, პაპი-

როსს მოუკიდა, მაგარი ნაფაზი დაარტყა და იისფერი ბოლის ბოლქვებს რედ ამოაყოლა. — ტყუილად კი არ თქმულა, თითო მახინჯი ყველა ოჯახშიაო.

— ნუ იტყვი მაგრე! — დედამ ცრემლით სავსე თვალები საყვედურით შეანათა მამას. — იღბალი ყოფილა მისი ასე და რას იზამ... ცუდ წრეში მოხვდა.

— რატომ ესენი არ მოხვდნენ ცუდ წრეში?! — აუწია ხმას მამამ და თითი ჩვენსკენ გამოაშვირა. — ესენიც ხომ ღვიძლი ძმებია, მისი სისხლხორცი!

ლაპარაკში ჩვენც ჩავერიეთ.

— ნუ ამართლებთ! — შემოგვიბღვირა მამამ. — შიოდა თუ წყუროდა-ტანზე აკლდა თუ ფეხზე, მითხარით ერთი?.. უკუღმართი რომ გამოვა კაციშვილი, იმის საშველი არ იქნება, არა!

— ამოიჩემე ჰო, ახლა შენებურად! — შეწყრა დედა.

— მითქვამს და ვიტყვი კიდევ... ძვლის გამტეხი, დედ-მამის შემარცხვენელი!

— რატომ ამბობ, შვილო, აგრე?! — საყვედურით უთხრა ბაბუამ. — შენგან ძალიან მიკვირს.

— არა, მამა, არა!.. მე ხელი ჩამიქნევია... ამოვიგლეჯ გულიდან და ის იქნება. ერთი შვილი ვითომც არ მყოლია.

— შვილის გულიდან ამოგლეჯა როგორ იქნება!.. რას ამბობ, რას, ადამიანო!.. — ამოიკვნესა ბებიამ.

— მე კი მინდა?!. ასეთი გამიჩნდა და რას იზამ... კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს.

დედა ფეხზე წამოიჭრა და სახეზე ცვირისახოცაფარებული, მეორე ოთახში გავარდა.

ბებიაც გაჰყვა.

„საწყალი დედა!.. ახლა ჩარგავს თავს ბალიშში და მთელი ღამე იტირებს“.

უცებ, სად იყო, სად არა, ოთახში ღამურა შემოიჭრა. მისმა შავმა ტანმაჯერ ელნათურთან გაიკრიალა წამით, შემდეგ კი ისე სწრაფად იწყო ფრენა ჰერსქევით, კედლების გასწვრივ, იფიქრებდი სადაცაა ზედ მიენარცხებო. კარგახანს იფრინა ასე. შემდეგ ღია კარებთან ერთხელ კიდევ შეიფარფატა მიმედ და ღამის სიბნელეს შეერია.

მთელი ამ ხნის მანძილზე ღამურასათვის თვალი არ მომიშორებია და როცა გაფრინდა, ვიგრძენი, რომ გულზე ცოტათი მომეშვა.

— იცი რა გითხრა, შვილო! — წარმოთქვა ბაბუამ ისეთი ხმით, მივხვდი რალაც ამბის მოყოლას აპირებდა. — კაციშვილზე ასეთი რამ არასოდეს არ უნდა თქვა... სამართად ადამიანის გასწორება რა საქმეა!.. აგერ ოთხმოც წელს მივალწიე, მთელი ახალგაზრდობა წვალეზაში გავატარე, ციხე არ დამკლებია და კატორლა, მარა სამარის გასასწორებლად ადამიანი არ გამიმეტებია... რა ჯურის ხალხი არ შემხვედრია, რამდენ ათას ბავშვს გაუვლია ჩემს ხელში ოცდაათი წლის მასწავლებლობის მანძილზე, მაგრამ ხელი ადამიანზე ერთხელაც არ ჩამიქნევია.

— მამა თუ გიყვარდე, პედაგოგიური ლექციის კითხვას ნუ დამიწყებ... ყველაფერი ეს თეორიაა... პრაქტიკულად კი ცოტა სხვანაირად გამოდის, ათასში ერთხელ მართლდება.

— ჯერ მომისმინე რა გითხრა!.. ის, რასაც ახლა გიამბობთ, არც პედაგოგის სახელომძღვანელოშია ამოკითხული და არც სადმე წერია... უბრალოდ დამურამ გამახსენა.

ბაბუამ ნიკაპი მოისრისა და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაიწყო:

— ცხრაასორის მარტში რომ ბათუმში მუშები დახვრიტეს, კარგად იცით... ისიც იცით, დემონსტრაციის შემდეგ უანდარმებმა მეც რომ დამაპატიმრეს... სწორედ იმდროინდელი ამბავია... ვერ ავიწერთ, რა დღეც ჩვენ მაშინ გამოვიარეთ, მარა ჩვენი გატეხა არ იქნა და არა. ვისი გამოწრთობილი ვიყავით, რომ ასე ადვილად ქედი მოგვეხარა.

ვეყარეთ, ერთი სიტყვით, ნესტიან კამერებში, ბევრი გვაწამეს და გვტყუებეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. მაინც არ გვეშვებოდნენ. განსაკუთრებით ერთი გამოძიებელი გადაგვეკიდა. პირდაპირ ღღინში მოგვსდევდა, სულს გვხდიდა და არც გვხდიდა. ბოგატროვი იყო გვარად, მგონი კახაყი.

გარეგნობაც შესაფერისი ჰქონდა: ჩვენიში რომ იტყვიან ძონძროხა ყაზახიო, ისეთი... ძვალმსვლილი, ჩაფსკვნილი, მუდამ არყით აქოთებული. მის ავკაცობას თავისთავად ამხელდა შავად ჩაყანგებული, უზომოდ გრძელი სახე ჩასისხლიანებული, უძინარი თვალებით. თვალებს ზემოთ წურბელასავით დაწებებული სქელი წარბებიდან ერთი, მარცხენა წარბი მუდამ ნერგულად უტოკავდა. მისი დაძარღვული და ბანჯგვლიანი, ორანგუტანის გრძელი ხელები ვისაც მოხვდებოდა, ტყუილია, ფეხზე ვერ დადგებოდა.

დაკითხვაზე მასთან თითო-თითო ავეყავდით, ციხის სულ ზემო სართულში. მცველებს დაითხოვდა და, მისი ჭკუით, ძლიერ მეგობრულად, დათაფლულად დაგვიწყებდა ლაპარაკს. ასეთ დროს იგი უფრო მეტ ზიზღს იწვევდა. მასაც მალე ბეზრდებოდა ეს ცუდად შენიღბული კომედია და ფუჭად დაკარგულ წუთებს ათმაგად გვაზღვევინებდა. არ მახსოვს, საკუთარი ფეხებით ერთხელ მაინც დაგბრუნებულყავით საკანში. უწყალოდ ნაცემ-ნახევვთ, მისიკვილებულთ, ზედამხედველები ჩაგვათრევდნენ ქვემოთ.

კატორღაში ჩვენი გაგზავნის წინაღღებში ბოგატროვი განსაკუთრებით გამძვინვარდა.

ერთხელ ნაშულამევეს წამოგვრეკეს.

პირველი მე გამომიძახეს.

ბოგატროვი, ჩვეულებისამებრ, თავის შაჭ, ულაზათო სავარძელში დამხვდა ფეხებგაფარჩხული. ნალით დაჭედილი, შენჯღრეული ჩექმები მაგიდის ქვემოდან გამოეჩარა. ახმახი ტანი კი, რომელსაც სავარძლის საზურგე ნახევრამდეც კი ვერ წვდებოდა, უკან გადაეგდო და ბეჭები კედლისათვის მიეხიჩნა.

— აბა, ბუნტოვშიკიო, რას გვეტყვი საყურადღებოს განშორების წინ?!. იქნებ ეგ გახურებული სოციალისტური თავი ცოტათი ჭკუაზე მოვიდა, ა?..

გამომწვევად თვალი თვალში გავუყარე.

— ო-ო-ო! — დაიხორხოცა ბოგატროვმა, კისერი დაცივნით მოიღრცა და ხელი გრძელ უღვაშებზე ჩამოისცა. — ნუ გაცხარდები, ძმობილო!.. ეგ ჩემთან არ გარგებს, — და ჩაშავებული კბილები გამოაჩინა.

შემეზიზღა და თვალი შერკინულ ფანჯარას მივაპყარ. პატარა იყო ფანჯარა, უფრო სარკმელი ეთქმოდა, მაგრამ იქიდან ისეთი გრილი, საამო სურნელები

ბით გაყდენთილი ჰაერი შემოდოდა, ნეტარებისაგან გამომძიებელი ციცი და მოსალოდნელი გვემაც.

ფანჯარაში არავითარი მიწიერი საგანი არ ილანდებოდა. მხოლოდ მთვარის მიმცხრალი შუქით იღუმლად მოკიანთე ცის პატარა ნაჭერი შემომცქეროდა. მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ ეს იყო გაზაფხულის ცა, რომ სადღაც, სულ ახლოს შრიალებდნენ ლორთქო ფოთლებით შემოსილი ზეები, ჰყვოდნენ ყვავილები... მე თვალს არ ვაცილებდი ფანჯარას, რათა რაც შეიძლება სრული ყოფილიყო გაზაფხულის უხილავი შეგრძნობა, რაც შეიძლება მეტი ნეტარება გამომეგლიჯა მოკლე წუთებისათვის გარდუვალი ტანჯვის წინ. მძიმე განწყობილებას რომ არ დავმორჩილებოდი, დავიწყე ვარსკვლავების თვლა.

ოცამდე დავთვალე, რომ სავარძლის ძალუმმა ჭრიალმა და ბოგატირიოვის მკახე ხმამ გამომაფხიზლა:

— გაზაფხულია, ძმობილო!.. ასეთ დროს დიდად სახალისო როდია საკანში ჯდომა... ბოლოსდაბოლოს, საჭიროა ამის გაგება, ძმობილო!

გაკვირვებით შევხედე.

„ნუ თუ ეს მან ახსენა გაზაფხული?! ისიც ცოდნია, რომ რაღაც სხვა სიამე ახლავს გაზაფხულის ღამეს... შეხედე, ამ პირუტყვს!“

უცებ, როგორც აქ რამდენიმე წუთის წინათ, საგამომძიებლო საკანშიც შემოიჭრა ღამურა. მოგეხსენებათ, ღამურა არავის უყვარს. პირიქით, რატომღაც მისდამი ბავშვობიდანვე ჩანერგილ ზიზღს ვგრძნობთ, მაგრამ ახლა შემეცოდა, ძლიერ შემეცოდა. მინდოდა რატომღაც მალე, სწრაფად გასცლოდა იქაურობას, მაგრამ აგვიანებდა, წრიპინით დაჰქროდა ჩვენს ზემოთ.

ამ დროს, ვხედავ, ბოგატირიოვი დგება და ნახევრად წელში მოღუნული, თითქოს ვილაცას ეპარებაო, კედელ-კედელ მიიწევს. ფანჯარას რომ გაუხსნორდა, უცებ აიძარბა და პატარა დარაბა ხმაურით მიხურა.

— არის! — ალტაცებით წამოიძახა მან და სახეზე სიცილის მაგვარი რაღაც გამოეხატა.

„პირუტყვი, პირუტყვი! — გავიფიქრე მე. — როგორ უხარია, რომ კიდევ ერთი არსება, ყოვლად უსუსური არსება მოამწყვდია საკანში... მედილეგის სიხარული!.. აი, როგორი ყოფილა მედილეგის სიხარული!“

მაგრამ უნდა გენახათ ჩემი გაკვირვება, როცა ეს უშნოდ აჩაჩხული კაცი თავისი უზარმაზარი ჩექმების ბრახუნით დასაჭერად გამოუდგა ღამურას.

— დაიჭი!.. დაიჭი! — ჰყვიროდა იგი და გამალებით იქნევდა თავის მოუხეშავ ხელებს. ისევ წინანდებურად გაჩერებული რომ დამინახა, თვითონაც შედგა და თითქმის შემევედრა:

— მომეხმარე, ძმობილო, მომეხმარე!.. ჩემს პატარა ბიჭს უნდა მივუყვანო... ოჰ როგორ გაუხარდება!

ყურებს არ დავუჯერე, მაგრამ არა, მან ნამდვილად ახსენა ბავშვი, პატარა ბავშვი. მას დაებადა სურვილი ვილაცას ასიამოვნოს. თქვენ გესმით!

არ ვიცი, როგორ გამოვუდექი მეც ჩემი დამძიმებული, მოსავათებული ფეხებით ლამურას.

დიდხანს ვსდიეთ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს პატარა მაგიდაზე გადაფარებული მაუდი ავიტაცე, და მოვუქნიე...

იატაკზე დაცემამდე დააცხრა ბოგატირიოვი ლამურას. ერთი ხვნეშითა და ქშენით დაუბრუნდა თავის სავარძელს ბავშვივით აღტაცებული, სახეგაბრწყინებული.

— გმადლობთ, ძმობილო, გმადლობთ! — იმეორებდა იგი წამდაუწუმ და მარცხენა ხელში მოქცეულ ლამურას მარჯვენათი ნაზად ეალერსებოდა. — ოჰ, როგორ გვახარებ ჩემს პატარა ბიჭს, ჩემს ვანიას!

იყო რაღაც სასიამოვნო და ამაზრზენიც ერთსა და იმავე დროს ამ ჯალათის სიხარულში.

სიამოვნებდა ის, რომ მასში წუთით მაინც გაიღვიძა ადამიანმა, სხვისთვის სიამოვნების მინიჭების წყურვილმა.

ამაზრზენი იყო ის, რომ ბოგატირიოვი ლამურას ეალერსებოდა. თითქოს თვით ბუნებამ გამოუჩინა და გამოუგზავნა მას ლამურა, ნახევრად ცხოველი, ნახევრად ფრინველი, რადგან ჯალათის ხელები საალერსოდ უფრო ნაზს ვერაფერს შეეჩებოდა. ჩიტს, ალბათ, უმალ გული გაუსკდებოდა.

ასე იყო თუ ისე, მე ვიხილე ადამიანის წუთიერი გაღვიძება ჯალათში, იშვიათი და საკვირველი ფერისცვალება.

არ იკითხავთ მერე რა მოხდა?!

უმალ საკანში გამაბრუნა. ერთხელაც არ აუმაღლებია ხმა, ერთხელაც არ წამოწეულა დასარტყმელად.

ეს იმდენად უჩვეულო იყო, ამხანაგებმა, შევატყვე, ეჭვითაც დამიწყეს ცქერა.


ეს უსაფუძვლო ეჭვი მეორე ღამით ყველას გაეფანტა. ბოგატირიოვი ისე სასტიკი არასოდეს ყოფილა. ეს ნეკნები სწორედ მაშინ ჩამიმტვრია სულძალღმა.

აი, რა მინდოდა მეამბნა თქვენთვის.

ხომ ხედავთ, თვით ჯალათის სულშიაც გამოანათა რაღაც ადამიანურმა, წმიდამ... მაგრამ ის ჯალათი იყო და ბოლომდე ჯალათად დარჩა... ასე დაგვეს, ასეთად აქციეს...

კოტე!.. აბა რა სათქმელია... უბრალოდ, ზომაზე მეტად პატივმოყვარე ბავშვი იყო... წააგო... თქვენთან გამყლანებისა შერცხვა, პირის გატეხვაც იუკადრისა და აი... თანაც ახლა სხვა დროა, სულ სხვა დრო... ყველა და ყველაფერი ადამიანში ადამიანის გაღვიძებასა და დამკვიდრებას ემსახურება.

ბაბუა დადუმდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს ნელი ხმით, თითქოს თავისთვის, დასძინა:



— მე მჯერა, რომ იგი კაცური კაცი გახდება... შენი შვილი... ჩემი შვილი...
შვილი... თქვენი ძმა... მთავარია, ადამიანში ეძიებდნენ ნათელს.

კარგა ხანს ვიჯექით მდუმარედ. ბაბუას ნამბობმა ღრმად ჩაგვაფიქრა. ბო-
ლოს უსიტყვოდ წამოვდექით და ჩვენ-ჩვენს საწოლებს მივაშურეთ.

დიდხანს არ დამეძინა იმ ღამით. დროდადრო მესმოდა დედის ოხვრა. მამია
და გივი ლოგინში წრიალებდნენ, ხშირად გვერდს იცვლიდნენ.

მხოლოდ მამის ოთახიდან არ ისმოდა ჩქამი.

ფანჯარასთან ვიწექი.

კარგად ვხედავდი მთვარის ცივი სხივებით მოსირმულ მაღალ ჩინარებს,
მოლზე გაწოლილ მათს გარინდულ ჩრდილებს და ვფიქრობდი კოტეზე.

უცებ მომეჩვენა, რომ ჩრდილები შეინძრენ. არა, ჩრდილები არა, მხოლოდ
ერთი, ერთადერთი ჩრდილი.

წამოვიწიე.

მდუმარედ გაწოლილ ჩრდილთა შორის, ანთებული პაპიროსით ხელში,
ნელ-ნელა მიმოდრიდა მამაჩემი.



სამუელ მაჩხაქი

ღღეს, ხვალ, თუ გუზინ

ზღაპარი

ქვეყნად ღარიბი ცხოვრობდა ერთი,
მისი შემცოდე არ იყო ღმერთიც.
როს არსებობა გაჭირდა ძალზე,
ფულისთვის ეშმაკს მიადგა კარზე.
— ასი მანეთი მოიტა ვალად,
განა გავუშვებ მას იავარად,
ვაჭრობით ფული დაიზოგება,
ფულს დაგიბრუნებ, გავყოთ მოგებაც...
სიტყვა „მოგება“ ყურში რა ჩაწვდა,
ისე ვით ვირთხა გრძელკუდიანი,
ღარიბთან უცებ ეშმაკი გაჩნდა,
შავსახიანი, მრუდერქიანი.
საფულე ქისა მას ხელში ჰქონდა,
წიგნი, ფანქარიც არ დავიწყოდა.
— ვალს როდის მომცემ? გექნება ფული?
— ხვალვე. ან ფული, ან ჩემი სული.
ვალს თუ ავიღებ, გადახდაც ვიცი,
არ შემიძლია გავტეხო ფიცი!
ასი მანეთი მან კაცს გადასცა,
ფანქრით აღნიშნა წიგნში რაღაცა.
და როს მზის შუქი შემოიპარა,
გაქრა, ვითომდა არა იყო რა.
აი, ღარიბი ბაზარში დადის,
ძვირად ასაღებს იაფად ნაყიდს.
და რაც მოიგო იმ ფულით ბოლოს
ქონი იყიდა და პური მხოლოდ.
ველარ გაუძლო შიმშილს საწყალმა,
დილით პური და ქონი შეჭამა
და ჩაეძინა მადლიერს მართლა.
მაგრამ ეშმაკიც დგას აგერ, კართან.

ბუტბუტებს: — ვალი მომეცე, ან და
 შენს სულს წავიღებ, მოვიდა ვადა.
 მაგრამ ღარიბი პასუხობს: — ვერა!
 ვალის გადახდა ადრეა ჯერა.
 ჩვენ ხომ ხვალ დაეთქვით გადახდა ვალის,
 დღეს ჩემს სახლს რისთვის დაადგი თვალი?
 შერცხვა. თვალეები მიაველ-მოაველო,
 და შეტრიალდა, თქვა, ხვალ მოვალო.
 დილით კი ისევ ავსული წყენით
 თხოვს: — ფული მომე, ან სული შენი.
 — არა! ეშმაკო, თავში რა გიდევს, —
 ბრაზდება კაცი, — რისთვის მალვიძებ?
 ვალის გადახდა ხვალისთვის მიწევს,
 შენ კი მას ისევ დღეიდან იწყებ.
 თუ, საცოდავო, ვერ გამოთვალე.
 ახლა—დღეს ნიშნავს და არა ხვალეს?
 მეორე დილით კვლავ იდგა კართან,
 მაგრამ პასუხი იგივე დახვდა.
 და ბოლოს, კაცმა რომ თქვას მართალი,
 მოწყინდა ეშმაკს უქმად წანწალი.
 ასე დაასკვნა: ჩააგდოს ხვალე:
 და ზეგისათვის ნახოს მოვალე.
 ზეგ დილით, როცა ზეცამ ინათა,
 ეშმაკი იდგა კაცის ჭიშკართან.
 შუა ეზოში დგას ნეკერჩხალი,
 ზედ წარწერაა ახალთ-ახალი:
 „მოდი, ეშმაკო, ვალისთვის გუშინ!“
 გადავაცილე! ამბობს ის გულში.
 რომ დღეს „დღეს“ არის, თავად რწმუნდება.
 „გუშინ“ კი უკვე არ დაბრუნდება.

თარგმნა შალვა შუბლაძემ.



ჯეინ უოლზი

პირველი ბავშვი

ნაწყვეტი მოთხრობიდან „ასე არ უნდა იყოს“

თანამედროვე ინგლისელი მწერალი ქალის მოთხრობა „ასე არ უნდა იყოს“, რომლის ნაწყვეტსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ავტორი თავისი ოჯახის ისტორიას გადმოგვცემს, რაც ამავე დროს ინგლისის გარეუბანში მცხოვრები მრავალი ათასი მუშის ოჯახის ისტორიაცაა.

ჩემს სიხარულს კარგა ხანს საიღუმლოდ ვინახავდი. დიდ და თანაც უცნაურ ბედნიერებას ვგრძნობდი და ამასთან ძლიერ კმაყოფილი ვიყავი.

ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მცოდნოდა ბავშვის აღზრდაზე.

ამ თემაზე დაწერილი ყველა წიგნი წავიკითხე და აღარ მიმუშავია მას შემდეგ, რაც ეს სიამოვნება ვიგრძენი. მსურდა დაბადებამდე შემექმნა მისთვის განვითარების ნორმალური პირობები. ექიმის დარიგებას ზუსტად ვასრულებდი.

მხოლოდ ერთი რამ მაღარდებდა, ჩვენი ექიმი მაკი მოკვდა, მე კი მსურდა მასაც გაეზიარებინა ჩემი ბედნიერება.


მის მაგიერ ახალგაზრდა შოტლანდიელი ექიმი ბილი მოვიდა. იგი ძლიერ კეთილი და მზრუნველი აღამიანი იყო და მეც ყურადღებით ვუსმენდი მის ყოველ დარიგებას.

გადაუჭრელ პრობლემად გადაიქცა ჩემი მომავალი ბავშვის „მზითვეი“. ბევრი ძებნის შემდეგ პატარა სავაჭროს მივაგენი, იქ ფლანელის ნარჩენები იყიდებოდა. ამ ნარჩენებით თითქმის ყველაფერი დავამზადე — ქვეშაგები, საცვლები, ტანსაცმელი და სახვევები.

საკერავი მანქანა არ მქონდა და ყველაფერს ხელით ვკერავდი. მაღაზიაში წყვილი ღამის საცვალი ორნახევარი პენსი ღირდა. მე კი ზოგჯერ ბავშვის ტანსაცმლის შესაფერ ნაკრებს მთელი კვირა ვეძებდი ძველმანებით მოვაჭრეებთან იქ, ჩვენ რომ ქუჩის ბაზარს ვეძახით. სამაგიეროდ, სატინისა და კრემ-ღინის თითო კაბა 4,5 პენსი ღირდა. ამას რომ მოვრჩი, ქსოვა დავიწყე და მალე ყველაფერი მზად იყო. ხშირად ვიღებდი მათ უჭრიდან, სიხარულით დაცქეროდი და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ მოერგებოდა ჩემი შეკერილი ტანსაცმელი ბავშვს.

ძალზე გაძნელდა საბავშვო ეტლისა და საწოლის შოვნა...

ვერ გავბედე ნისიად გამომეტანა. თუმცა ჩარლის ხელფასი მოუმატეს და ახლა იგი კვირაში 36 შილინგს იღებს, მე არ შემეძლო ამოდენა ხარჯის გავწევა.



მთელი კვირა ვიარე გადაწყვიდევლთა სავაჭროებში. და, ბოლოს, გავმდ-
ნიერდი, 12 შილინგად და 6 პენსად ვიშოვე ბავშვის საწოლი.

როცა ჩარლი სასაუბროდ მოვიდა, საწოლი უკვე სახლში მქონდა.
იგი ახალივით ბრწყინავდა.

ფლანელის ნაჭრებისაგან ბალიში და ლეიბი შევკერე, რისთვისაც ცოტა
მატყული ჩვენი ლეიბიდან ამოვიღე. ფლანელის ნარჩენებისაგან ერიკის საბანიც
დავაკერე. საუცხოო გამოვიდა.

დედაჩემმა, ყველაფერი ეს რომ დაინახა, ძლიერ შეშინდა. მისი თქმით —
ბავშვი არ იცოცხლებდა, თუ კი ეტლსა და საწოლს დაბადებამდე უყიდდნენ,
მაგრამ ამ ძველი ცრუმორწმუნეობის საწინააღმდეგოდ, ჩემი ბავშვი ჯანმრთე-
ლი დაიბადა.

საუბედუროდ, ეტლი ვერსად ვიპოვე. ამან ძლიერ შემაწუხა.

ჯო დამპირდა, გაგიკეთებო, და მართლაც გამიკეთა ხის ყუთისაგან. ის დი-
დი და გამძლე იყო.

ეტლს „ტროადო“ დავარქვი, რადგან ისე გამოიყურებოდა, როგორც ტროა-
დოს ლეგენდარული ცხენი — გაცრეცილი და მოუხეშავი. რა გავწყობოდა. სა-
გულდაგულოდ გავწმინდე, შევღებე, გავაპრიალე, ნარჩენი ნაჭრებისაგან შე-
კერილი ფარდებით მოვრთე, მაგრამ ხის ყუთი ყუთადვე დარჩა; მაინც
ძლიერ გახარებული ვიყავი, რადგან უკანასკნელი ნატვრა ავისრულე.

ახლა დიეტაზე დავიწყე ზრუნვა. კალნაბს გარდა გემო არაფერს ჰქონდა,
ხოლო კალნაბი არასოდეს მეჭამა.

„ეს მისი ჟინიანობაა და სხვა არაფერი“, ასე ჩასჩურჩულა ერთხელ მეზო-
ბელს დედაჩემმა. საუბედუროდ, მე გავიგონე.

„ეს ხომ ბუნებრივი საშუალებაა — დედამ უნდა ჰამოს ის, რაც ბავშვის-
თვის აუცილებელია“.

რაც არ უნდა მომხდარიყო, ვახშმად აუცილებლად უნდა მქონოდა ერ-
ბოში გაკეთებული კალნაბი. მის გარდა სხვა არაფერი მიხდოდა. ჩვენი ქუჩის
კუთხეში რომ მემწვანაილეა, იმის გოგო ელსი მიხახავდა კალნაბის ნარჩენებს
ორ პენსად.

გირვანქა კარაქი 9 პენსი ღირდა, ხოლო ჩარლი კვირაში 36 შილინგს იღებ-
და, ასე რომ არ გვიჭირდა.

შაბათობით მე და ჩარლი შავ ბაზარში ვხეტიალობდით. მას ყოველთვის
ჰქონდა ერთი შილინგი, ხმაჩახლეჩილი აუქციონერისგან ჩემთვის ტკბილე-
ულობა ან შოკოლადი რომ ეყიდა.

ახლა უკვე დამოუკიდებელი ქალი ვიყავი. კვირაობით დღის წარმოდგენას
ვესწებოდი, რისთვისაც 2 ან 4 პენსი მეხარჯებოდა. ეს იმაზე იყო დამოკი-
დებული, თუ ჯიბეში რამდენი ფული მქონდა. მე დიდ სიამოვნებას მგვრიდა ეს
მცირე ვართობა.

ერთმა შემთხვევამ კი ძლიერ შემაწუხა. ჩვენს ქუჩაზე ერთ ოჯახში მღვდე-
ლი დადიოდა. ამ ოჯახში მუდამ ქეიფობდნენ და ჩხუბობდნენ, ხოლო ბავშვებს
ქუჩაში ყრიდნენ. მღვდელს ჩვენი კარების წინ უნდა ჩაევლო. მე სრულიად არ
ფეიქრობდი იმაზე, რომ ეს მღვდელი ჩვენთან არ შემოდიოდა, მაგრამ ჩვენს
გვერდით მცხოვრები საბრალო ქვრივი, რომელსაც ერთი ბავშვის მეტი არაფე-
რი გააჩნდა, ამის გამო ძლიერ ნაწყენი იყო.

„ეს იმიტომ, — ვაიმედებდი მე, — რომ ჩვენ საშუალება არ გვაქვს ყო-
ველ კვირაში 3 პენსი გადავუხადოთ ეკლესიას, ხოლო მათ კი შეუძლიათ“.

თანაც ვფეიქრობდი, რომ კვირაში 3 პენსი ძლიერ იაფი საშუალება იყო
სამოთხეში ადგილის დასამკვიდრებლად.

ძლიერ ტლანქი და მოუხეშავი გავხდი.

მშობიარობის დრო აწლოვდებოდა და ჩემი ყოველდღიური სეირნობა
პარკსა და კინოში დავიწყებას ეძლეოდა.

დღეები ზანტად მიიზლანებოდნენ. ყოველთვის მოუსვენარი და მშფოთ-

ვარე წარსული მქონდა და ამგვარად ცხოვრებას ახლა ვეღარ ვეგუებოდი. ამას კიდევ ის დაერთო, რომ ერთ ბნელ ნოემბრის დღეს ხელი პრატი მოკვდა.

მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ იგი 51 წლის ყოფილა. ამან ძლიერ გამაკვირვა, რადგან რაც მას ვიცნობდი, ყოველთვის მოხუც ქალს ჰგავდა.

ჩვენ ვიცოდით, რომ პრატი ასთმის გამო გადმოვიდა ქვემო სართულზე. ვიცოდით, რადგან ხშირად შევდიოდით მასთან ოთახში და ჩაის ან სხვა რაიმე საქმელს შევუტანდით ხოლმე.

ის მოკვდა ისე, როგორც ცხოვრობდა, მარტო, ყველასგან დაეიწყებული.

მე დავესწარი ნელის დასაფლავებას, მაგრამ როდი ვწუხნი მის სიკვდილს! რა სიამოვნება უნახავს მას სიცოცხლეში? მხოლოდ მუშაობა და სილატაკე.

მის ქონებას არავინ დაეპატრონა. მე ვიდექი ეზოში, ვუყურებდი, თუ ბოლოს აუქციონერმა ჩალის ფასად როგორ გაყიდა ნელი პრატის საქანელა სკამი.

უეცრივ მკერდში ტკივილი ვიგრძენი.

შემეშინდა, როგორ გავიმეტე ჩემი მომავალი პატარა არსება ამგვარი ცხოვრებისათვის? იქ, სადაც კეთილდღეობას ასე არათანასწორად ანაწილებენ, მე რომ შუა ან ზედა ადგილი მჭეროდა, კიდევ არაფერი, მაგრამ ამგვარი ცხოვრებისათვის?! ოხ, არა!

აუქციონერი რეკვას განაგრძობდა. მე კი ცრემლებისაგან დაბრმავებულ კვაფენილზე ბორძიკით მივიკვლევდი გზას სახლისაკენ.

ლოგინზე დავემხე და ავტირდი. ეს იყო პირველი ტირილი ორსულობის შემდეგ. მწარე და მტკივნეული იყო ეს ცრემლები. მე ვტიროდი ნელის. მე ვტიროდი იმას, რაც ნელის არასოდეს არ უნახავს თავის სიცოცხლეში, ჩემს ბავშვს, რომელიც 50 წლის შემდეგ ასე ფუჭად დაასრულებდა თავის სიცოცხლეს, ჩემს დაკარგულ ახალგაზრდობას, რომელიც ამაოდ შევწირე არსებობისათვის ბრძოლას.

დე, პოლიტიკოსებმა ილაყბონ ჩვენი საკვირველი თავისუფლების შესახებ. არსად მოიბოვება თავისუფლება იმ ქვეყანაში, სადაც სიღარიბის ბორკილები ანშობენ სიცოცხლის სიყვარულს!

ტირილისაგან დაქანცული ძლივს ავდექი. სახეზე წყალი შევისხი და ჩაი დავლიე. ამასობაში ჩარლიც დაბრუნდა სამუშაოდან. მე უკვე კარგად ვიყავი. არაფერი მითქვამს, რა საჭირო იყო მისი აღელვება?

ორსულობის შემდეგ ყოველთვის ექიმთან დავდიოდი. ხშირად ვავადმყოფობდი, ადვილად ვიღლებოდი, მაგრამ თავს არ ვიწუხებდი, სანამ ფეხი არ ამტკივდა.

მაშინ კი ექიმმა მითხრა, საჭიროა სახლში ვინმე დამხმარე გყავდესო.

მე გამეცინა. ექიმი კი დაჟინებით მოითხოვდა და მეც შევიტანე განცხადება ავადმყოფობის გამო დახმარება მოეცათ ჩემთვის. მართალია, კვირაში 12 შილინგი ბევრი არაფერი იყო, მაგრამ მაინც დახმარებად ითვლებოდა.

ღარტის კარგად ვიცნობდი და დახმარების დიდი იმედი არ მქონდა, ამიტომ ძლიერ გამიკვირდა, როცა სამი კვირის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ ჩემთვის დახმარება, მანამ, სანამ დამზღვევი საზოგადოების ექიმმა საკმაოდ ჯანმრთელად არ მცნო.

არ გამკვირვებია, რადგან ყოველთვის ასე ხდებოდა და მეც ამას მოველოდი, მაგრამ ექიმი ბილი გაბრაუნდა, იგი დაელოდა მეორე შემოწმებას და დაჟინებით მოითხოვდა კიდევ წავსულიყავ ექიმთან.

მან არ იცოდა, რა საშინელება იყო ჩემთვის ექიმთან მისვლა. დღესაც კი ვწითლდები, როცა ჩემი უკანასკნელი საექიმო შემოწმება მომავაგონდება.

მე თხელი ფარდის იქით უნდა გავსულიყავ, იმავე ოთახში, სადაც ექიმი იჯდა, და მომეშარდა. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ანალიზისათვის სხვა ქალის შარდი არ შეგვეტყუებია.

ექიმი და მომვლელი ქალი უხეშად მეპყრობოდნენ, მიყვიროდნენ და ისე 'მელაპარაკებოდნენ, თითქოს ავადმყოფი კი არა, ბორტმოქმედი ვიყავი.

ამჯერად თავს ძლიერ ცუდად ვგრძნობდი. ისე სუსტად ვიყავი, რომ ერთი ფინჯანი ჩაის დალევაც ვერ შეეძელი. ხოლო იმის შემდეგ, რაც ცივ მოსაცდელ ოთახში ვიჯექი და ქალის საუბარს ვისმენდი მისი უკანასკნელი მშობიარობის შესახებ, კიდევ უფრო ცუდად გავხდი.

კუთხეში ვიჯექი საბრალო, ავადმყოფი და გათოშლილი, როცა ბოლოსდაბოლოს მომვლელმა ქალმა გამომიძახა. ძლივს ავდექი. „ჩქარა, ჩქარა, ნუ გვაცდევინებ აქ მთელ დღეს!“ — დაიღრიალა მათ შორის ვიღაცამ.

მე სიბრაზისაგან გავწითლდი.

რას ეკარგავ? ეს ღორები აქ იმიტომ სხედან, რომ ჩვენ, პირიდან ლუკმა გამოგვტაცონ! და მეც დავიღრიალე:

„თქვენ ამისთვის ფულს გაძლევენ!“

ჩემმა პასუხმა დიდი გოაცება გამოიწვია. ექიმის მაგიდას მიეუახლოვდი, მას სათვალე ცხვირის წვერზე ჰქონდა. იგი სახტად დარჩა იმიტომ, რომ მისმა ერთმა უენო პაციენტმა სიტყვის შებრუნება გაბედა.

გამელიმა.

იგი დაბნეული მიყურებდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

დავჯექი. არ დავლოდებოვარ ექიმის თხოვნას.

ბოლოს ექიმმა სათვალე გაისწორა, აღელვება შეიკავა. ქალაღლები უმიზნოდ ხელში შეატრიალა და შეკითხვებისათვის მოემზადა.

თუ თავაზიანად შემეკითხებოდა, მეც თავაზიანად ვუპასუხებდი, თუ უკმეხად, მეც უკმეხად ვაცემდი პასუხს. ჩვენი ურთიერთობა სასაცილო მომეჩვენა და მე ჩავიფრუტუნე.

„ვერაფერს ვხედავ აქ სასაცილოს“, — მითხრა ექიმმა.

„თქვენ კი გინდოდათ, რომ დაგენახათ?“ — შევეკითხე.

„მან არაფერი მიპასუხა.“

ექიმის თანაშემწე ქალმა საერთო საპირფარეოსაკენ მიმიითია.

„არ შემიძლია, სანამ ექიმი აქ არის“, — ვუთხარი.

„ნუ სულელობ“, — მითხრა ქალმა, — ექიმი ჯვარდაწერილია.“

„მერედა ჩემზე ხომ არ არის?“

ისინი სიბრაზისაგან გაცოფდნენ.

„მას უფრო უარესიც უნახავს!“ — წამოიძახა ქალმა.

„შესაძლებელია. მაგრამ მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი.“

ექიმი სკამიდან ადგა.

„თუ ამ ქალს ცოტათი არ დავუთმეთ, — გაბრაზებით თქვა მან, — თორმეტ საათამდე აქ ვიქნებით“ — და კარები გაიჭახუნა.

საექიმო შემოწმება დამთავრდა. როცა წამებს ბოლო მოეღო, მე გონს მოვედი.

ლიდინით ჩამოვდიოდი კიბეებზე. გვერდით ექიმის თანაშემწე ქალმა ჩამიარა. მე გავუღიმიე და მივესალმე. ახლა ვწუხდი, რომ ასე უკმეხად მოვიქეცი. ბოლოსდაბოლოს, საბრალომ პურისა და კარაქის ფული ხომ უნდა იშოვოს, რაც არ უნდა ცუდი ადამიანი იყოს? მან შეშინებული, უსიცოცხლო თვალებით შემომხედა და გზა განაგრძო.

უკვე ყველაფერი დავიწყებული მქონდა, როცა ექიმთან მივედი ცნობის მისაღებად.

იგი მბრუნავ სკამზე შემოტრიალდა და შემომხედა.

„თავს როგორ გრძნობთ?“

„გმაღლობთ, ექიმო, ბევრად უკეთესად.“

ექიმა ჯერ ბრძანება დაწერა, ხოლო შემდეგ — ცნობა დახმარების მისაღებად.

„ესეც ასე. რახან დახმარება დაგინიშნეს, ჩანს, კიდევ მრავალი ავადმყოფობა გქონიათ ისეთი, რომელიც მე ვერ აღმოვაჩინე“, — თქვა მან და ცნობის მოყვარეობით შემომხედა.

„რა მოიმოქმედეთ თქვენ ამისთვის?“

„არაფერი. მე ისე მოვიქეცი, როგორც ისინი იქცეოდნენ.“

ექიმა თავი უკან გადასწია და გადაიხარხარა.

„სასაცილოა, — თქვა მან, — ამიტომ ჩაუთვლიათ უიმედოდ თქვენი მდგორეობა“.

გამეღიმა.

„ჩვენს შორის დარჩეს, და მეც ასეთივე წარმოდგენის ვარ მათ შესახებ“, — ვუთხარი ექიმს.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მარგარიტას დაბადებამდე კვირაში 12 შილინგს ვიღებდი, ყოველგვარი შემოწმების გარეშე.

საბრალო დარტი! მას ისე უჭირდა 12 შილინგის გაცემა, როგორც საკუთარი პირმშოსი.

პირველად მხოლოდ მაშინ გამიღიმა, როცა მთხოვა დასასვენებელი სახლის მიერ გამოწვებული ლატარიის ერთი ბილეთი მეყიდა. მე კი მთელი დასტავიყიდე და ვგონებ დამბლა დაეცა, როცა პირველი პრიზი — ინდაური მოვიგე.

ამ ხნის მანძილზე ცოტა რამ შევისწავლე ბავშვის მოვლაში.

ყოველ კვირას ქალთა პოლიკლინიკაში დავდიოდი. იქ ექიმებიც და თანამშრომლებიც ძლიერ კარგ დარიგებებს გვაძლევდნენ და თანაც თავაზიანად გვიღებდნენ.

ჩვენ, მომავალი დედები, სხვადასხვა სოციალურ ფენას ვეკუთვნოდით, მაგრამ ისინი ყველას ერთნაირად გვეპყრობოდნენ.

თუმცა ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობაში ვიყავით.

ვიწრო მაღალზურგიან სკამზე ვჯდებოდით ხოლმე, ისე, რომ ჩვენი დეფორმირებული სხეულის სიმახინჯე უფრო თვალსაჩინოდ ჩანდა. როცა ახლად შემოსულის გაოცებულ შემოხედვას შევამჩნევდით, ორსულთა უმშვენიერესი მწკრივის დანახვით გამოწვეულს, ჩვენ ბევრს ვიციოდით.

ვიცოდით, თუ რომელი ქალი როდის უნდა მორჩენილიყო და მხიარული სიცილით ვხვდებოდით იმის გამოჩენას, ვისაც ექიმა უკვე დიდი ხნის წინათ უწინასწარმეტყველა მორჩენა.

განსაკუთრებით მისის ჯონსი გვაძხიარულებდა. იგი ყოველწლიურად მშობიარობდა. არავინ იცოდა, თუ რამდენი ბავშვი ჰყავდა. იგი შეხედულებით საშუალო ხნის ჩანდა. როცა მისი მშობიარობის ყველა დრო გავიდა, მან თქვა, რომ ეს ბედნიერი შემთხვევა გადასდო, რადგან ბავშვის სახევეები და ქვეშაგები დაგირავებული ჰქონდა და თავისი მოხუცი ქმრის ხელფასს უცდიდა, ლომბარდიდან რომ გამოეტანა ისინი.

ჩვენ, ვინც პირველად ვიყავით აქ, ძლიერ გვეშინოდა უკანასკნელი საექიმო შემოწმებისა. ახლა საუკეთესო სპეციალისტებს უნდა გავესინჯეთ.

მთელი კვირა არ დამიძინია და არც არაფერი მიჭამია. ეს კი უფრო ძნელი იყო, ვიდრე კბილის ექიმის სკამზე ჯდომა.

დაბოლოს, როცა ექიმებთან გამოცხადდით, რვანი ვიყავით, ყველანი უკანასკნელ თვეში გადამდგარი და თანაც ძლიერ განერვიულებული, გვითხრეს, რომ გავგეხადა და თვითფულს ფერადი ხალათი მოგვცეს.

ჩვენ მწკრივში დავსხედით, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილნი. ჩვენს დანახვაზე კაცს მომღერალთა გუნდი წარმოუდგებოდა თვალწინ. სიცილს ვეღარ ვიკავებდი.

მაგრამ დიდხანს არ მიცინია.

თიფო-თითოდ შევდიოდით ექიმის ოთახში.

როცა ერთი გამოვიდოდა, მეორე შედიოდა.

ყველას, ვინც ჩემამდე შევიდა ექიმთან, რალაც მიზეზი აღმოაჩნდა.

ექიმები დარიგებას აძლევდნენ მომავალ დედებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ყველას, გარდა ერთისა, ჯანმრთელი ბავშვი შეეძინა.

წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში ვიქნებოდი, სანამ ჩემი რიგი მოვიდოდა, როცა ვხედავდი, ექიმის კაბინეტიდან როგორ გამოდიოდნენ თვალცრემლიანი ქალები.

მეშვიდე ქალს, როცა ექიმის კაბინეტიდან გამოვიდა, ადამიანის ფერი არ ედო. ექიმს ბავშვი შეებრუნებინა. მართალია, ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ დედა კი ძლიერ ცუდად გამოიყურებოდა.

შევშინდი. არ შემიძლო, თორემ მისაღები ოთახიდან გავიქცეოდი, მაგრამ შიშისაგან დამუნჯებულს, ყველაზე უფრო ის მაწუხებდა, რომ მამაკაცს უნდა გავესინჯე.

როცა შევედი, შვებით ამოვისუნთქე, მაგიდასთან ჩვენი პოლკოვნიკის ექიმი ქალი იჯდა. კაცი კი ხელს იბანდა და თავი არ აუწევია, სანამ გასასინჯადგილზე არ დავწექი.

ტყუილუბრალოდ გავატარე უძილო ღამეები. ამ საექიმო შემოწმებაზე ადვილი არაფერი მინახავს და არც კი შეიძლებოდა იმაზე უფრო ლმობიერი და თავაზიანი ექიმის ნახვა.

მალე ყველაფერი დამთავრდა. მითხრეს, რომ ორსულობა ნორმალურია და შემიძლია სახლში მოვრჩე. ამან ძლიერ გამახარა, რადგან სახლში მშობიარობა ბევრად უფრო ცოტა ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე საავადმყოფოში. მე კიდევ მესაჭიროებოდა ექიმის მეთვალყურეობა. სამაგიეროდ ჩემი ბავშვი, ჩემი ბავშვი კარგი იქნებოდა.

მართალია, სახლში ცეკვით ვერ წამოვედი, რადგან ძლიერ მოუქნელი ტანი ამას არ მანებებდა, მაგრამ გული კი სიხარულისაგან მისტოდა.

უკანასკნელი კვირები უსასრულოდ გაგრძელდა და უკვე ვფიქრობდი, რომ ჩემი გოგო არასოდეს არ დაიბადებოდა. მაგრამ, დაბოლოს, ჩემი დროც მოვიდა. ორი დღედაღამე ვეწამე, მაგრამ ბავშვი ვერ ვშობე. მაშინ ექიმმა თქვა, მაშა უნდა ვისმაროთო.

მე იმედი დამეკარგა. ძლიერ მინდოდა ბავშვი ნორმალური მენახა.

„გოგონა ხომ ნორმალური დაიბადება?“ — შევეკითხე ექიმს.

დარწმუნებული ვიყავი, რომ გოგო იქნებოდა.

„რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო, ნუ სწუხარ. ბავშვის შობა ძლიერ ადვილია. მე კვირაში 60 მშობიარობას ვესწრები“.

„ეს არაფერს არ ნიშნავს, — ვუბასუხე, — თქვენ შეგიძლიათ 60-ჯერ დაინახოთ, თუ როგორ აძრობენ კბილს, მაგრამ სანამ თქვენ თვითონ არ ამოიძრობთ, ვერ წარმოიდგენთ, თუ რა საშინელებაა ეს“.

ექიმს გაეცინა.

„კარგი, ჩემო კარგო, ახლა დროა დაიძინო, სულერთია, ლაპარაკში ვერ გაჯობებ“. ამ ლაპარაკის დროს მან ნარკოზი მიმალებინა და რამდენიმე ხანში ღრმად ჩამეძინა.

III

როცა გამოვიდვიძე, საოცარ სიმშვიდეს ვგრძნობდი. წარსული დღეები დავიწყებას მიეცა.

ძლიერ სუსტად ვიყავი. ტკივილი აღარ მაწუხებდა. ოთახში ნელა მიმოვიხედე.

იქ იყო დედაჩემი... იქ იყო ჩარლი... იქ იყო ბებია ქალი... იქ იყო ექიმი...

ნელა, რიგრიგობით შევხედე თვითვულს, ვცდილობდი გაღიმებას; სამაგიეროდ არავინ გამიღიმა. რატომ გამოიყურებიან ასე საწყლად?



ისარივით ბასრმა აზრმა გამიელვა: „ჩემი ბავშვი, სად არის ჩემი ბავშვი?“ თუმცა ძლიერ დაღლილი ვიყავი, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა მენახა. ბალიშიდან თავის აწევა ვცადე, ვილაცამ ნება არ მომცა. ეს ექიმი იყო.

— მოითმინე, ჩემო ძვირფასო, შენს გოგოს ნაკვალევი აჩვენეია, მაგრამ არაფერია, ორ-სამ დღეში გაუქრება.

ბავშვი მომიყვანეს.

ყველა გაჩუმდა.

მისი ნამცეცა სახე ისე გაეჭეჭყათ და დაემახინჯებინათ, რომ მუყაოზე დახატულ კარიკატურას ჰგავდა. პირი მოქცეული ჰქონდა, ხოლო თავის კინკრისი ნ დიუმით დაგრძელებული.

იგი ისეთი სასაცილო შესახედავი იყო, რომ სიცილი ვერ შევიკავე. თუმცა, მიუხედავად ნაიარევისა და ამომავებული თვალის უპეებისა, ლამაზი მეჩვენებოდა.

დედაჩემის ტირილი შემომესმა.

ეს იყო ყველაფერი, რაც მას დაემართა, და შვებით ამოვისუნთქე. ჩემთვის სრულიად არ ჰქონდა იმას მნიშვნელობა, თუ რას ჰგავდა ბავშვი. მთავარი ისაა, რომ გოგო ცოცხალია, მე კი მკვდარი მეგონა.

სწორედ ამ დროს ბავშვი ატირდა.

ნორა ცეცხლთან ჩამოჯდა და ბავშვი მუხლებზე დაიწვინა.

ბებია ქალმა თბილი წყალი მიაწოდა. ნორამ მოთმინებით დაუწყო ბავშვს წყლის დაღვინება. იგი სასაცილოდ ყოფდა პატარა წითელ ენას იმ მხარეს, სადაც პირი არ ჰქონდა მოგრეხილი. მე მეცინებოდა, ექიმი ჯავრობდა.

საბრალო დედაჩემი! არასოდეს არ უტირია მას ასე ხმამაღლა. იგი ტიროდა, თან იმეორებდა: „საბრალო კრავი“.

მაგრამ „საბრალო კრავი“ რამდენიმე დღეში სავსებით გამოჯანმრთელდა; დიდი ცისფერი თვლები გაუმუქდა, შავი ბუსუსები ამოუვიდა. ეტყობოდა, რომ მალე ლამაზი, ჯანმრთელი ბავშვი გახდებოდა.

მშობიარობის შემდეგ მთელი კვირა ავად ვიყავი, ისე, რომ არავითარი ინტერესი არ გამომიჩენია დარტის „საშობაო საჩუქრისადმი“, როგორც ჩვენ ვეძახდით იმ ინდაურს, რომელიც ლატარიაში მოვიგე.

ინდაური ისე იყო გამხმარი, რომ ძვლების მეტი არაფერი გააჩნდა, მაგრამ მაინც გემრიელი საჭმელი დავამზადეთ და მთელ დღესასწაულზე გვეყო.

ისევე, როგორც ყველა დედას ჩვეოდა ჩვენს უბანში, ჩემი საწოლიც სასადილო ოთახში ჩამოვიტანეთ, რადგან საკმაო ნახშირი არ გვქონდა, დასაძინებელი ოთახიც რომ გაგვეთბო, ვარდა ამისა, დღისით მომვლელი არავინ მყავდა, ხოლო მეზობლებს პირველ სართულზე უფრო ეხერხებოდათ შემოსვლა ჩაის გასაცხელებლად ან იმის გასაგებად — რაიმეს ყიდვა ხომ არ იყო საჭირო.

სამაგიეროდ, სასადილო ოთახში ყოფნას თავისი ნაკლოვანებები ჰქონდა. მოკლებული ვიყავი სიწყინარეს და მოსვენებას. მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი ის იყო, რომ ჩემს თავთან ფილაქურა იდგა. საითკენაც არ უნდა გადამებრუნებინა თავი, საჭმლის ოხშივარი სულს მიხუთავდა და გულს მირევდა.

ყველაზე საშინელი დღე იყო შობა. მხოლოდ ექვსი დღე იყო გასული მარგარიტას დაბადებიდან.



ნორა ინდაურს წვაგდა. აღუღებული ქონის, შემწვარი ხახვისა და მთხარა შული კომბოსტოს სუნი გონებას მიკარგავდა.

მე არაფერი მითქვამს, როგორ შემეძლო იმათთვის შობის დღესასწაული ჩამემწარებინა. ჩემს მეტმა არავინ იცის, თუ რატომ მეჯავრება მას შემდეგ ინდაური.

ნამცეცა მარგარიტა, ასე ვეძახდით ჩემს გოგოს, ერთი თვისა გახდა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ როგორ მოგვევლო ბავშვისათვის. როცა ატირდებოდა, ყველანი ვწუხდით და ვცდილობდით გაგვეგო ტირილის მიზეზი. თუ დიდხანს ეძინა, ყველანი ირგვლივ თავს მოვიყრიდით და საწოლზე დახრილი ვუსმენდით — სუნთქავდა თუ არა. ჩვენ ბევრჯერ ვცდებოდით, მაგრამ გულწრფელად ვცდილობდით მისთვის ყველაფერი კარგი გაგვეკეთებინა. სხვა-ნაირად არ შეგვეძლო.

მე ბედნიერი ვიყავი.

ჩარლი მუშაობდა და ახლა კვირაში 37 შილინგს იღებდა. მე ვახერხებდი მარგარიტას მოვლას და თანაც ნაირნაირი იაფფასიანი კერძების დამზადებას, რითაც ჩარლის ვუმასპინძლებოდი. თუმცა ზოგჯერ იგი დამცინოდა, მაგრამ კერძზე უარს მაინც არასოდეს არ ამბობდა.

ინგლისურიდან თარგმნა **ოთარ ფარეიშვილმა**.



ჟოღჯაი გეიანი

მშვანე მთები

- ტირილი რაღა საჭიროა? — ვაჟი თვალებში ჩააცქერდა.
 — ცრემლი ბრწყინვალეებს უმატებს თვალებს, — უთხრა გოგონამ.
 — თანაც აწითლებს და სილამაზესაც მოაკლებს ხოლმე, — მიუგო ვაჟმა.
 — მერე რა? — გაისმა პასუხად. — თვალები ჩემია და როგორც მინდა

ისე მოვუვლი!

დაჩუმდნენ. მშვანით დაბურული მთის წვერზე ისხდნენ. დაბლა სოფელი ჩანდა, უფრო შორს კი ზღვა ზიმზიმებდა. ზღვა იყო წყნარი, მშვიდი, უშფოთველი ძილივით წყნარი. მზე მეწამული მალე წყალში უნდა ჩაძირულიყო. გეგონებოდა, ამისინდებოდა კიდავაცო და შეიძლება უნებურად ყურიც მიგეგოდო. მზე იყო მარჯვნივ. მარცხნივ კი ცაზე ახალ მთვარეს უკვე აენტო თავისი ლამპარი. იგი თუმც მკრთალად, მაგრამ მაინც ისე კაშკაშებდა, თითქოს შეჯიბრებაში გამოეწვიოს მზე ჩამავალი. საღამო იყო თბილი. გვიმრა, რომლის ბარდებშიაც ისინი ისხდნენ, ისე გამოეშრო ზაფხულის სიცხეს, ტკაცანი გაჰქონდა.

ვაჟს ცალ ხელზე დაედო თავი, მეორეთი კი ზანტად სცემდა ბანანის დამკვანარ ყვავილებს და ნება-ნება წყვეტდა მათ ღონიერი და მზემოკიდებული თითებით.

— რა მშვენიცრად ჩანს აქედან ჩვენი პაწია სოფელი, — დაიწყო ვაჟმა.

მართლაც, დიდი არ იყო მათი სოფელი, სულ ექვსი სახლი იდგა, მაგრამ ყველა ახალი, ამ ბოლო წლებში აშენებული — ზოგი თეთრად შეფეთილი, ზოგი უხეშად შელესილი და ყვითლად შეღებილი. სახლები პატარა ნავმისადგომს შემორკალოდნენ. შუაში სკოლის შენობა იდგა. კვირადღეობით ჩამოდისოდა მღვდელი და წირვა-ლოცვას მართავდა. მყუდრო ჩანდა მთელი სოფელი. ნაპირზე გამოთრეული ოთხი კარკაბი ოქროსფერ სილაში იდო, ხოლო ნავმისადგომის ბოლოს მეთევზეთა გემის ანძა აშვებულებოდა კობტად აკრეფილი იალქნებით. ქუჩაში ყველა ძაღლი. ისინი კი მალლა მთაზე ისხდნენ. ოდნავ ქვემოთ ფერდობს გარს უვლიდა და დაბლა, ზღვისაკენ მიხტოდა ნაკადული. ახლა ძლივს მიედინებოდა, მხოლოდ წვიმების შემდეგ ჰგავდა იგი ნამდვილ ნაკადულს. ისე, ყური კარგად რომ დაგეგდო, რაკრავს ახლაც გაიგონებდი.

— დიდებულია ჩვენი სოფელი, — თქვა გოგონამ. — მე მგონია, რომ ჩვენი სოფელი მოიგონებ მას.

— უშენოდაც ვიცი, კარგი რამაა! — დაუდასტურა ვაჟმა. — რა დამავიწყებს. ოღონდ ესაა, სხვაგანაც არის კარგი სოფლები.

— მართალს ამბობ? — ჰკითხა გოგონამ, — გენანება აქედან წასვლა და იმიტომ მარწმუნებ?

გოგონა ზურგშექცევით იჯდა ვაჟისაკენ დახრილი. მაღალი იყო მისი ზურგი. წელისკენ ვიწრო. თმები წაბლისფერი ჰქონდა, აქა-იქ მზისაგან გახუნებული. ვარცხნიტ რომ არ შეწუხებულყო, მოკლედ იკრეჭდა. ვაჟმა კარგად იცოდა მისი სახე — ფართო, ლამაზი, მკვეთრად გამოძერწილი და ძლიერი. გამოკვეთილი წარბები, პატარა, სწორი ცხვირი და ნიკაპი, მსუქანი, მაგრად მოკუმული ტუჩები. ნათელი ცისფერი თვალები ღიად და პირდაპირ იცქირებოდნენ. თუმცა სინაზეც არ აკლდათ.

— არა, — უპასუხა ვაჟმა, — წასვლა არ მენანება. პირველად ხომ არ მივემგზავრები?

— ამჯერად აღარ დაბრუნდები? — თქვა ქალმა.

— არ ვიცი, — უპასუხა ვაჟმა, — შეიძლება დავბრუნდე, შეიძლება არა. თუკი დავბრუნდი, ჯიბეში მექნება იმდენი ფული, რომ ხარჯვა დაუთვლელად შემეძლება. მერე ისევ წავალ და შენც თან წაგიყვან.

— არა! — თქვა გოგონამ.

— რატომ? — კვლავ ჰკითხა ვაჟმა.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, — თქვა გოგონამ, — ღირს კი ისევ თავიდან მოვეყვით?

— რა ნახე აქ, — თქვა ვაჟმა და მოუთმენლად გაიქნია ხელი სოფლისაკენ, — რა დაგრჩენია ამ სოფელში.

— უბრალოდ მომწონს აქაურობა, ესაა და ეს. — უპასუხა ქალმა, — მეტი არაფერი. ყველაფერი მომწონს. ასე მგონია, არსად, მთელ ქვეყანაზე არსად არ იქნება ისე კარგი, როგორც აქ არის. ესაა და ეს.

— საიდან იცი? ღმერთო ჩემო! საიდან იცი, როცა სხვა მხარე არც კი გინახავს? რას შეგიძლია შეადარო შენი სოფელი? ნუთუ გინდა დაუსრულებლად იცხოვრო აქ, დაბერდე და მოკვდე ისე, რომ სხვა ვერაფერი ნახო.

— ჰო, — თქვა გოგონამ.

— მე კი არა მსურს, — მოუჭრა ვაჟმა. — მწვანე მთებიო, რომ ლაპარაკობ, რომელს გულისხმობ? ისე ამბობ, თითქოს ამ მთებს გარდა, სხვა მწვანე მთები ქვეყნის გულზე არ არსებობდეს. ნუ გეშინია, ბევრგან მინახავს. ისეთი მინახავს, მათთან შედარებით ესენი გაქუცულ გორაკებად მოგეჩვენება.

ვაჟი აღვა, შემდეგ დაიხარა, მოკიდა ქალს ხელი, ააყენა და მიიზიდა. ვაჟი მაღალი იყო. ქალმა ახედა.

— აკი გითხარი თვალები დაგიწითლდება-მეთქი? დაგწითლება კიდევ. მომისმინე, მარტა, ეს ხომ ერთადერთია, რაშიც ვერ შევთანხმდით. შენ გინდა დარჩე, მე კი წავიდე. მხოლოდ ამაში ვერ შევთანხმდით. ერთმა უნდა დათმოს. ორივეს გვიმძიმს დაშორება. ყური დამიგდე. როცა დავბრუნდები შენს წასაყვანად, მწვანე მთები აღარ მიხსენო.

— არა. მარტო მაგაში როდია საქმე. — ქალი პირდაპირ უყურებდა ვაჟის ცეტ თვალებს. — შენ ძალიან ბევრს მოითხოვ ამ ცხოვრებიდან. მთავარი ესაა.

აი რა გვაშორებს. რატომ რა გინდა აქ, სამშობლოში, ეწიო შენს საწადელს, რაღა მაინცადამაინც ცხრა მთას იქით უნდა ეძიო ბედი.

— აქ? რა შეიძლება გავაკეთო აქ? — თქვა ვაჟმა და მოსცილდა გოგონას. — არაფერი. მუშაობა, მუშაობა და მხოლოდ მუშაობა! მერე რას იძლევა შენი მუშაობა? ძღმას, ერთ წყვილ კოსტუმს წელიწადში და ველოსიპედს, ისიც ნისიად. კინოში უნდა იარო ათ, ხოლო ცეკვებზე — ექვს კილომეტრზე. და ასე წლითი-წლობით. ზამთარში საშინელი მოწყენილობა, ნადირობა, თევზაობა. არაფრის იმედი, ტკეპნე ერთი და იგივე. მე ასე არ შემიძლია. მით უმეტეს ყველაფერი შეიძლება მოეწყოს სხვაფრივ. მე ჩემსას მივადწევ. ჭკუა მეყოფა, ნუ გეშინია.

— უბედურებაც მაგაშია, — თქვა გოგონამ. — ვიცი, რომ მიადწევ. მაგრამ, ნუთუ ასე აჯობებს?

განიერი მხრები, მოკლედ შეჭრილი თმა, ძლიერი, მზემოკიდებული სახე და მოუსვენარი თვალები. რა თქმა უნდა, მიადწევს თავისას. აი თუნდ ახლაც — კარგად შეკერილ კოსტუმში, თეთრ ხალატსა და მსუბუქ ფეხსაცმელებში, რომელიც ასე უადგილოა კონემარის ქვიან ფერდობებზე, — ახლაც ქალაქელს ჰგავდა იგი. ვაჟი ისევ მიუახლოვდა და ძლიერი ხელები შემოხვია. გოგონა ლოყაზე გრძნობდა ვაჟის სუნთქვას.

— მე იმედი მაქვს, ჭკუაზე მოხვალ, ჩემო გოგონა, — თქვა მან.

„ადვილი შესაძლებელია, მართლაც დავყვე მას, როცა იგი ასე ახლოა“, — გაუელვა გოგონას აზრმა.

— ჩვენი დაშორება აღარ შეიძლება, — განაგრძობდა ვაჟი. — თუნდაც ვიცი, მოვითმენ, სანამ დავბრუნდებოდე შენს წასაყვანად. იყოს ისე, როგორც შენ გსურს, რაკი ვერაფრით ვერ დაგიყოლიე. დავბრუნდები. მელოდე. მაგრამ თუ გავიგე, რომ აქაურ ბიჭებს... ხომ იცი, ყველას კისერს მოვუტრებს ჯესმის?

— მესმის, — თქვა ქალმა.

მთაზე ამოდიოდა ვაჟის მამა. მათ გაიგონეს მისი ძახილი. დერიმ ძლიერად აკოცა მარტას. ტუჩები ეტკინათ კიდევ, მაგრამ გოგონა უფრო მჭიდროდ მიეკრა ვაჟს. მას კი კვლავ დაშორება მოაგონდა და გული შეეკუმშა. მაგრამ იმავე წუთს გამგზავრების სურვილმა შეიპყრო ისევ. თვალწინ დაუდგა ოთხმოტორიანი თვითმფრინავი, — აი იგი მიფრინავს ზღვაზე, ხოლო იქ, შორს, დაბლა, უზარმაზარი კონტინენტი ელოდება. როდის დაიპყრობს მას დერი ოფლინი?! ყველაფერს გააკეთებს! მასზე ნაკლები ბიჭებიც აღწევენ მიზანს, თუ მათს ძარღვებში მდორე ირლანდიური სისხლი დიოდა, სისხლი, რომელიც მაშინვე იწყებს ღუღილს და ჩუხჩუხს, როგორც კი მშობლიურ სოფელს ჩამოცილდები.

— ნახვამდის, ჩემო, — თქვა ვაჟმა.

— მშვიდობით, — უპასუხა გოგონამ და სახე ვაჟის მკერდში ჩამალა.

— აი, თურმე სად დამალულხართ! — ვაჟის მამა თავს წამოადგათ. მოდიოდა აუჩქარებლად, ტატიტ, როგორც მწყემსებს სჩვევიათ, უკან ძალდი მოსდევდა. ძლიერი იყო იგი და წარმოსადეგი. მთვარის შუქზე ვაჟში ვერც კი გამთარხვედით. მხოლოდ თვალები არ ჰქონდა ვაჟივით ცეტი. მაშ საიდან აქვს ასეთი თვალები დერის? მისი დედაც ხომ ძალზე წყნარი, მშვიდი ქალია.

— იქ უკვე ხალხი შეგროვდა. — თქვა მამამ, — ჯობია სახლში წავიდეთ.

— კარგი, მივრბივარ, — თქვა ღერომ, — თქვენ შემდეგ მოდიეთ დაბლა შევხვდებით.

იგი სირბილით დაეშვა ფერდობზე. თხასავით მიხტოდა — ერთხელაც არ შეშლია ნახტომი. ისინი იდგნენ და უყურებდნენ, თანდათან როგორ პატარავდებოდა ღერი.

— ბევრი ძალაა მასში, — თქვა მამამ.

— პატივმოყვარეობა კი უფრო მეტი, — გამოეპასუხა მარტა და გზა განაგრძო. მამამ თვალი გააყოლა. მგონია, ტირის, — გაიფიქრა მან. ღერის დედაც დიდი ხანია ცრემლად იღვრება. ერთი აზრი აეკვიცა მამას — რომ მოაგროვო ყველა ქალის დაღვრილი ცრემლი, დიდი მდინარის ტოლა თუ იქნებოდა ყველა ცრემლი, რაც კი აქამდე ქალს დაუღვრია ქვეყანაზე? ა? რას გიზამს ცრემლი? ოდესმე განა აუჩვილებია მას მამაკაცის მგზნებარე გული, ან ხელი აუღებინებია განზრახვაზე? და თუ ეს მომხდარა, მწარე შედეგი ჰქონია ბოლოს. მამამ ამოიოხრა და მარტას გამოუღვა.

— რაა ახლა ამერიკაში გამგზავრება?! ჩვენ დროს სხვა იყო. — უთხრა მარტას რომ დაეწია. მოსწონდა მარტა. გოგონაც ბატკანივით მიხტოდა ქვეზე.

— მართალი ხართ. სულ სხვაა ახლა. — დაემოწმა იგი.

— ო, ღმერთო, ჩვენს დროს, როცა ვინმე ამერიკაში მიემგზავრებოდა, მთელი წლით ადრე ემზადებოდა. ორმოცდაათ კილომეტრზე ყველამ იცოდა მისი ამბავი. ყველას ეწადა ენახა გამგზავრებამდე და გზა დაელოცა. ეთხოვებოდნენ ტირილით, საჩუქრებით, ვის ხატი მიჰქონდა ავგაროზად, ვის თბილი ქურჩი. ახლა კი... ეჰ!

— ახლა ყველაფერი უფრო უბრალოდაა, — ღიმილით თქვა მარტამ, — აქედან ამერიკამდე თორმეტი საათის სავალია. იქ უფრო ადრე ჩახვალ, ვიდრე ლუბლინში.

— ყველაფერი გააფუჭეს, — თქვა ვაჟის მამამ, — ო, რა დროს ვატარებდით გაცილებისას! მართალია, ჯერ კარგახანს ვიტირებდით, მაგრამ შემდეგ მთელ ღამეს ვსვაძდით და ვცეკვავდით. ახლა ხეირიანად ვერც კი ინალვლებადამიანზე. რაღაზე უნდა ინალვლო, როცა სულ რაღაც თორმეტი საათის სავალზეა დამორებული. თითქოსდა მეზობელ ოლქში იყოსო.

— გწყინთ ღერის წასვლა? — თქვა მარტამ.

— არა, არც ისე, — განაგრძო მამამ. — აკი გითხარი, საამისოდ დროც აღარ არის და, მით უმეტეს, ხომ ყველაფერი სულ სხვაა ახლა. დაუდგარი დაგვიჩა ძლიერ. ახლა მესამედ მიემგზავრება. აქამდე ორჯერ ინგლისში იყო. მაგის მოსვენება არაა. არ ვიცი, ვისში გამოვიდა ასეთი. ხანდახან დედამისს ვეტყვი — ნამდვილად ვინმე მოხეტიალესთან მიღალატე-თქო... — თქვა ესა და გაეღიმა.

— წასულიყავი შენც მასთან ერთად, მარტა, — მიუთალერსა, — ვიცი ძლიერ მოსწონხარ.

— მეც მომწონს იგი, — უპასუხა გოგონამ. — მაგრამ მე აქ მინდა ვიცხოვრო. მგონი ჯობია, სამშობლოში ეძიოს ბედი. არა, ადვილად შეუძლია დამიყოლიოს და მეც გავემგზავრო, მაგრამ უკეთესია, თუ დავრჩები.

— ჩემი შვილის ამბავი კარგად ვიცი, — ჩაილაპარაკა მამამ, — იგი დაბრუნდება შენს წასაყვანად.

— შეიძლება იმ დროისათვის გამოვიცვალო კიდეც, ანდა იგი გამოიცვალოს. მაგრამ ახლა, ახლა როგორც უნდა, ისე მოიქცეს. დაე წავიდეს, ამერიკაში ჰპოვოს მწვანე მთები.

— ჩვენსა არ შემოივლი? — ჰკითხა მამამ, როცა სახლთან გაჩერდნენ. — მისი მეგობრები შეგროვდნენ, დალევენ ერთ-ორ ბოთლს, იმღერებენო, ღმერთო, ვანა ასე აცილებდნენ ჩვენს დროს?

— მე სახლში წავალ, — თქვა გოგონამ, — ერთმანეთს უკვე ყველაფერი ვუთხარი. დაბრუნდება და მაშინ შევხვდებით.

— კარგი, დამე მშვიდობისა, გწყალობდეს ღმერთი.

მამამ თვალი გააყოლა გოგონას. ნელა, თავდახრილი მიდიოდა იგი. ერთი ხელი ზურგს უკან წაედო და მეორე ხელის იდაყვს ჩასჭიდებოდა. ხანდახან კენჭებს გაჰკრავდა ფეხს. ვაჟის მამამ ამოიოხრა და სახლისაკენ გაბრუნდა. იქიდან განსაკუთრებული ხმაური არ მოისმოდა. ეს რატომღაც ცუდად ენიშნა.

— რა სიჩუმეა. წინათ ასეთ დროს სახლში მხრებამდე ბული იდგა, — ხმამალა თქვა და სახლში შევიდა.

* * *

დერი დაბრუნდა... ზუსტად ერთი წლის თავზე. მაგრამ მარტო არ დაბრუნებულა. იგი დაბრუნდა ორ ამერიკელ სერჟანტთან ერთად. ხოლო მის კუბოს ამერიკის დროშა ეფინა. მამას გადასცეს მედალი, რომელიც დერიმ მამაცობისათვის მიიღო სადღაც, ვიღაცის ომში. იგი პატარა სასაფლაოზე მწვანე მთის ფერდობზე დასაფლავეს, ნაკადულის გვერდით, რომელიც წვიმების შემდეგ ხმაურობს, მხოლოდ ზაფხულობით კი ოდნავ რაკრაკებს. და როცა მის საფლავზე ყვავილებს დააწყობ, თვალუწვდენელ ზღვის სივრცეს დაინახავ, ხოლო იქით, თუ თვალთახედვა არ გიღალატებს, შორს შეიძლება მწვანე მთებიც კი დაინახო. მწვანე მთები ქვეყნის მეორე მხარეს.

ინგლისურიდან თარგმნა მაყვალა ჭიჭინაძემ.



შაჰი პერიში

ქალი გავშვები

თურქეთის რომელ ქალაქშიც არ უნდა მიხვიდეთ, ავტობუსიდან, მატარებ-
ლიდან ან გემიდან როგორც კი გამოხვალთ, მაშინვე ძონძებში გამოხვეული,
უმწეო ბავშვები შემოგხვდებათ:

— ტვირთს მე გადაგიტან, ეფენდი!

— მე წაგიღებ, დეიდა!

დახმარება რომც არ გინდოდეთ, ისინი დაჟინებით ხელიდან გამოგტაცე-
ბენ აბგას ან ჩემოდანს და სირბილით მიგიტანენ ეტლამდე, ავტომდე, სას-
ტუმრომდე ან სახლამდე. ბავშვები მძიმე ჩემოდნების ქვეშ სუსტ ფეხებს მა-
ლავენ, ოფლს ღვრიან. ზამთრის დღეებშიც კი ისინი არსებითად ნახევრად
მიშველი არიან, ფეხზეც არაფერი აცვიათ. ჩემოდანზე შემოხვეული თოკი
მხრებს ჭრის. ხელ-ფეხი ულურჯდებათ. ბოლოს, როცა ეზოს კარებთან
ტვირთს მიიტანენ, „ახლა ფულს ავიღებთო“ — გულიანად გაელიმებათ და
მძიმე დაღლილობას ადვილად იგიწყებენ. მაგრამ გულქვები, რომელთაც არ
ესმით ბავშვის გულისტკივილი, გამოწვდილ ხელში ხუთ ყურუშს მიაჩეჩებენ
და ზურგს შეაქცევენ ხოლმე. ისინი სასტუმროში ან სახლში შესვლას იჩქა-
რიან.

— ეს ძალზე ცოტაა, ძია!

ბავშვის საყვედურს არავინ უსმენს. კიდევ მეტიც: დაიკარგე აქედან,
რას არ გიყიდის ყურუშში? ვის უჩივი? — ეტყვიან ღონემიხდილ ბავშვებს.
ბავშვი კისერს წაიგრძელებს და ტირილ-ტირილით კვლავ სადგურისკენ მი-
მავალ გზას გაუყვება. ვინ იცის, როდის მოვა მორიგი მატარებელი. ჰამალი
ბავშვებიც ხომ მას ელოდებიან.

ბაზრობის დღეებში დიდ ქალაქებშიც ამგვარი მდგომარეობაა. ბაზრისა-
კენ მიმავალ გზებს თურქეთის ფერდაკარგული ჰამალი ბავშვები გადაჭრიან,
რომლებსაც ზურგზე თავიანთ სხეულზე უფრო დიდი კალათები ჰკიდიათ. რო-
ცა ბაზარში მიმავალ ქალს ან მამაკაცს დაინახავენ, გარს შემოეხვევიან:

— მე ამიყვანე!

ის ქალი ან მამაკაცი ერთ-ერთს აირჩევს. იმის მიხედვით ვაჭრობენ, თუ
სად, ქალაქის რომელ უბანში უნდა მიიტანოს ტვირთი ჰამალმა ბავშვმა. ეს
კარგია, მაგრამ განაპირა სოფლებიდან ჩამოსული უცხო ბავშვები ხეირიანად



წერც კი იცნობენ ქალაქს, „აქვეა ჩემი სახლი, ორი ნაბიჯი არც კია“, — ამგვარი სიტყვებით ბავშვს ადვილად ითანხმებენ 10-15 ყურთუშზე...

მთელ ბაზარს ისინი, სულ მცირე, ერთ საათში დაივლიან. მწვანილს, ხილს, კარტოფილს კალათში აწყობენ. კალათი შეუქმნევლად მძიმდება. სანამ ბაზრის ჩამოვლას დაამთავრებენ, ბავშვს ძალა აღარ რჩება. ვაჭრობის დასასრულს, როცა ქალბატონს ზედმეტი რამეებისათვის კალათში ადგილი აღარ რჩება, ბავშვს ესაყვედურება:

— პატარა კალათი გაქვს, ვერაფერი ვიყიდე!

უკვე სახლის გზას დაადგნენ. ქალბატონმა, რომელმაც ბავშვის ზურგზე მძიმე ტვირთი არაფრად ჩააგდო და რაღაც ორიოდ გრომის დაზოვეისათვის ბაზარზე წუთები დაჰკარგა, ახლა ნაბიჯს მოუმატა. იგი ხშირად უკან იხედება და ბავშვს უყვირის: გამოაბიჯე! ბავშვი მძიმედ ამოიოხრებს და ნაბიჯებს უმატებს. მაგრამ რა გაეწყობა, მუხლები უკანკალებს.

— გამოაბიჯე! — უყვირის ქალბატონი, — ქვაბი ღუმელზე დავტოვე, საჭმელს დაწვავს!

ბავშვი უკვე გზის ნაპირზე გადავიდა, მუშტარი მობრუნდება, ჰამალი მორცხვი თვალებით შებრალებას ელის და აჩქარებით სთხოვს: ცოტას დავისვენებ, დეიდა.

— რას ბოდავ! აიღე კალათი, გავწიოთ, — უყვირის ქალბატონი. — შენ ხომ ჰამალი ხარ!

კვლავ მიაბიჯებენ.

გზა განა დაილევა?

— კიდევ წავალთ, დეიდა?

— ნუ ღელავ, ჯერ ხომ ორი ნაბიჯიც არ გადმოგვიდგამს, რას წუწუნებ! — და ამგვარი წამებით რამდენიმე ჩხუბისა და შესვენების შემდეგ სახლთან მივიდნენ. ბავშვი გზის სიშორის გამო ზედმეტ ხუთყურთუმიანს ითხოვს. ქალბატონი კი სასტიკად ბრაზობს და დაგვიანებისათვის ბავშვს ლანძღავს:

— არც ერთ გრომს არ მოგცემ ზედმეტს, შენთვის 15 ყურთუშიც ბევრია. ჰა, დაიკარგე!

— მაშ, ამ ვაშლებიდან ერთი ცალი მაინც მომეცი, დეიდა!

— ვერ მოგცემ.

— თუ ასეა, ხმელი პურის ნატეხიც არ გაქვს?

— არა, აიზარგე აქედან! — და შეუბრალებლად მიუხურავენ კარებს უმწეო ბავშვებს. მაგრამ ამით გულნატკენი ბავშვი გასაბრაზებლად დროს ვერ დაკარგავს. იგი მკლავით შუბლზე ოფლს მოიწმენდს, შემდეგ ფულს მკვირცხლად დაითვლის, ჯიბეში საიმედოდ მოათავსებს და მორიგი მუშტარის ნახვის იმედით კვლავ ბაზრისაკენ გარბის.

თურქულიდან თარგმნა ნიკო ბარამიძემ.



პირობა გეგმა

სიმაგაცის და გავგებდომის გზაზე

შუალამისას ხომალდმა ოდესის მახლობლად ჩაუშვა ღუზა. მესამე თანამემწე ივანე საუშკინმა კაპიტანს უპატაკა:

— ხომალდი რეიდზე დგას! სამშობლოში ვართ, ამხანაგო კაპიტანო, ოდესაში! — აღლევება ვერ დაფარა, მოწყდა ადგილს, რადიოკვანძისკენ გაეშურა და ეკიპაჟს მშობლიურ მხარეში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა.

იმ ღამეს ფლოტილის არცერთ ხომალდზე არ ეძინათ. გული სიხარულს შეეპყრო. ახლოვდებოდა რიყრაყი. ძილი გაუკრთა ყველას.

არც კი გათენებულყო, რომ ნაპირიდან მოტორიანი ნავეებით, კატარღების მთელი ქარავანი დაიძრა და ფლოტილისაკენ გაემართა. მთელი ეკიპაჟი სუნთქვაშეკრული ელოდა მათ მოახლოებას.

ფლოტილია „სლავა“ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ეწვივნენ. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. ამდღევებელი იყო რეიდზე შესხვედრა თანამემამულეებთან. მოტორები ამუშავდა. ორ რიგად ჩამწყრივდნენ ხომალდები. წინ საფლაგმანო გემი „სლავა“ უძღოდათ. ნავსადგურის შესასვლელთან ფლაგმანმა გეზი იცვალა და გზა გამარჯვებულ ვეშაბთმჭერ ხომალდებს „ბრავი-26“-სა და „ბუინი-27“-ს დაუთმო. „ბრავი-26“ პირველი შევიდა ნავსადგურში და პირველმა აუშვა სასიგნალო ალმები „სალამი, სამშობლო!“: ჰაერში აიტყორცნენ ფერად-ფერადი რაკეტები. მისცეს ორმოცი ზალბი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფლოტილიამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ორმოცი ათას ტონაზე მეტი პროდუქცია დაამზადა.

ნავმისადგომთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ცოცხალი ყვავილების თაიგულები, მუსიკის საამო ჰანგებში ჩაფლულიყო ნაპირი, რომელსაც „ბრავი-26“ ნელი სვლით უახლოვდებოდა. კაპიტანი ჩვეული სიღინჯით მართავდა საჭეს. ასეთ დროს ძნელია თავის შეკავება. თვალები გაფა-

ცივებით ეძებენ ხალხში ნაცნობ სახეებს. იქ დაინახა კიდევაც... დედას ხელში აყვანა ბავშვი. გოგონა ხელებით ესალმებოდა მონატრებულ მამას.

სახელდახელოდ გაიმართა მიტინგი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მოწინავე ადამიანები: ფლოტილია „სლავა“ კაპიტან-დირექტორი ა. სოლიანიკი, ვეშაბთმჭერი ხომალდების „ბრავი-26“-ის მეჰარბუნე ა. ზოლოტოვი, „ბუინი-27“ კაპიტანი ვ. ნებოლიუბოვი, „სლავა-3“ მეჰარბუნეები შ. ქელიძე და რ. დობორჯინიძე, „ბისტრი-22“-ის კაპიტანის თანამემწე გ. სვანიძე და სხვები. მათ შრომის არაჩვეულებრივი ორგანიზაციით, გამბედაობისა და მამაცობის არნახული მაგალითებით დაავიროვნენ მეთორმეტე რეისი ანტარქტიკაში.

* * *

ქალაქში სიცხე ჩამოწოლილიყო. მწვანათ დაბურულ პატარა ეზოში მასპინძელი შევნიშნევერ მივლო.

— აბესლომ ზენაიშვილი, არა? — ვკითხე. — დიახ, მე გახლავართ, — მიბასუხა და სახლში შემიპატიყა.

მოწინავე ხომალდის „ბრავი-26“-ის მეთაურის აბესლომ ზენაიშვილის შესახებ ბევრი რამ გამეგონა. ამიტომ მაინტერესებდა მისი ახლოს გაცნობა.

— რით გემსახუროთ? — გვკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— ბევრი რამ მაინტერესებს თქვენი ცხოვრებიდან... აი, თუნდაც, როგორ გახდით მეზღვაური. — ვეკითხები მასპინძელს და ვგრძნობ; რა უხერხულთა ასეთი კითხვა. თაროზე კაპიტანის ფორმაში გამოწყობილი შავწვეროსნის სურათი შევნიშნე. ვიფიქრე, იქნებ მისი მამაა, რომლის კვალსაც გაჰყვა ზენაიშვილი.

— ეს წვეროსანი? — ელიმება ზენაიშვილს, — აბა დააკვირდით, მგავს თუ არა?

თუმცა ძალიან მიჭირს ცნობა, საოცარ მსგავსებას ვბოლობ თვალეში. რადგან ორ-კოფობა შეგამჩნია, მითხრა:

— ნუთუ ვერ მიცანიტ, ეს ხომ მე ვარ?

გავკოცი. ჩემს წინაა ახალგაზრდა, უწვერ-ულვამო კაპიტანი და ეს სურათი. რა დიდი სხვა-ობაა!

— წარმოუდგენელია! — წამოვიძახე. გოცე-ბა რომ ამოკითხა ჩემს სახეზე, მომიბრუნდა.


— რას იზამ, პირქუშია ანტარქტიკა, ქარაშო-ტი უზარმაზარ ტალღებს აგორებს, ხომალდს აქეთ-იქეთ ახეთქებს და ნაფოტივით ათამაშებს. წყალი კაპიტნის ხიდაკს რომ გადაუვლის და წვეფებს სახეში მიხსნამს, გამკოლაგი სუსხი წვეთებს ყინავს. წვერზე ყინულის ლოლუები ჩამოგვეკიდება. წვერი ნაწილობრივ გვიფარავს სახეს... თუ როგორ გავხდი მეზღვაური, ამაში არაფერია უჩვეულო. ბავშვურმა გატაცებამ, ზღვის რომანტიკამ მიმიყვანა საზღვაო სასწავ-ლებლის კარებთან...

ოთახში სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი შემოდის. მასპინძელმა ოჯახის დიასახლისი გა-მაცნო. საოჯახო ალბომი გადმომიშალეს. ვთვა-ლიერებ. აი, აბესალომი. იგი ხიდაკზე დგას და დურბინდით გასცქერის პორიზონტს. „სლავა-5“, ძლივს ვარჩევ წარწერას. ჩემი ყურადღება მეო-რე სურათმა მიიპყრო. ვერავითარი აღწერა ვერ წარმომადგენინებდა აბობოქრებულ ზღვას და აზვირთებულ ტალღებში ჩაქარგულ ხომალდს, რომლის მხოლოდ ანძისა და საკვამლე მილის ბოლოები მოჩანს წყლის ზედაპირზე და რომე-ლიც ასე ზუსტად აღუბეჭდავს ფოტოფირს. მცურავი ყინულის მთები, მთელი ჯოგი პინგ-ვინებისა ყინულის ველზე. აი, ხომალდს მოკლუ-ლი ვეშაპები ბუქსირზე აუყვანია...

— აი, სწორედ ამ მიდამოებში, — მიჩვენებს ზენაიშვილი სურათზე, — აისბერგი დაეჯახა ჩვენს ხომალდს. ძლივს გადავრჩით მაშინ.

„სლავა-5“-ს ვეშაპებზე ნადირობა აისბერგე-ბის მხარეში მოუხდა. იმ დღეს ორასამდე ყი-ნულის მთას აეუარეთ გვერდი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, საღამომდე სამი ვეშაპი ვინა-დირეთ და ბინდისას მოკლულთა ძებნას შევე-დექით. ორი ვეშაპი უკვე ბუქსირზე ავიყვანეთ და მესამის საქებნელად გავეშურეთ. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. აზვირთდნენ ტალღები. გამოანგარიშებით ვიცოდი, წყლის დინება საით წაიღებდა მოკლულ ვეშაპს, მაგრამ ძებნა ამო იყო. ამასთან სახიფათოც. არ გვაეიწყებოდა რომ აისბერგების რკალში ვიყავით და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო დაჯახება. არ ჩანდა სასიგნალო რადიოშუქურა. დამეა. ტალღები ხან ზევით აგორებენ, ხან უფსკრულში შთანთ-

ქმით ემუქრებიან ხომალდს. ბუქსირზე აყვანი-ლი ვეშაპებიც ხელს გვიშლიან მოძრაობაში, მანევრირების საშუალებას არ იძლევიან. მოსალოდნელია ქარმა და ტალღებმა გაწყვი-ტონ ბუქსირის ჯაჭვი, გადავწყვიტეთ, ვეშაპები ზღვაში დაგვეტოვებინა. ქარი კი სულ მძლავ-რობს. შორს, პორიზონტზე შეგამჩნიეთ ის უზარმაზარი აისბერგი, რომელთანაც მოკლული ვეშაპი დაეტოვეთ. როგორც ჩანდა, ყინულის მთა ადგილიდან არც კი დაძრულიყო. მივუახ-ლოვდით აისბერგს. ზღვაზე სახიფათოს ვერა-ფერს ვამჩნევთ. სრული სისწრაფით მივიწვეთ წინ. საშტურმანო განყოფილებაში ჩავედი-რადიოლოკატორის ეკრანზე მსურდა დავკვირ-ვებოდი პორიზონტს, გამეზობა აისბერგამდე დარჩენილი მანძილი. ის იყო ლოკატორის მი-გუახლოვდი, რომ გემი საშინლად შეირყა, მო-მესმა ძლიერი დაჯახების ხმა, შემდეგ რაღაცამ გაიხრჩიალა. მაშინვე საკომანდო ხიდაკზე გავჩ-ნდი. ყველა ხელსაწყო „სტაპზე“ გაყინულიყო. ტელეგრაფის სახელურის მობრუნება შეუძლე-ბელი გახდა. გემი აისბერგს ცხვირით დაჯახე-ბოდა. დაჯახებისაგან აისბერგი გადაბრუნდა, ხომალდს ქვეშ მოექცა და, ზევით რომ ამოცურ-და, გემბანის მარჯვენა მხარეს ამოჰყო თავი. მეორე თანაშემწე ი. სიმეკის დაევალა ქიმის ნაწილების შემოწმება. ერთდროულად გამოც-ხადდა წყალთან ბრძოლის განგაში. ხომალდი უმოძრაოდ იდგა. გაძლიერებულ ქარს შეეძლო ყინულებზე მიეხეთქებინა იგი. უფროს თანა-შემწე პ. შჩეპეტოვს ვუბრძანე დაზიანების აღ-გილას ამ შემთხვევისათვის საჭირო ლიებები. პლასტიკები მიეტანა და წყლის დინება შეჩე-რებინა. ლიებების მორგება მხოლოდ გარედან შე-იძლებოდა, რადგან წყალი საშინელი მსხილით შემოდიოდა ტრიუმში. შიგ ჩასვლა შეუძლებელი იყო. წყლით აივსო ყველაფერი. მეზღვაურთა სა-ცხოვრებელი ბინებიც. ეს წუთების განმავლობა-ში მოხდა. ზედა სართულიდან მექანიკოს ა. სუმ-კოს მეთაურობით დაულაღვად ტუმბავდნენ წყალს, მაგრამ წყალი მაინც მძლავრობდა, ანგ-რევდა კარებსა და კედლებს. ყველაფერი ერთ-მანეთში აირია: დამსხვრეული ფიცრები, საწო-ლი ლიებები, ბალიშები, მეზღვაურთა პირადი ნივთები. საქაჩეებიც დანაგვიანდა. ხომალდი, ცხვირით წვება წყალში და ბოლო ნაწილი ზე-ვით იწევს. საჭირო იყო წონასწორობა შეგვენარ-ჩუნებინა. ოკეანეს მივეციით სასმელი და ორთქ-ლის ქვაბების წყლის მარაგი. მეზღვაურებს ხო-მალდის ჩაუძირავ ნაწილზე გადაჰქონდათ ჰარ-ბუნები, ჯაჭვები, მთელი სიმძიმე. მთელი და-მის განმავლობაში შეუპოვრად იბრძოდა ეკიპაჟი. დასახმარებლად ჩვენკენ გამოემართა



„სლავა-3“, „სლავა-8“ და „სლავა-9“. ისინი პროექტორებს გვაშუქებდნენ. ყოველნაირად გვეხმარებოდნენ. მხოლოდ განთიადისას ჩადგა ქარი. სტიქიონს ეძლიეთ...

ვეუსმენდი ბუნების ძალბთან ბრძოლაში გამობრძმედილ კაპიტანს. კიდეც, კიდეც ბევრი რამ მინდა გავიგო ამ მამაცი ადამიანების შესახებ. ალბომს ვუბრუნდები. ჩემი ყურადღება ერთმა სურათმა მიიპყრო. „ბრავი-26“-ს მოკლულ ვეშაპებთან ერთად მეორე ხომალდი აუყვანია ბუქსირზე.

— რამ გაგიტაცათ ასე? — მეკითხება დიასახლისი, როცა ვეამჩნია, რომ დიდხანს დავცქეროდით სურათს.

— ეს ხომალდი ხომ „ბისტრი-22“ არის, როგორ მოხდა ეს?..

— ო, ეს მართლაც არაჩვეულებრივი შემთხვევა იყო. ნადირობამ საშინელი გატაცება იცის, მაგრამ კაშალოტები მაინც დიდი „ავანტიურისტები“ არიან. ისინი თავს ესხმიან არა მარტო ზღვის ცხოველებს, არამედ გემებსაც. დაჭრილი უფრო მძინვარეა და დაუნდობელი.

„ბისტრი-22“ კარგა მოზრდილ კაშალოტს დასდევნებოდა. გავარდა ჰარბუნი და დაჭრილი ვეშაპი წყალში ჩაეშვა. გემზე იცადნენ, რომ ეს ისევ გამოჩნდებოდა ზედაპირზე და მორიგი გასროლისათვის მზად იყვნენ. მაგრამ „ვეშაპი“ ყოფილა ეს ზღვის გოლიათი. თავი ხომალდის მეორე ბოლოს ამოჰყო, სასიკვდილო ჭრილობისაგან გამწარბული შუბლით ეძგერა ხრახნს და ოთხივე ლილეი მოამსხვრია. ხომალდი სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი აღარ ემორჩილებოდა მართვას. პირველი სიგნალის მიღებისთანავე „ბრავი“ ნადირობა შეწყვიტა და „ბისტრი-22“-ის მისაშველებლად გაემართა.

— საინტერესოა არიან ვეშაპები, არა?

— რასაკვირველია, ყველა თავისებურად იბრძვის არსებობისათვის. განსაკუთრებით საშიშია, მაგრამ ძალიან საინტერესოც, კაშალოტებზე ნადირობა. მათ ძლიერ აწვითებთ გემის ხმაური, განსაკუთრებით ყუმბარის გრუხუნის და გააფთრებით იბრძვიან. ყველაზე სახიფათო მაინც დაჭრილი ვეშაპია.

თავისებური არიან კუზიანი ვეშაპები. მათზე ნადირობა აკრძალულია, რადგან გადაშენების საფრთხე მოელოთ. მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში ვნადირობთ მათზე. აისბერგებთან იყრიან თავს. სშირად რამდენიმე კუზიან ვეშაპს მოკვრავთ თვალს და ვიცით, რომ ეს ერთი ოჯახია. უცნაურები არიან. არც ერთი არ შორდება დედალ ვეშაპს. ვცდილობთ ჰარბუნი დედალს მოვახვედროთ პირველად, რადგან ოჯახის „მეთაურს“ სიკვდილის შემდეგ დანარჩენები

ადგილიდან არ იძვრიან და ადვილად გვიპოვებდებიან ხვლთ.

— „ბრავი“ წელს პირველად გავიდა სანადიროდ?

— დიას. ხომალდი ახალთახალა. ეკიპაჟის შემადგენლობაც ახალგაზრდულია. ამიტომ ჩვენს ხომალდს კომკავშირულს ეძახიან. უმეტესობამ ერთი წელია დაამათავრა ხერსონის საზღვაოსნო სასწავლებელი. სასწავლებლიდან პირდაპირ ვეშაპთმჭერზე მოხვდნენ. ნამდვილი ეფეხები არიან. უნდა ნახოთ მათი ანთებულ თვალები, როცა ვეშაპებზე სანადიროდ მივდივართ. მათთან მუშაობა სახალისოცაა. ჩვენი კომკავშირელები მამაცობისა და გამგებლობის მაგალითს იძლევიან. პირველად მათ შემოიღეს ვეშაპების ნებაყოფლობითი ძიება — ცვლის დამთავრების შემდეგაც განაგრძობდნენ ძებნას.

აბესალომი წამოიღვა და ოთახში გაიარ-გამოიარა. კარგა ხანს სცემდა ბოლთას ჩაფიქრებულ. იგონებდა რამეს? ეს კია, რომ შეკითხვებით შეწუხებას აღარ ვაპირებდი. რადიომიმღებს მიუხალოვდა და ჩართო. „მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები, — გაისმა დიქტორის ხმა, — დღეს მესამე ხელოვნურმა თანამგზავრმა დედამიწას შემოუარა“.. აბესალომმა ისევ მოულოდნელად გამორთო მიმღები, როგორც ჩართო. მომიბრუნდა და მითხრა:

— კიდეც ერთი საინტერესო შემთხვევა მომაგონდა...

ეს ფლოტილის უკანასკნელ რეისში იყო. სარეწი სეზონი იწყებოდა. ფლოტილია „ბრავი-26“ ადრე გავიდა ზღვაში. ჩვენ ჩქარი სვლით უნდა დაეწვოდით მას. სმელთაშუა ზღვაში მივიდიოდით. კუძულ კრეტასთან ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები წამოგვეწვივნენ. მოუსვენრად დაგვტრიალებდნენ თავს. ჩვენ მშვიდად განვაგრძობდით გზას და წინ მივიწვედით. გიბრალტარში შევედით — ამ მთიან და კლდოვან ნაპირებთან მხარეში. აქ ცოტა ხნით უნდა შეეჩერებულყავით საწვავი მარაგის შესასვებად. მახსოვს, ჩვენთან, გემზე, ლოცმანი კანეა ამოვიდა. ტიპოური ინგლისელი, ჩაფსკენილი, რაღაც ზედმეტად დაჭერბული თავის თავში. ზღვაზე უცებ ამოვარდნილი ქარის გამო ნაპირზე გადასვლა შეუძლებელი იყო და ქარის ჩადგომამდე უცხოელი ჩვენს ხომალდზე დარჩა.

იმ ხანებში ჩვენმა ქვეყანამ პირველი თანამგზავრი აუშვა. ვერ წარმიიდგენთ იმ სიხარულს, რასაც განვიცდიდით ჩვენ, სამშობლოს მოშორებულნი, აქ, უცხო მხარეში. ჩვენი ქვეყნის ეს დიდი წარმატება გვამხნევებდა, ძალს გვმატებდა სტიქიონებთან ბრძოლაში.

სამხრეთ სანდვიჩის კუნძულებთან დაე-

წიეთ ფლოტილიას, რომელსაც უკვე დაეწყო კბლიან ვეშაპებზე — კაშალოტებზე ნადირობა. ეს სეზონი არ გავდა გასული წლების სეზონს. ქარაშოტები დღედაღამ მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ნადირობა უმეტესად ნისლში გვიხდებოდა. სულ წინ მივიწვედით, ღამითაც კი არ ვდგებოდით რეიდზე. ვცდილობდით ყველა ხელსაყრელი პირობა ჩვენს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა. ნადირობას გათენებისთანავე ვიწყებდით.

ერთხელ მოთვალთვალე ვანია კომოვმა მალა-ლი შადრევანი დაინახა და წამოიძახა: „ეშმაკმა დალახვროს, უთუოდ არაჩვეულებრივი ეგზემპლარი იქნება“. მალე სხვა შადრევნებსაც მოჰკრა თვალი. ვეშაბი სულ ახლოსაა. ვიდრე მე-ჰარბუნეს გაადვილებდნენ, შეიძლება ხელიდანაც წაგვივიდეს. ფიქრის დრო აღარ იყო. ხიდაკზე თანაშემწე დაგტოვე და ზარბაზნისაკენ გავემართე. დავუმიზნე, ვესროლე და... ვეშაბი განიგშირა.

— ეჰ, კაპიტანო, როგორ შეიძლება, მეჰარბუნეს ლუქმა პურს ეცილებით! — ოხუნჯობდნენ მეზღვაურები.

მოკლულ ვეშაბს ჰაერი ჩავბერეთ, ალაპი დარადიოსასიგნალო ხელსაწყო დავამაგრეთ და ნადირობა გავაგრძელეთ.

ხელის მოცარვა? ეს ჩვენმა ახალგაზრდებმა არ იციან. მიზანს აღწევენ. მართალია, მათი პირველი რეისი მეტად მძიმე იყო, ანტარქტიკა წელს უფრო პირქუშად და არასტუმართმოყვარულად დაგვიხვდა, მაგრამ... პირველი სიძნელებები კარგი წრთობაა აღამიანისათვის. კომკავშირულ-ახალგაზრდული ხომალდი „ბრავი-26“ სეზონის ბოლოს პირველ ადგილზე გამოვიდა და მასვე მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა.

— ვფიქრობ, შეინარჩუნებთ და განამტკიცებთ წარმატებებს!

— ესაა ჩვენთვის მთავარი. — თქვა კაპიტანმა და ზღვას გახედა, თითქოსდა მოენატრაოსტიქიასთან ბრძოლა.



საკიზონ ახვლედიანი

ოთხმოცი წლის წინათ

ოთხმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა თავგანწირული ბრძოლით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებითა და სამხრეთ საქართველოს მაჰმადიან ქართველთა აქტიური მხარდაჭერით კვლავ შეიერთა სამშობლოს დიდი ხნით მოწყვეტილი ძმები — გამუსლიმანებული ქართველები.

აჭარა საქართველოს სისხლბორცველი, განუყოფელი ნაწილია. ჩვენი მხარის წარსული, მიაიმატერიალური და სულიერი კულტურა მთელი ქართველი ხალხის ერთიანი ისტორიული განვითარების ორგანული ნაწილია.

ბევრი მწარე და მძიმე განსაცდელი ახსოვს ქართველი ხალხის, მსოფლიოში უძველესი კულტურული ხალხის ისტორიას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „პრავდა“ მოწინავე სტატიის „საბჭოთა საქართველოს დღესასწაული“ წერდა: „ქართველმა ხალხმა უდიდესი ისტორიული გზა განვლო. იგი ერთ-ერთი უძველესი ხალხია დედამიწაზე. ათასწლობით ითვლება მისი მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორია... გმირი ქართველი ხალხი იგერიებდა რომეულ დამპყრობლებს, სპარსელებს, თურქების, მონღოლების ურდოებს. ამ უთანასწორო მძიმე ბრძოლაში მან შეინარჩუნა თავისი ეროვნული ღირსება, თავისი განსაცვაფრებელი მრავალსაუკუნოვანი კულტურა.“¹

ქართველი ხალხი მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქმნიდა თავის მეცნიერებასა და კულტურას.

მრავალი დამარბეველი თავდასხმისა და უბედურების მიუხედავად, ქართველ ხალხს არასოდეს არ უთქვამს უარი თავის მეობაზე. მან შეინარჩუნა ეროვნული დამოუკიდებლობა და ჩვენს ბედნიერ ეპოქამდე მოიტანა იგი.

საქართველოს საგარეოპოლიტიკური ურთიერთობა განსაკუთრებით გართულდა XV საუკუნეში. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ბიზანტიის იმპერიამ XII საუკუნიდან მოკიდებული სწრაფად იწყობდა დაქვეითება. მისი განადგურება დაჩქარეს შუა აზიიდან მცირე აზიაში გადმოსულმა თურქ-ოსმალებმა, რომელთაც აქ XII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე სახელმწიფო შექმნეს და ბიზანტიის მიწა-წყლის ხარჯზე თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოებს.

როგორც ცნობილია, 1453 წლის 29 მაისს ოსმალთა სულთანმა დაიპყრო იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და ამით საბოლოოდ განადგურა ბიზანტიის იმპერია. ამიერიდან მოწინავე, კულტურული ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს დაუმეზობლდა ჩამორჩენილი, აგრესიული ოსმალეთის იმპერია.

ამის შედეგად საქართველო ახალი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ოსმალებმა საქართველოს ჩაუკეტეს ევროპასთან დამაკავშირებელი გზები და მიიტაცეს ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები.

ოსმალეთის სახელმწიფოს გაძლიერებამ ეკონომიურადც ძლიერ შეარყია საქართველოს მდგომარეობა.

ოსმალეთის მარბიელი ჯარები საქართველოს საზღვრებს საისტმატურად არღვევდნენ და მოსახლეობას აწიოკებდნენ.

1 გაზ. „პრავდა“, 1946 წ., № 48.

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, მათ მთლიანად დაიპყრეს ლაზეთის სხვა ქალაქებიც.

XVI საუკუნის დამდეგს ოსმალებმა აიღეს მაჭახელია ხეობა და შემოუტყეს ბათუმს. ამავე დროს ისინი შეესივნენ ტაო-კლარჯეთს, ბასიანს, ისპირს, თორთომს, პარხალს და სხვა მხარეებს. XVI საუკუნეში მათ მესხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მთლიანად დაიპყრეს, ხოლო ქობულეთის დაპყრობა მხოლოდ XVIII საუკუნეში შეძლეს.

სამხრეთ საქართველოს ქართველები შეუპოვრად ებრძოდნენ მოძალადეებს, მტერს უბრძოლველად არ ანებებდნენ არც ერთ სოფელს, არც ერთ დასახლებულ პუნქტს, არც ერთ ციხე-სიმაგრეს.

საუკუნოვანი ბრძოლების შედეგად ძლიერმა მომხდურებმა შეძლეს დაეპყროთ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და მის მკვიდრთათვის თავს მოეხვიათ სულთნის ბარბაროსული რეჟიმი.

სამხრეთ საქართველო — სამცხე-საათაბაგო, აჭარა, ლაზეთი და სხვა ადგილები ოსმალებმა 21 სანჯაყად, ანუ მაზრად დაყვეს, აღწერეს მოსახლეობა და შეადგინეს ე. წ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

დაპყრობილ ქვეყანაში თურქებმა დაამყარეს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური, ანუ აღმოსავლური წესი, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ძველი, ქართული მიწათსარგებლობის წესებისაგან. ამიერიდან მიწებით სარგებლობის უფლება მხოლოდ სამხედრო პირებს ეძლეოდათ. მიწას პირველ რიგში მიიღებდა სამხედრო პირი, თუ ის ამავე დროს მიუსლიმანიც ვაძღვებოდა. ამრიგად, ქართული მიწაწყალი გადაეცადა სულთნის მოხელეთა და მომხრეთა ხელში. მოსახლეობას დაეკისრა მრავალი გადასახადი: ერთი ცენტრალიზებული სახელმწიფოს სასარგებლოდ და სხვა — ადგილობრივი ფაშებისა და მოხელეების ფუფუნების უზრუნველსაყოფად. ოსმალურ რეჟიმს აჭარაში ახორციელებდნენ უშუალოდ თურქი მოხელეები, ზოგჯერ კი რენეგატი ქართველი ფეოდალებიც.

სამხრეთ საქართველოს ქართველების გამუსლიმანება სულთანმა ერთბაშად ვერ მოახერხა. იგი ამ ღონისძიების განსახორციელებლად ველოდო მეთოდებს მიმართავდა. მისი დავალებით მოხელეები ათასობით ადამიანს უსპობდნენ სიცოცხლეს, ჰკიდებდნენ ხეებზე, თავს ჰკვეთდნენ, მდინარეებში ყრიდნენ, ქალებს ქუჩებზე და თმებს აჭრიდნენ, უსუსურ ბავშვებს მშობლების თვალწინ ხოცავდნენ და სხვა მსგავსი ბარბაროსული ხერხებით ცდი-

ლობდნენ ხალხში ძალით დაენერგათ ისლამი. სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა შორის ქართველობის ნიშანწყალიც რომ წაეშალათ, მოსპეს ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, დაწვეს უძვირფასესი ხელნაწერები და ისლამის ჩქარი ტემპით დამკვიდრების მიზნით შეუდგნენ ჯამე-მედრესეების დაარსებას. 1873 წლის ცნობებით, მარტო ლაზისტანის სანჯაყში ყოფილა 447 ჯამე (მეჩეთი), აქედან აჭარაზე მოდიოდა 200-მდე ჯამე და 207 მედრესე. სამაგიეროდ ჩვენს მხარეში არც ერთი სკოლა და არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ ყოფილა. ჯამე-მედრესეები ისლამური ფანატიზმის გამავრცელებელი კერები იყო. ამიტომ სულთანმა დიდ ყურადღებას აქცევდა მათს მშენებლობას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მარტო ბათუმში, სადაც მხოლოდ 246 კომლი ცხოვრობდა (1.383 სული), სამი დიდი ჯამე იყო.

მიუხედავად დაჟინებითი ცდებისა, ვერც სულთნის ემისრებმა და ვერც ხოჯა-მოლებმა აჭარელთა გულიდან ვერ ამოვიციეს სამშობლოს სიყვარული, ვერ გადაავწყვეს მათ ღედაენა, ვერ მოსპეს ქართული გვარები, ვერც ზნე-ჩვეულებანი და ქართველობის სხვა ნიშნები. აჭარლებმა თავიანთი ქართველობა საუკუნეების მანძილზე სათუთად შემოინახეს და იგი ჩვენს ბედნიერ ეპოქამდე მოიტანეს.

თუ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ოსმალეთი აოხრებდა, მის აღმოსავლეთ ნაწილს ირანი ჯიჯენიდა და აჩანაგებდა. ჯერ კიდევ 1553-1555 წლებში ირანის შაჰმა და ოსმალეთის სულთანმა დაპყრობილი საქართველო ურთიერთშეთანხმებით გაინაწილეს. ამ დამპყრობთაგან გათელილი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთთან შეერთება იყო და ქართველი ხალხის საუკუნოვან ოცნებასაც — დაებრუნებინა სამხრეთ საქართველო — ხორცი შეესხა მას შემდეგ, როცა საქართველო დიდ რუსეთს დაუკავშირა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველი პატრიოტები არაჩვეულებრივი მონღომებით, დაუცხრომლად ზრუნავდნენ რუსი ხალხის ძმური დახმარებით ღედა-სამშობლოსათვის კვლავ დაებრუნებინათ ოსმალეთის მიერ ძალით მიტაცებული სამხრეთ საქართველო. თავის მხრივ, სამხრეთ საქართველოს ქართველებიც ვალში არ რჩებოდნენ, ისინი გააფთრებით ებრძოდნენ ოსმალ დამპყრობლებს და ყოველდღე და ყოველ წუთს ოცნებობდნენ საქართველოსთან შეერთებაზე.

ამიტომ იყო, რომ სულთნის მიერ ჩვენს მხარეში გამოგზავნილი ფაშები ადგილობრივ მოსახლეობას უნდობლად უყურებდნენ: „თქვენ გურჯები ხართ, ომი რომ მოხდეს, ქა-

როველების მხარეზე დადგებითო“, ეუბნებოდნენ ისინი ქართველებს და თან ქმნიდნენ ყაჩაღთა ბრძოლებს, არბევდნენ მოსახლეობას. დამპყრობლები ავიწროებდნენ როგორც ქრისტიანს, ისე მაჰმადიან ქართველთა ოჯახებს, სასლიდან გაჰყავდათ პირუტყვი, მშობლებს ტაცებდნენ შვილებს და მიერტყებოდნენ თურქეთის სხვადასხვა ბაზარზე გასაყიდად.

თურქეთის ჯარის რუსეთთან ბრძოლაში წარუმატებლობას ქართველ მაჰმადიანებს აბრალებდნენ. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, როცა ერეკლე მეფემ თურქები სასტიკად დაამარცხა ასპინძის ომში, მათ ეს აჭარლებს დააბრალებს: თქვენ ამ ომში გულდაგულ არ იბრძოდით, რადგან ერეკლე მეფე გურჯია და თქვენც, გურჯებმა, მას ხელი შეუწყვეთ და ჩვენც ამიტომ დამარცხდითო. სულთან ბევრს ცდილობდა, რათა ერეკლე მეფეს კავშირი გაეწყვიტა რუსეთთან. ამ მიზნით ხშირად უგზავნიდა ძვირფას საჩუქრებსაც, მაგრამ ამაოდ.

სარგებლობდა რა თავისი ავტორიტეტით რუსეთის მთავრობასთან, ერეკლე მეფე მისი მფარველობით ახრებდა თავხედი ფაშების ალაგმვას. ასე, მაგალითად, 1796 წელს ერეკლე მეფის სურვილით რუსეთის მთავრობამ თურქეთის მთავრობას მოსთხოვა თანამდებობიდან გადაყენებინათ შერიფ-ფაშა იმის გამო, რომ ალა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს შერიფ-ფაშამ ქართველ ლტოლვილებს დახმარება არ გაუწვია.

„ალა-მაჰმად-ხანის თბილისზე შემოსევის დროს მცხოვრებნი შეეხიზნენ როგორც ლტოლვილები ჩილდირის საზღვრებს. შერიფ-ფაშამ ამით მიმართ გულგრილობა გამოიჩინა. მან არავითარი დახმარება არ გაუწვია, ამით უყუარებდა, როგორც ტყვეებს“.¹

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთს მოწყვეტილი იყვნენ, მათ შორის მაინც დიდი მეგობრობა და სიყვარული სუფევდა. გურია და აჭარა-ქობულეთი ჭირსა და ლხინს ძმურად იყოფდნენ. მაგრამ ქართველ მაჰმადიანთა შორის იყვნენ ისეთი ფანატიკოსებიც, რომლებიც სულთნისა და მისი მოხელეების წაქეზებით ავტაცეას ეწეოდნენ ქართული ენის წინააღმდეგ. — ქართულად რომ ლაპარაკობთ, ცოდვავა, რუსები იტყვიან, რომ თქვენი ენა ქართული ყოფილა, თქვენაც ქართველები ხართ და ქართველ ქრისტიანებს უნდა შეუერთდეთო.²

1 თარიხი ჯვედეთი, ტ. VI, გვ. 201.

2 ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილ საქართველოსი“, გვ. 165, ბათუმი, 1911 წ.

მართალია, თურქეთის ბატონობის დროს მხრეთ საქართველოში ქართულ ენას სდევნიდნენ, მაგრამ ქართველი საზოგადოება მუდამ ზრუნავდა მისი შენარჩუნებისათვის და ამ მიზნით ხშირად გზავნიდნენ აჭარა-ქობულეთში და სხვაგან ქართულ ყურნალ-გაზეთებსა და წიგნებს. ბათუმელი ლევან და გრიგოლ მჭედლიძეები თბილისიდან იწერდნენ წიგნებსა და ყურნალ-გაზეთებს და ავრცელებდნენ მოსახლეობაში. მაგალითად, 1860 წელს შერიფ-ბეგი თბილისიდან და ახალციხიდან იღებდა წიგნებს, რაც მოხსენიებულია გ. ყაზბეგის შრომებში.

ქართული ყურნალ-გაზეთები აჭარა-ქობულეთში ხელიდან ხელში გადადიოდა, ეძებდნენ კარგ წამკითხველს და წაკითხულს ჯგუფურად ისმენდნენ.

სულთან და მისი მოხელეები განგებ უსიხანებდნენ ერთმანეთს სამხრეთ საქართველოს ქართველებს, რომ ისინი ურთიერთ ქიშპობითა და ბრძოლით მოექანცათ და შემდეგ ადვილად დაემორჩილებინათ. სამწუხაროდ, აწახოვიერთი ქართველი ფაშა ვერ გრძნობდა და ნაცვლად იმისა რომ ძალა მოეკრიბათ და სულთნის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა მოეწყვით, თვით ებრძოდნენ ერთმანეთს. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს ძლიერ გამწვავდა ბრძოლა ორ ბიძაშვილს — შერიფ და საბით ფაშა ჯაყელებს შორის. ეს ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ შერიფმა ახალციხის ფაშა საბითი დაამარცხა და ფაშობა წაართვა. საქმე ის იყო, რომ საბითის ფაშობა სულთნის სერასკიერებს არ მოსწონდათ, რადგან საბითი ქართველ ხალხს მეგობრობდა და რუსეთთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. იგი ლეკებს არ აძლევდა საშუალებას თავს დასხმოდნენ საქართველოს საზღვრებს. ლეკებთან მისი მტრობით ისარგებლა შერიფ-ფაშამ, საბითის თავის მოსაყვითად 60 ქისა ფული გაიღო და 1802 წელს შერიფისაგან მოსყიდულმა ლეკებმა საბითის თავი მოჰკვეთეს. ბათუმის, ქობულეთისა და სხვა ბეგები და მოსახლეობა კი საბითის მომხრენი იყვნენ და შერიფს ებრძოდნენ. ამ ბრძოლას სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა.

უნდა ითქვას, რომ სელიმ ხიმშიაშვილმა ადრე აულა ალლა სულთნის ამ ოინებს და ამოცანად დაისახა სამშობლოს განთავისუფლება. ჯერ კიდევ ადრე, საბითის მოკვლამდე, სელიმ ხიმშიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა შერიფ ფაშის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში. ამიტომ შერიფმა ძლიერ შეიძულა სელიმი და მისი მოსპობაც განიზრახა — ამ საქმისათვის 40 ქისა გადასდო.

საბითის მოკვლის შემდეგ შერიფ ფაშის წინააღმდეგ სელიმთან ერთად აღსდგნენ მთელი

სამხრეთ საქართველოს მოწინავე ადამიანები, სულთანს და მის მოხელეებს არ მოსწონდათ სელიმი. მას უყენებდნენ არაერთ ბრალდებას, როგორც რუსეთის მომხრეს, ოსმალეთთან სამხრეთ საქართველოს ჩამოშორების მოსურნეს და ისლამის ურამყოფელს.

და მართლაც, სელიმ ხიმშიაშვილი ასეთი მოღვაწე იყო და თავი შესწირა დედა-სამშობლოსთან სამხრეთ საქართველოს დაბრუნების დიად საქმეს. 1815 წელს, დიდი ბრძოლების შემდეგ, ლალატის გზით ბაბა-ფაშამ ხიხანის ციხეში ხელთ იგდო სამშობლოს უღრეცი მებრძოლი სელიმ ხიმშიაშვილი და 60 წლის კაცს თავი მოჰკვეთა. ამ საშინელ სიკვდილს სელიმი წარბეზებული შეხვდა. მან თურქებს ამაყად განუცხადა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალის სამუდამოდ არ შერჩება. ამის სხონას მე ჩემს შვილებსაც დავუტოვებო.“¹⁾ ასე დამთავრდა გულადი პატრიოტის, სამშობლოს ერთგული შვილის სელიმ ხიმშიაშვილის მგზნებარე ცხოვრება.²⁾

სელიმის სიკვდილით დასჯის შემდეგ ბაბა-ფაშამ იეროში მიიტანა მაგიზბეგის მმართველ ყარა-ბეგზე, რომელიც ებრძოდა და განზე უდგა თურქთა ხელისუფლებას. ბაბა-ფაშამ ისიც მოტყუებით ხელთ იგდო და თავი მოკვეთა. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მალე სელიმ ფაშის მოწინააღმდეგე შერიფ ფაშასაც მოკვეთეს თავი, შენც სელიმის თანამოაზრე იყავიო.

ბაბა-ფაშას სურდა სელიმისა და შერიფის მსგავსად მუხანათურად ხელთ ეგდო ბაიაზეთის ფაშა, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო წინდახედული აღმოჩნდა. მან წინასწარ კავშირი შეკრა ქურთებთან და, როცა ბაბა-ფაშამ ბაიაზეთს შეუტია, მას ზურგიდან 12 ათასი ქურთი ჯარისკაცი თავს დაესხა და მტარვალი ფაშა იძულებული გახდა არზრუმს დაბრუნებულიყო.

სულთნის ერთგული ქალაქი ბაბა-ფაშა სისტემატურად აწიოკებდა სამხრეთ საქართველოს, აპატიმრებდა ხალხის მეთაურებს და მუხანათურად ასალმებდა სიცოცხლეს. შემდეგ მან დევნა დაუწყო აჯანყებულ ლაზთა უფროს ტუსჩი-ოღლის, რომელსაც ძლიერ ბევრი მომხრე ჰყავდა.

1 ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილ საქართველოსი,“ გვ. 186, ბათუმი, 1911 წ.

2 სელიმ ხიმშიაშვილის მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ჩემი წიგნი „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“.

ამრიგად, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის. 1807-1812 წლებში იყო ამ საკითხის გადაწყვეტის ცდები, მაგრამ რუსეთ-საფრანგეთის ომმა იგი დროებით გადასდო. რუსეთ-საფრანგეთის ომის დამთავრების შემდეგ კი, ბუნებრივია, კვლავ მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა დედა-სამშობლოსთან სამხრეთ საქართველოს შეერთების საკითხი. კერძოდ, ეს იყო რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის ერთ-ერთი მიზანი. ეს ომი დაიწყო 1828 წლის 7 მაისს და თურქეთისათვის თავიდანვე არახელსაყრელად წარიმართა. თურქეთის არმია ზედიზედ მარცხდებოდა.

დიდი ბრძოლების შემდეგ რუსეთის ჯარებმა აიღეს ახალციხე, სამხრეთ საქართველოს სხვა ქალაქები და სოფლები, აგრეთვე არზრუმი და წინ მიიწვედნენ თურქეთის დედაქალაქისაკენ.

რუსეთის ჯარებს მოსახლეობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად სიხარულით ხვდებოდა და პურ-მარილით ეგებებოდა. როცა რუსეთის ჯარი ბიბურთის სპილენძის ქარხანას იღებდა, მაშინ იქაურმა ბერძნებმა, რომლებიც შეიარაღებული იცავდნენ ქარხანას, იარაღი დაჰყარეს და ჯარს ხატებით ხელში გამოეგებნენ. მოსახლეობა გამოცხადდა რუსეთის სარდლობასთან და განუცხადა — ჩვენ უბრძოლველად გბარდებითო. რუსეთის ჯარის ქალაქთან მიახლოებისას სულთნის ჯარებმა ქალაქი და მისი მიდამოები გამარცხეს და გაიქცნენ.

არზრუმთან რუსეთის ჯარების გამარჯვების შემდეგ მოძრაობა დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისათვის ახალი ძალით გაიშალა ქობულეთ-აჭარაში. მოსახლეობა თანდათან რწმუნდებოდა სულთნის ჯარების უძულურებაში და სულ უფრო ხშირად მოითხოვდა რუსეთთან შეერთებას. ამასთან დაკავშირებით 10 ოქტომბერს გენერალი გესე მსკევიჩს წერდა: ქობულეთის ერთი მამასახლისი ოსმან-ალა, რომლის სოფელიც გურიასთან ახლოს მდებარეობს, მოვიდა ნავომარში და განაცხადა: გვიშველეთ, დაგვიხსენით ოსმალებისაგან, ჩვენი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ იარაღს არ აიღებსო. მე მძევალი მოვთხოვე და ისიც თანხმა გახდა: — ოღონდ გადაგვარჩინე მათი შევიწროებისაგან და ჩვენ ყველანი მზად ვართო.

შემდეგ გენერალი გესე ერთ-ერთი ქობულეთელი ბეგის შესახებ წერს:

„...გურული თავადების უახლოესმა ნათესავმა ქობულეთელმა ბეგმა თავდგირიძემ განმიცხადა, რომ თუ ჩვენი ჯარები მისდამი დაქვემდებარებულ ადგილებში შევლენ, იგი ყოველ-

გვარი წინააღმდეგობის გარეშე დაგვინებდა¹.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. რუსეთის ჯარი სტამბოლის მისადგომებთან იყო, სულთანი ზავს ითხოვდა. 1829 წლის 14 სექტემბერს ადრიანოპოლში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ამ ომში თურქებმა დაპყრობეს შავი ზღვის სანაპიროები შეკვეთილად და ახალციხის საფაშო. რუსეთის სავაჭრო გემებს მიეცათ ბოსფორ-დარდანელიდან თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

ამის შესახებ კ. მარქსი წერდა, რომ 1828 წ., როცა რუსეთს შესაძლებლობა მიეცა თავს დასტყდომოდა თურქეთს ომით და ეს ომი ადრიანოპოლის ხელშეკრულებით დასრულდებინა, — ამ ხელშეკრულების შედეგად შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, ჩრდილოეთით ანაპიდან სამხრეთით ფთომადე (ჩერქეზეთის გამოკლებით), მის ხელში გადავიდა; და მან დაიკავა აგრეთვე კუნძულები დუნაის შესართავში, ხოლო მოლდავეთი და ვალახია ფაქტიურად თურქეთს ჩამოსცილდა და მის განკარგულებაში გადავიდა...²

ადრიანოპოლის ხელშეკრულების შემდეგ სამხრეთ საქართველოსა და კერძოდ აჭარაში განმათავისუფლებელი ბრძოლები არ შეწყვეტილა. ეკონომიურად გადატაცებული და გადასახლებით შეწუხებული მოსახლეობის უკმაყოფილებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ამას ზედ დაერთო ნიზამი (ჯარში გაწვევა), რასაც აჭარლები დიდი აღშფოთებით შეხვდნენ.

სულთანი დაჟინებით მოითხოვდა აჭარიდან ჯარს, მოსახლეობა კი სასტიკ უარზე იდგა, რის გამოც გამოსვლებსა და აჯანყებებს ბოლო არ უჩანდა. აჭარლებმა აისხეს იარაღი, გაამაგრეს ძველი ციხე-სიმაგრეები და ხელმძღვანელებიც აირჩიეს. მათ წინააღმდეგობის გასატეხად სულთანმა აჭარაში ჯარები შემოგზავნა, მაგრამ აჭარლები მათ მომზადებული დაუხვდნენ და უკუაქციეს. ამის შემდეგ რამდენჯერმე შემოუტყეს აჭარას, მაგრამ სულთნის ჯარები ყოველთვის მარცხდებოდნენ. შემდგომი შემოსევებისათვის თურქები უკეთ მოეზადნენ, შეაგროვეს 40-ათასიანი ჯარი, ადგილობრივად გაიჩინეს მოლაპატნები და დიდი ბრძოლების შედეგად შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება.

სულთნის ხელისუფლება აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდა — ხელმძღვანელებს თავი მოჰკვეთეს, ზოგიც ადგილებიდან აპყარეს და გადაასახლეს. მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, მათ მაინც ვერ შეძლეს აჭარიდან ჯარის გაყ-

ვანა. სამაგიეროდ, მცხოვრებთ მხოლოდ ხარკი დაადეს.

აღშფოთებული სალხი მოლაპატნებს ოჯახებში მიუხდა და ცოლ-შვილიანად ამოჰკლათ.

აჭარლების ჯარში გაწვევის საკითხი კვლავ წამოიჭრა 1850-1851 წლებში და მაშინაც ამ ნიადაგზე დიდი ბრძოლები გაიმართა.

ჯარში ძალდატანებით გაწვევის მოთხოვნამ და სულთნის სხვა უხეშმა ღონისძიებებმა საქართველოში გადასახლების ტენდენცია შექმნა. აჭარა-ქანეთისა და ქობულეთის მოსახლეობა ცდილობდა გურიაში გადასვლას.

„1849 წელს ქანეთსა და ჩაქვში ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ მოსახლეობა აჯანყდა. თურქული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტი ამ მოსახლეობამ იმით გამოხატა, რომ თავის მოძმე ქართველებთან გადასახლება გადაწყვიტა. ქანეთიდან და ჩაქვიდან 150 ოჯახი აყრილა და გურიის საზღვრის ახლოს მოსულა. ისინი საქართველოში შემოსვლისთვის რუხეთის მთავრობის ნებართვას ითხოვდნენ; მათ გარდა აქეთვე მოლოლა კიდევ 400-მდე მაჰმადიანი ქართველი“¹.

აქ იწვოდა ნიადაგი თურქ დამპყრობთა ფეხქვეშ, როცა 1853 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა და 1856 წელს დამთავრდა. ამ ომის ოფიციალურ გამოცხადებამდე 15-16 ოქტომბერს ოსმალთა ჯარები შემოიჭრნენ შეკვეთილში და მუხანათურად ამოჰკლეს მშვიდობიანი მოსახლეობა.

ახალ ომთან დაკავშირებით ვორონცოვმა განცხადებით მიმართა ამიერკავკასიის ხალხებს, რომელთაც მოაგონებდა წინაპართა თავდადებულ ბრძოლებს და ადაგზუნებდა მათ ერეკლე მეფის მაგალითით. — მე აქ მოვიყვან მრავალი მაგალითიდან ერთ მაგალითს, — ნათქვამი იყო განცხადებაში, — რომელიც თქვენ ყველაზე უფრო გახსოვთ, როცა 1770 წელს მამაცმა მეფე ერეკლემ თავისი ჯარებით, გენერალ ტოტლებენის ჯარების დაუხმარებლად, დიდი დარტყმა მიაყენა და სოფ. აწყურთან განადგურა თურქეთის მთავარი არმია, რომელიც ლამობდა საქართველოში შემოჭრას. მან ხიდი მდინარე მტკვარზე მოსპო და თურქეთის არმია ჩაიხრჩო მდინარეში“².

ომის დროს აჭარლები და საერთოდ შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრები ქართველი მაჰ-

1 Акты К. А. К. т. VII, стр. 415.

2 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი თხზ., ტ. IX, გვ. 145, მეორე რუს. გამოც., 1957 წ.

1 ციტირებულია მამია დუმბაძის წიგნიდან „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, გვ. 287, 1957 წ.

2 Акты К. А. К., т. X, стр. 794.

მდიანები რუსეთის მიმართ თანაგრძობით იყვნენ განწყობილნი. აი რას წერდა ამის შესახებ ვორონოვი თავად დოლოგოვს: „გადავიარე აწყური, ახალქალაქი, მანგლისი და ა. შ. არსად არ შემომჩნევია ჩვენდამი მტრული განწყობილების ნიშანი. აჭარლები და საზღვარზე მცხოვრებთა უმრავლესობა ომის შემთხვევაში წაგვიძღვებიან და გვათავაზობენ ჩვენს ავანგარდში სამსახურს.“¹

ის აჭარლები, რომლებიც თურქეთის ჯარში ძალით იყვნენ გაწვეული ბაშიბოზუჯის სახით, სახლში გარბოდნენ. ამ ფაქტს ადასტურებს თვით ვორონოვი, რომელიც 1853 წლის 14 დეკემბერს წერდა სამხედრო მინისტრს: „...როცა თავადმა ანდრონიკოვმა აიღო ფოცხოვის სანჯაყი, რომელსაც ამჟამად ჩვენ ვმართავთ, ზოგიერთმა აჭარელმა, რომელიც თურქთა რაზმში ირიცხებოდა, გამოძებნა შინ დაბრუნების მიზეზი ან საბაბი“.²

ფოცხოვისა და ახალციხის ბრძოლებში თავი ისახელა გენერალმა ანდრონიკაშვილმა. რუსეთის ჯარის ამ გამარჯვების შესახებ ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, ალყამომორტყმელი ციხე-სიმაგრე გაათავისუფლა თავადმა ვორონოვმა, გენერალ ანდრონიკოვის ჯარებით, რომლებმაც გაანადგურეს მტერი პირისპირ ბრძოლაში ამ ქალაქის მახლობლად.³

ომის მსვლელობაში დიდი ყურადღება მიიქცია ბათუმმა, რომელსაც როგორც ეკონომიური, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფრ. ენგელსის დახასიათებით, ბათუმი წარმოადგენდა მთელი აზიური თურქეთის საომარი მოქმედების ასპარეზის გასაღებს, რადგანაც იგი ბატონობდა სანაპიროდან ქვეყნის სიღრმეში მიმავალ ერთადერთ სალაშქროდ გამოსადეგ გზაზე.⁴

ასეთსავე დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა კარლ მარქსი ბათუმს. იგი წერდა: რადგანაც ბათუმის ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის ზომალდა ერთადერთი საიმედო თავშესაფარია, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რუსეთის მიერ მისი დაპყრობა თურქეთს წაართმევდა უკანასკნელ სამხედრო-საზღვაო ბაზას პონტოსზე და გადააქცევდა მას მხოლოდ-მხოლოდ რუსეთის ზღვად.⁵

დიდი ბრძოლები მოხდა გურიის საზღვრებზე.

1 Акты К. А. К., т. X, стр. 756.
 2 იქვე, გვ. 790.
 3 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ. ტ. IX, გვ. 573, მეორე რუს. გამოც.
 4 იქვე, გვ. 451.
 5 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ. ტ. IX, გვ. 117, მეორე რუს. გამოც.

ამ შეტაკებას ხელმძღვანელობდა მუშირი სელიმ ფაშა, რომელიც ხასან ბეგ თავდგირიძის რჩევა-წაქეზებით მოქმედებდა (ამ პერიოდში ხასან თავდგირიძე ფაშად იხსენიება, როგორც ჩანს, ისიც იყო მიუღია ფაშობა და ამით წახალისებული ყოფილა).

თურქეთის სარდლობა ქობულეთლებს ავალეებდა ებრძოლათ გურულების წინააღმდეგ, მაგრამ მათ ეს არ იყოსრეს. ამ ომში თავგამოდებით იბრძოდა ქართული მილიცია. დიდი სახელი მოიხვეჭა გიორგი გურიელიმ, რომელიც გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე. სიკვდილის წინ იგი მხნედ მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ.

გურიის საზღვრებთან ბრძოლაში პირველად წარმატება თურქეთის მხარეზე იყო, რაც იმან გამოიწვია, რომ გურიის მილიციის უმრავლესობა მოქმედებდა სამეგრელოში ომერ-ფაშის ჯარების წინააღმდეგ. შემდეგ მდგომარეობა ნიკოეთ-ჩოხატაურის ფრონტზე გამოწვრილდა. რაც უფრო მძაფრდებოდა ომი, მით უფრო სასტიკი შურისძიებისათვის ემზადებოდა მტერი. რაკი ძალა არ შესწევდა გურულების ვაჟკაცურ შეტევას გამკლავებოდა, იგი მოლაღატეებს ეძებდა, მაგრამ ჩვენები აქაც ფხიზლობდნენ. პოლიპოკოვნიკი ერისთავი ჩოხატაურის რაზმს ერთ-ერთ წერილში ატყობინებდა: დათა გურიელი მოლაღატა, მასთან ლესაში იმყოფება რეშიდ-ფაშა დუმბაძე, რომელიც თურქეთის ჯარებს უფროსობს.

ბოლოსდაბოლოს ოცდათოთხმეტი ათასი მეგრძოლისაგან შემდგარი თურქეთის არმია განადგურდა. ამ ომში მოუწყლავთ ხასან ფაშა თავდგირიძე და ლივა-ფაშა ევგვიტელი, დაუჭრიათ რეშიდ-ფაშა და დათა გურიელი. სისხლისმღვრელი ბრძოლები გამართულა 27 მაისს და 4 ივნისს, სადაც თავი უსახელებიათ ანდრონიკაშვილს, ვახვახიშვილს, ნიკოლოზ ჭავჭავაძეს, ჯანდიერს, ციციშვილს, მიქელაძეს, წულუკიძეს, პაატა მაჭავარიანს, მალაქია გურიელს, დიმიტრი ერისთავს, გრიგოლ ბერიძეს, მამაიაშვილა და სსვ.

შავი ზღვის სანაპიროებზეც ომერ-ფაშის სარდლობით გამართულ ბრძოლებში მამაცურად მოქმედებდა ქართული მილიცია. რუსეთის ჯარებთან თანამოქმედებით იგი სასტიკად ურტყამდა მტრის ჯარებს.

ამ პერიოდში ყარსის ციხე განსაცდელში აღმოჩნდა, იგი რუსთა ჯარებმა ალყაში მოიქციეს და მალე აიღეს კიდეც.

ყარსის აღებით, როგორც კარლ მარქსი წერდა, რუსეთის სარდლობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რუსეთმა მოასწრო ყარსის აღება და ამით აინაზღაურა ზარალი, რაც სევასტო-

პოლის სამხრეთ ნაწილის დაკარგვით მოუვიდა.¹

1856 წლის 25 თებერვალს დაიწყო პარიზის კონგრესი, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა და 30 მარტს დამთავრდა. კონგრესის შედეგად თურქეთს დაუბრუნდა ყარსი, მოხდა შავი ზღვის ნეიტრალიზება და ა. შ.

რუსეთ-თურქეთის ომმა, მართალია, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ ქართველ ხალხს ჩვენი ქვეყნიდან დამპყრობთა გაძევებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია.

ქართველ საზოგადოებას, ცხადია, დიდად აინტერესებდა მაჰმადიანი ქართველების ბედი, მუდამ იმაზე ოცნებობდა, თუ როგორ დაეხსნა დვიძლი ძმები და ხელსაყრელ დროს ელოდა. ეს ხელსაყრელი დრო რუსეთ-ოსმალეთის ახალი, 1877-1878 წლების ომი იყო. ამიტომ ქართველები დიდი აღფრთოვანებით მიდიოდნენ საბრძოლველად.

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ პულთნის მთავრობა ცდილობდა ყარსის, ბაიაზეთის, არზრუმისა და სხვა ციხეების გამაგრებას, მაგრამ ეს ვერ შეძლო. შემხვედრი პოზიციები რუსეთ-თურქეთის საზღვრებზე გადაიტანეს იმ ანგარიშით, რომ აღვლიობრივი მოსახლეობიდან შეეგროვებდნენ საჭირო ჯარს. გათვალისწინებული ჰქონიათ მარტო ქურთებისაგან 60 ათასი ცხენოსანი ჯარი შეეკრიბათ, მაგრამ ვერც ეს შესძლეს და ომის დროს ძლივს გამოიყვანეს 1.500-მდე მეზროძი.

ომის წინ სამხრეთ საქართველოში იმოგზაურეს ბევრმა მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ და სხვა დაინტერესებულმა პატრიოტებმა, კერძოდ, დ. ბაქრაძემ, ივ. კერესელიძემ, გ. ყაზბეგმა, გ. ერისთავმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. გურიელმა და სხვ.

სამხრეთ საქართველოში ამ დროს ძლიერ ცუდი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა იყო. თითქმის ყველა რაიონში იფეთქა აჯანყებამ, მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით იგი საზღვრისპირა ადგილებს მოედო.

წყაროებით დასტურდება, რომ ოსმალეთის ბატონობის დროს ქობულეთსა და აჭარაში, სხვა გადასახადებთან ერთად, შემოუღიათ გადასახადი ჩალაზე, რასაც აჯანყება გამოუწვევია. გარდა ამისა, აჭარა-ქობულეთში დაუწყიათ მიწათსარგებლობის წესების შეცვლა ე. წ. თაფუს შემოღებით. მიწის სარგებლობის ეს ახალი წესი ალა-ბეგებზე გლეხობის მიმავრების იურიდიულ გაფორმებას ემსახურებოდა. თაფუ ნასყიდობის სიგელი იყო. მას პირველ

რიგში ალა-ბეგები იძენდნენ გლეხების ხარჯზე. ეს გამოსასყიდი ფული იმდენად დიდი ყოფილა, რომ მოსახლეობის ეკონომიურ შესაძლებლობას აღემატებოდა. ამან გამოიწვია აჯანყებულთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ აჯანყებას ხალხი ოლქობას უწოდებდა. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ქობულეთის აჯანყება. აჯანყებულნი მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას გურისის მეშვეობით.

აჭარის მიუხეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ ერთ-ერთ მოგონებაში ამის თაობაზე გვითხვლობთ: ალი-ფაშამ ოლქების მეთაურებს შეუთვალა, როცა სოფელ აჭყვისთავში საერთო კრება ჰქონდათ მოწვეული, მოვიდვარ თქვენთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ხალხმა არ ისურვა და უარი შეუთვალეს. მიუხედავად ამისა, ალი-ფაშა მაინც წავიდა აჭყვისთავში თავის მხლებლებით იმ დღეს, როცა იქ საერთო კრება იყო მოწვეული. როცა ხალხმა გაიგო, ალი-ფაშა მოდის ჩვენთან, ვანრისხდნენ. ზოგი თოფით, ზოგი ცულით, წალდით და სხვა იარაღით გამოუდგნენ მას აჭყვისთავთან — სოფ. ალაბრამდე და იქ მოხდა სროლა. ალი-ფაშას მიუკლეს მხლებლები. გუმიშ-ბაიარახტარი რომანაძე და დაუქრეს ხუშუტ-ალა ტაკიძე და ხულუს-ჩაუშ მესხიძე. ალი-ფაშა თავისი მხლებლებითურთ დაინბა და დარჩენილებმა ძლივს უშველეს თავს და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ.

ამის შემდეგ შეგროვილი ხალხი (ოლქის წევრები) წავიდნენ მდ. ჩოლოქისაკენ და იქ დაიბარეს თავადი გურიელი, დაწერეს ქაღალდზე თავიანთი აზრი და გადასცეს გურიელს, რომელშიც გამოსთქვამდნენ გურიასთან შეერთების სურვილს.¹

გურიელი გლეხობას შეპირებია: თქვენ ახლა სალში წაბრძანდით, ადრე რუსები გესტუმრებთან და თაფუს მიღებას გადაჩეხითო. ალი-ფაშის აჭყვისთავთან დამარცხება ხალხმა ასე გალექსა:


მუხაესტატეს ამოვდა,
გულში შეიქნა სიცილი.
აჭყუაში რუმ ჩავიდა
მაშინ აკამეს სირცხვილი.²

ომის პერიოდში ქობულეთიდან პირველად 60 კომლი გადასულა რუსეთის მხარეზე, მათ შორის ყურუშუშ-ალა ჭყონია, დედე-ალა ნიქარაძე, შირინ-ალა ინაიშვილი, ახმედ-ალა გუგუნავა, ალი-ალა შაქარ-ოლი, სეფერ-ალა ჭყონია და სხვები. სანამ ომი მძვინვარებდა, იესე გურიელის დახმარებით ისინი გადავიდნენ ოზურგეთში და ცოლ-შვილით განაწილდნენ სოფლებ-

1 აჭარის სახელმწიფო მიუხეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 165, გვ. 32.

2 იქვე გვ. 163.

1 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. 10, გვ. 592.



ს უ რ ა თ ე: (ზევით, მარცხნიდან მარჯვნივ) შერიფ ხიმშიაშვილი, ქესკინ ნიუარაძე; (ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ) შერიფ ხიმშიაშვილის თანამებრძოლები, მედალი — „ერთგულებისათვის“, რომლითაც აჯიღდობდნენ 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის მამაც მონაწილეებს.

ში ბაილეთში, მამათში და სხვაგან. მათ აძლევდნენ სულზე აბაზს, ერთ ოყა სიმინდს, ბინას და სხვ. უფასოდ.¹

რუსეთ-თურქეთის 1878 წლის ომის მომსწრეთაგან ზოგიერთი დღესაც ცოცხალია. 96 წლის მოხუცი ქესკინ ნიუარაძე ასე გადმოგვცემს მაშინდელი ომის ამბებს:

„რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გურიის რაზმში მონაწილეობდნენ ქობულეთლები. მაგ., სოფ. აჭიდან ზაქარიძეები, ცეცხლაძეები, სალუქიაძეები, კვესიეშვილები, ჯინჭარაძეები, ბუქანიძეები, ვერულიძეები და სხვები. მე მახსოვს ამ რაზმის ერთ-ერთი მონაწილე ყემბერ

ზაქარიძე, რომელიც ტყვედ ჩავარდნოდა ხელში თურქებს. მახსოვს ისეთი შემთხვევა, როცა თურქებმა შეიპყრეს არიფ მოწყობილი (კოხიდან), ყესტი ინაიშვილი (სოფ. ქობულეთიდან) და სეფერ ჯაფარიძე (კონდილიდან), როგორც მოლაღატეები, წაიყვანეს გემზე, მოაბეს კისერზე ბაწარით ქეები და ზღვაში გადაყარეს.“¹

გურიაში სოფელ ლიხაურში (დღევანდელი მახარაძის რაიონი) ახლაც ცხოვრობს ამ ომის მონაწილე, 127 წლის მოხუცი ზეგარ სალუქიაძე. იგი სხვა გურულ გლეხებთან ერთად სუ-

¹ დასახელებული ფონდი, გვ. 38.

¹ დასახელებული ფონდი, გვ. 38.

რსათ-სანოვაგით ამარაგებდა ქობულეთის რაიონში მდგომ ქართველ და რუს მებრძოლებს.

ამავე დროს გურიის მოსახლეობა დიდ მფარველობას უწევდა ქობულეთლებს. ქესკინ ნიჟარაძე, მავალითად, მოგვითხრობს: „სოფლები ბაილეთი და მამათი იესე გურიელს ეკუთვნოდა და ჩვენ, სწორედ იქ მოგვეცეს ბინები. გურულები ჩვენ ვულთბილად გვეპყრობოდნენ, ყოველმხრივ ხელს გვიწყობდნენ, როგორც დევნილ და ომისაგან დაზარალებულ ძმებს.“¹

გურულები არა მარტო მფარველობას უწევდნენ ქობულეთელ რაზმელთა ოჯახებს, არამედ თვითონაც მხურვალედ იბრძოდნენ ამ ომში. როცა სახალხო ლაშქარი დგებოდა, გურიაში პირველსავე დაძახილზე სამი ათასი მოხალისე გამოიყვანდა, რაც სამჯერ აღემატებოდა ნავარაუდევს.

სამხრეთ საქართველოში საომარი ოპერაციები უმთავრესად ბათუმის, ყარსისა და არტაანის მიმართულებით წარმოებდა. ბათუმის მიმართულებით ბრძოლების მთავარი პუნქტი ამ ომშიც ციხისძირი იყო. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა 1878 წლის 18 იანვარს. ციხისძირი ბუნებრივად ძლიერ გამაგრებულ საფარს წარმოადგენდა და ამ ოპერაციის დროს მას ბევრი აღამბანი შეეწირა. ციხისძირთან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლებს აუგეს სამახსოვრო ობელისკები.

ყარს-არტაანის მიმართულებით ბრძოლებს მეტი წარმატება ჰქონდა. რუსეთის ჯარები ბრძოლის პირველსავე დღეებში თურქეთის მთავარ ციხე-სიმაგრეებთან აღმოჩნდნენ. ბრძოლის ცალკეულ პუნქტებზე დიდი წარმატება მოიპოვეს რუსთა ჯარებმა და სახალხო მილიციამ. ამ მხარეში წარმოებულ ბრძოლების დროს ქობულეთის, აჭარა-შავშეთისა და სხვა რაიონის მოსახლეობა გამოთქვამდა რუსეთთან შეერთების დიდ სურვილს. ამ პროგრესულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. მან ყველა რაიონში შექმნა თავის მომხრეთა ჯგუფი.

1877 წლის ნოემბერში გენერალი კომაროვი არმიის შტაბის უფროსს სწერდა: რაც შეეხება შერიფ-ბეგ აჭარელს, ის მუდამ რჩება ჩვენი ერთგული. როგორც შერიფ ბეგი, ისე მისი ბიძაშვილი ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, რომლის განკარგულებაშიც იყო მთელი იმერხევე-შავშეთის მხარე, ჯერ კიდევ ომამდე დაკავშირებული იყვნენ რუსეთთან.

შერიფ ბეგს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან, კერძოდ, ი. კერესელიძესთან, გ. ყაზბეგთან, მ. გურიელთან, დ. ბაქრაძესთან, მეფისაშვილთან და სხვებთან, რომელთა საშუალებებითაც რუსეთის ჯარის სარ-

დლობამ იცოდა შერიფის პოზიცია. როცა რუსეთის ჯარი არტანუჯში შევიდა, შერიფ ბეგმა საგანგებო კაცი გაუგზავნა იქ მყოფ რუსეთის სარდლობას და შეატყობინა, ახალციხისა და აჭარის მხრიდან თქვენ არავითარი სასიშროებო არ მოგვლით და ამისათვის პასუხისმგებლობაც თვითონ იცისრა. ნური ბეგმა წინასწარი მოლაპარაკების შედეგად თავისი რაზმის წევრები სახლში გაუშვა და თურქეთის სარდლობას აცნობა, ჯარი სახლებში გაიფანტო. თვითონ ნური ბეგი უცდელად ხელსაყრელ მომენტს, რომ არტანუჯში გადასულიყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. მისი მდგომარეობა მეტად კრიტიკული აღმოჩნდა. 26 დეკემბერს ახალციხის რაზმის ორმა ასეულმა ნური ბეგი, ვითომდა სამხედრო ტყვე, მიიყვანა თავის სოფელ რაბატში. ამრიგად, მისი მდგომარეობა ამ მხრივ გამოსწორდა, მაგრამ ახლა შერიფ ბეგზე ეჭვი აიღო დევრიშ-ფაშამ. მან დაავალა შერიფს, არტანუჯში წადი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. შერიფ ბეგმა ამბზე უარი თქვა იმ საბაბით, რომ რუსის ჯარები ახალციხიდან მოდიან და საზღვრები უნდა გავამაგროთო. ნათქვამი რომ დაედასტურებინა, შერიფმა გენერალ კომაროვს სთხოვა, ახალციხის მხრიდან რუსის ჯარი გამოიყვანე ქვაბლიან-აჭარისკენო. გენერალმა კომაროვმა პოლკოვნიკ ტრეიტერს უბრძანა, ჯარები შეიყვანე აჭარაში, რათა შერიფს რუსეთთან შეერთების საშუალება მიეცეთო. თანახმად ბრძანებისა, ტრეიტერის ჯარები უნდა შემოესულიყვნენ ბაკოში და აქ დალოდებოდნენ კომაროვისა და შერიფის შეთანხმებულ განკარგულებას, მაგრამ დიდი თოვლის გამო მათ აქ მოსვლა დააგვიანდათ.

დევრიშ ფაშამ ამ დროს აჭარა-მაჟახელაში 1.500 კაცამდე შეაგროვა და იმერხევისაკენ გაგზავნა. ეს შერიფმა დაუყოვნებლივ აცნობა კომაროვს.

არტანუჯისა და სხვა ხეობის აღებისას რუსეთის ჯარებთან ერთად სახელი მოიხვეჭეს პოლკოვნიკებმა ქავჭავაძემ და იოსელიანმა. ყარსის, ბაიაზეთისა და სხვა მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში სახელი გაითქვა გენერალმა ამილახვარმა. სადაც მელიქოვისა და ტერ-გუჟასოვის ჯარებს გაჭირება დაადგებოდათ, იქ ამილახვარი ვეფხვივით შეიჭრებოდა მტრის განლაგებაში და შოშის ზარსა სცემდა. ვანის ტბასთან, ალაშქერტთან, ბაიაზეთთან და სხვ. ყოველ დიდ პასუხსაგებ დაზვერვას ამილახვარი პირადად ხელმძღვანელობდა და მია რაზმს „მფრინავ კავალერიას“ ეძახდნენ. ამ რაზმს არა მარტო დაზვერვას ავალდებდნენ — იგი ყველა ძნელ ოპერაციას სწრაფად და უნარიანად ასრულებდა. სწორედ ამიტომ გენერალ-ლეიტენან-

1 დასახელებული ფონდი, იქვე.

ტმა ტერ-გუკასოვმა ბაიაზეთის ციხესთან ალყაში მყოფი რუსეთის ჯარის გათავისუფლება ამილახვარს მიანდო. ეს მეტად რთული დავალება იყო, რადგან ყოფინააღმდეგე ალყის გაძლიერების მიზნით ყველაზე ძლიერი შენაერთები იქ გადაისროლა.

მიუხედავად ამისა, ამილახვარის რაზმმა წარმატებით შეასრულა დავალება — გაიარა 140 კილომეტრი და მოულოდნელად ეკვეთა მტერს. მას შეუერთდა დამატებითი ძალები და 28 ივნისს ძლიერი იერიშით ბაიაზეთის ციხის გარნიზონი, რომელიც ოცდასამ დღე ალყაში იყო, განთავისუფლებულ იქნა.

1878 წლის 28-29 აპრილს რუსეთის ჯარები შემოვიდნენ სოფელ ბაკოში, შემდეგ მათ შეუერთდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. 30 აპრილს სვიატოპოლსკ-მირსკი დიდ მთავარ მიხეილს სწერდა: აჭარაში დიდი მღელვარებაა, შერიფი გადმოვიდა ჩვენთან, მისი სახლ-კარი განადგურებულია, ჭორაობის ხეობაში ჯერჯერობით მშვილობაა.

დევრიშ-ფაშა და რეაქციონერი აჭარლები, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ რუსეთ-საქართველოსთან აჭარის შეერთებისა, არავითარ პროვოკაციას არ თაკილობდნენ. მიუხედავად სან-სტეფანოს ხელშეკრულებისა, დევრიშ-ფაშა და მისი მომხრეები მოსახლეობას აჯანყებდნენ რუსეთისა და რუსეთთან შეერთების მომხრე აჭარლების წინააღმდეგ. ხალხზე რომ ზეგავლენა მოეხდინათ, მათ ბათუმიდან აჭარისაკენ დაძრეს ჯარისკაცთა რამდენიმე რაზმი და მოსახლეობას ეუბნებოდნენ: თქვენ ნუ გეშინიათ, ამ მხარეს ჩვენ რუსებს არ ჩავაბარებთ, აუჯანყდით მათ და დავებმარებით — ჩვენთან ერთად არიან ინგლისი და სხვა სახელმწიფოებო. მიუხედავად რუსეთის სარდლობის ვადრთხილებისა, დევრიშ-ფაშა დღითიღე აძლიერებდა პროვოკაციებს რუსეთის წინააღმდეგ და არეუ-დარევა შეჰქონდა ხალხში. გენერალ კომაროვის მოხსენების საფუძველზე მთავარმართებელმა 23 მაისს დეპეშა გაუგზავნა დევრიშ-ფაშას და გააფრთხილა — კვლავ აღარ გაეებდა რუსეთის წინააღმდეგ ხალხის ახედრება.

პასუხად დევრიშ-ფაშამ 25 მაისს მთავარმართებელს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „გენერალმა კომაროვმა მხედველობაში არ მიიღო შთაბეჭდილება, რომელიც მოსახლეობაზე მოახდინა სან-სტეფანოს აქტმა, რომლის ძალითაც მოსწყდნენ ისინი საუკუნეობრივ მამულსა და ხალხს, არ მიიღო-მეთქი მხედველობაში გარემოებისა და დროის მოთხოვნილებანი და ხელშეკრულების დადების შემდეგ მოულოდნელად გადალახა სადემარკაციო ხაზი, რითაც გამოიწ-

ვია მოსახლეობა შეშფოთება და მღელვარება.“¹

ამ დებეშით დევრიშ-ფაშას სურდა დაეფარა მის მიერ ხალხში წარმოებული რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა.

1878 წლის 5 ივნისს გენერალი ოკლობოვი სწერდა მთავარმართებელს: უკანასკნელი ცნობებით, თურქეთის ხელისუფალნი მოუთმენლად ელოდნენ კონგრესის გადაწყვეტილებას იმ იმედით, რომ ბათუმი დარჩებოდა თურქეთს. ამ აზრს ავრცელებდნენ მოსახლეობაში. შემჩნეულია თურქეთის ხელისუფალთა სურვილი ააჯანყონ მოსახლეობა იმ შემთხვევაში, თუ ბათუმი რუსეთს შეუერთდება. დევრიშ-ფაშასთან ერთად ინგლისის მოხელეები და მათი აგენტები დიდად აღიზიანებდნენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ და, ბოლოს, იარაღიც კი შესთავაზეს. „ბათუმში ამ დროს ინგლისელებმა სამი ხომალდი იარაღი მოიტანეს და ენერგიულად ემზადებოდნენ ომის გაჩაღებისათვის“²

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოქმედებდა ე. წ. ინთიკამის (შურისმაძიებელი) ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენდა ტერორისტული აქტები რუსეთის რფიცრებისა და მოხელეების წინააღმდეგ. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ამ ორგანიზაციის პირველი სხდომა გამართულა ერზინჯანში, რის შემდეგ იგი გადაუტანიათ სკუდარში. საზოგადოების წევრები მარადებოდნენ ფულით და საჭირო მასალებით და შემდეგ მათ ავზანდინდნენ რუსეთის არმიის მიერ დაკავებულ პუნქტებში (როგორც აზიში, ისე ევროპაში). როცა ისინი დანიშნულ ადგილას ჩავიდოდნენ, ეცნობოდნენ იქაურ საზოგადოების წევრებს, აღმასრულებლებს (კათილარს, რაც მკვლელს ნიშნავს) და დავალებებს აძლევდნენ მათ. ისინი მოსახლეობას აძლავებდნენ დახმარებოდნენ მკვლელებს ტერორისტული აქტების ჩადენაში და მიეცათ თავშესაფარი. ასეთ მოქალაქეებს (მკვლელებისათვის თავშესაფარის მიცემით ეწოდებოდა „ჰიმაოთჯილერი,“ რაც მფარველობას ნიშნავს.)

ამრიგად, საარქივო საბუთებში მოხსენიებულია „შეიხი-ინთიკამიჯილერ“ კათილარი, ჰიმაოთჯილერი.³

ასეთი ორგანიზაციები ყოფილან ბათუმში,

¹ ტომკევი, მასალები რუსეთ-თურქეთის ომის აღსაწერად, ტ. 4, გვ. 220; დანართი 1, 1908 წ.

² შ. მგერელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, გვ. 73, ბათუმი, 1956 წ.

³ ЦГИА ГССР, ф. 558, л. 4, л. 109 — 110.

ართენში, არზრუმში და სხვ. ტერორისტებს პირველ მსხვერპლად გამიზნული ჰყავდათ გენერალი კომაროვი.

ამ ორგანიზაციის საქმიანობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ინგლისის წარმომადგენლები.

თურქეთის მთავრობა დაკარგულს ებღაუპებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა განთავისუფლებული ქართული სოფლები და ქალაქები უკანვე დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა — ხალხს არ სურდა თურქეთის ქვეშევრდომობა.

ომი სულ უფრო მწვავედებოდა. რუსეთის ჯარები წარმატებით იბრძოდნენ და ქალაქებს და სოფლებს ზედიზედ იღებდნენ. 1877 წლის 25 აგვისტოს ფ. ენგელსი კ. მარქსს სწერდა, თუმცა შესაძლოა თურქებმა დაზამთრებამდე იგემონ რამდენიმე სასტიკი დარტყმა, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, თუ კონსტანტინოპოლში პანიკას არ გამოიწვევსო.¹

როცა თურქეთის დედაქალაქს ადამის სფეროთხე დაემუქრა, საქმეში ჩაერთვნენ რუსეთის გაკლიერებით დამფრთხალი ევროპის დიდი სახელმწიფოები, კერძოდ, ინგლისის მთავრობამ გააფრთხილა რუსეთის მთავრობა — არ მოეხდინა, თუნდაც დროებით, კონსტანტინეპოლის ოკუპაცია, მაგრამ რუსეთმა ინგლისის მთავრობას ასე უპასუხა: რუსეთი ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ სამხედრო მოქმედებათა მსვლელობა არ აიძულებს მას, დროებით მაინც, დიკავოს თურქეთის დედაქალაქიო.²

1878 წ. 8 იანვარს თურქეთის მთავრობამ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს დაზავება სთხოვა. მოლაპარაკებას ხელი არ შეუშლია რუსეთის ჯარებისათვის. ისინი განაგრძობდნენ წინსვლას კონსტანტინოპოლისაკენ, რამაც დააჩქარა სან-სტეფანოს ხელშეკრულების დადება.

1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პირობები ბევრ სახელმწიფოს არ მოსწონდა და მოითხოვდა მათ შეეცვლას თურქეთის სასარგებლოდ.

რუსეთის მთავრობამ ანგარიში გაუწია შექმნილ მდგომარეობას და 1878 წლის 30 მაისს ხელი მოაწერა რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას. ამ ხელშეკრულების თანახმად ინგლისი წინაღმდეგი არ იქნებოდა, რომ ბათუმი, ყარსი და სხვა ქალაქები გადასცემოდა რუსეთს. ამით ინგლისი თავის საქმეს იკეთებდა — მან თურქეთთან დადო საიდუმლო ხელშეკრულება კუ-

ნძულ კვიპროსის ოკუპაციის თაობაზე. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, ინგლისი კვიპროსს დაუბრუნებს თურქეთს მაშინ, როცა რუსეთი თურქეთს დაუბრუნებს ბათუმს, ყარსს და არტანსო.

რუსეთ-თურქეთის ზავის საბოლოო პირობების გამოშვებებს მიეძღვნა ბერლინის კონგრესი, რომელიც გაიხსნა 1878 წლის 13 ივნისს და გაგრძელდა 13 ივლისამდე. კონგრესმა ძირითადად განიხილა და მიიღო რუსეთ-ინგლისის 30 მაისის შეთანხმება. როცა ინგლისის პოლიტიკა გაიგო თურქეთმა, მას აღარ უნდოდა ინგლისისათვის კუნძული კვიპროსი გადაეცა და სულთანმა დიდხანს არ გასცა ფირმანი, მაგრამ ინგლისმა მაინც მოახდინა კვიპროსის ოკუპაცია და სულთანს იძულებული გახდა ფირმანი წინა რიცხვით გაეფორმებინა.

დიდი დავის შემდეგ ყარსი, არტანი და ბათუმის ოლქები გადაეცა რუსეთს, დობრუჯა და ჩერნოგორიას მიეცათ დამოუკიდებლობა, ხოლო ზავის სხვა პირობები, რომლებსაც სან-სტეფანოს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, კონგრესმა ძირითადად ძალაში დატოვა.¹

ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის ჯარი ბათუმში 15 აგვისტოს უნდა შემოსულიყო სამი მიმართულებით: ჭოროხის, აჭარისწყლის ხეობით და ქობულეთის მხრიდან. მაგრამ მთავარსარდალმა ბათუმის ჩაბარების ვადა ათი დღით გადააღო. ასე რომ 25 აგვისტოსათვის დევრიშ-ფაშას ბათუმი მთლიანად უნდა დაეცალა.

რუსეთის ჯარების შემოსვლას სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა. ასე, მაგალითად, ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის დღეღაცაცა რუსეთის ჯარებს დანდალო-ცხობრისთან პურ-მარილით შეეგება. ასევე პურ-მარილით შეხვდა ხალხი ქობულეთიდან მომავალ რუსეთის ჯარებს და ბათუმამდე მიაცილა ისინი.

რუსეთის ჯარების ბათუმში შემოსვლის წინ, 14 აგვისტოს, მთავარმართებლის მოადგილე სვიატოპოლსკ-მირსკი გენერალ-ლეიტენანტ ტერ-გუკასოვს წერდა, რომ ახლად შემოერთებულ მოსახლეობას გადასცემოდა რუსეთის მთავრობის შემდეგი შინაარსის მიმართვა:

1. რუსეთთან შეერთების შემდეგ მოსახლეობას ხელუხლებელი რჩება ოჯახი, ქონება და სარწმუნოება.

2. რუსეთის მთავრობის წინაშე მათ რჩებათ იგივე მოვალეობანი, რაც თურქეთის ბატონობის დროს.

1 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ. ტ. IV, გვ. 494.
2 დიპლომატიის ისტორია, ტ. II, გვ. 42, 1945 წ.

1 დიპლომატიის ისტორია, ტ. II, გვ. 40-50, 1945 წ.



გენერალ ამილახვარის ჯარები ათავისუფლებენ თურქთა მიერ ბაიაჯეთის ციხე-სიმაგრეში ალყაშემორტყმულ რუსეთის ჯარებს.

3. რუსეთის მთავრობას განზრახული აქვს დატოვოს არსებული შინამმართველობის წესები.
4. ვისაც სურფილი აქვს გადასახლდეს თურქეთში, ეძლევა ქონების გაყიდვისა და გადასახლების დრო.
5. არაეინ არ დისჯება წარსული ომის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის.
6. ყოველი შეიარაღებული წინააღმდეგობისა

ან ყაჩაღობისათვის დამნაშავეს ამიერიდან სასტიკი სასჯელი დაედება.

შეთანხმებისამებრ, 1878 წლის 25 აგვისტოს (ძველი სტილით) რუსეთის ჯარები შემოვიდნენ ბათუმში. გენერალ სვიატოპოლსკ-მირსკიმ დევრიშ-ფაშისაგან ჩაიბარა ქალაქი. დევრიშ-ფაშის უკანასკნელი გემი ბათუმის ნავსადგურიდან გავიდა 31 აგვისტოს.

* * *

ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ წამოიჭრა მუშაჯირობის (ლტოლვილების) საკითხი, რამაც ქართველ საზოგადოებაში დიდი უსიამოვნება გამოიწვია, რადგან მკვიდრი მოსახლეობა ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს და უცხო მხარეში იხვეწებოდა.

წინათ ჩვენში მრევლების სრულებით არ იყო რუსეთთან შეერთების შემდეგ კი იგი სწრაფი ტემპით წავიდა წინ. მოკლე დროში აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა. მოხდა ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია. ალბემიცემის განვითარებამ დააჩქარა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის გაყვანა. მრეველობის შემდგომმა განვითარებამ დღის წესრიგში დასვა ბაქო-ბათუმის ნავთსადგურის გაყვანის საკითხი, რის განხორციელებამაც ხელი შეუწყო ბათუმის მოწინავე ქალაქთა რიგებში ჩადგომას.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა სწავლავანთლების დარგშიც. გაიხსნა დაწყებითი და სხვა ტიპის სკოლები. ამ მხრივ აჭარას დიდი ამაგი დაღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით. პირველი ქართული სკოლა ბათუმში 1881 წელს გაიხსნა, სადაც სწავლობდა ბევრი აჭარელი ახალგაზრდა.

ახვევ დიდი ყურადღება დაეთმო ჯანმრთელობის დაცვას. აშენდა საავადმყოფოები, განხორციელდა მალარიისა და სხვა დაავადებათა სწინააღმდეგო ღონისძიებანი.

* * *

ქართველი ხალხი აღტაცებით შეხვდა თურქთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დედა-სამშობლოსთან შეერთებას.

აჭარის დელეგაცია, რომელიც 1878 წელს მიიპატიჟეს თბილისში, ჯერ მთავარმართებელთან იყო ვიზიტზე, შემდეგ კი ბანკეტზე. ამ დიდ ნაღიმზე ბევრი პატრიოტული სიტყვა წარმოითქვა.

სამხრეთ საქართველოს შემოერთებით აღტაცებული ილია ჭავჭავაძე ქართველ ხალხს მოუწოდებდა: „ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ, შევეწვიენთ, რითაც შეგიძლიან, ფულით, სიკმლით, საცმლით, ხორავით. ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა და ძმის წინაშე.“¹

არ დარჩენილა ქართველი პატრიოტი, რომე-

ლიც არ გამოხმაურებოდეს ამ გულწრფელ მოწოდებას. გაზეთები სისტემატურად ბეჭადენენ წერილებსა და ცნობებს აჭარელთა და მხარეების შესახებ.

ამ საქმეში დიდი პატრიოტობა და აჭარის სიყვარული გამოიჩინეს. ი. კერესელიძემ, ს. მესხმა, გ. ყაზბეგმა, დ. ბაქრაძემ და სხვ. ისინი აჭარლებს სერიოზულ დახმარებას უწყებდნენ როგორც მატერიალურად, ისე სულიერად.

დიდი ილია დაუცხრომლად ზრუნავდა აჭარლებისათვის. აჭარაში განწყობულ მუშაკებს იგი განსაკუთრებულ რჩევა-დარიგებას აძლევდა.


ასე, მაგალითად, მიხეილ შარაშიძე, რომელიც ბათუმში დაინიშნა მასწავლებლად, გამოგზავრების წინ ილიას ასე დაუთრებდა: „ჩემი პირადი სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ საპასუხისაგებ ადვილზე გამეგზავნე, იმედია გაამართლებ ჩემს ნდობას. იყავი წყნარი და მშვიდი, როგორც მტრედი, ხოლო დაკვირვებული... დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის მუშაობა, გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები — ჩვენი ძმები მეტად ნიჭიერი, დიწჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. ერთი უადვილოდ და ნაჩქარევად ნათქვამი სიტყვა ძიელი წლობით დასწევს უკან ჩვენს საერთო საქმეს. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. იარე საყავებში, ნუ დაერიდები, სარდაფში, მეჩეთში, ბაზარში და, ერთი სიტყვით იქ, სადაც ქართველ მუსლიმანებს სჩვევიათ თავის შეყრა. დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ, თუ წერა კითხვას შეასწავლი, თუ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით.“

საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ აჭარის პროგრესული მოღვაწეები, მათ შორის შერიდ ხიმშიაშვილი ქართველ ხალხს სთხოვდა დახმარებას და აჭარელ ახალგაზრდობას მოუწოდებდა სწავლავანთლებისაკენ. აჭარელთაგან პირველს სკოლაში თავისი ბავშვები მიუტაცა ხიმშიაშვილს. საჭირო მომზადების შემდეგ ისინი შესულან „თბილისის კორპუსის გიმნაზიაში“. ამის შემდეგ აჭარიდან და ქობულეთიდან სხვებსაც გაუგზავნიათ თავიანთი შვილები სკოლებში. ესენი იყვნენ დედე-აღანიყარაძე, გულო-აღა კაკაციაშვილი, ლორთქიფანიძე და სხვ.

შერიდ ხიმშიაშვილი იმ დროის დიდად შეგ-

1 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი ა ფონდი № 125, გვ. 12.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 30, 1955 წ.



ნებული პიროვნება ყოფილა. იგი ძლიერ და-
ინტერესებული იყო დედა-სამშობლოსთან სამხ-
რეთ საქართველოს შეერთებით. იმის წინ აჭა-
რაში მოგზაურობისას ივანე კერესელიძე პი-
რადად შეხვედრია შერიფ-ბეგს, უსაუბრია იმ-
დროინდელ საჭირობოტო საკითხებზე, ბოლოს,
როცა ივანეს ომზე ჩამოუგდია სიტყვა, შერიფ-
ბეგს აღფრთოვანებით უთქვამს: „ღმერთმაც
ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ,
რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვი-
ლებს შევუერთო“.

შემდეგ კი საწადელს მიღწეულმა შერიფ
ხიმშიაშვილმა არტანდიან გაზეთ „დროებას“
გაუგზავნა წერილი, რომელიც აღსავსეა პატრი-
ოტის მხურვალე გრძნობებით — კაცის ცხოვრე-
ბა თავიდან ბოლომდის მუდამ ცვლა-მოძრაობა-
ში არის, — წერს შერიფი და გადმოგვცემს თავის
განცდებს სამშობლოს უბედურების გამო:
„ვხედავდი ოსმალთა ბატონობის მთელ სიმძი-
მეს, ჩემ მოქმეთა ტანჯვას, ჩაგვრასა და ამას
ვერ ვურიგდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ მე
არ ვიყავი გაჭირვებული, თუმც მე კერძოდ ჩემის
ღირსებას მომეტებული სახელიც მქონდა
და პატივისცემაც, კარგი ყოფაცხოვრებაც და
სიმდიდრეც მამა-პაპეული, თუ ჩემგან შექნი-
ლი, რომელით შემეძლო ოსმალური გალადებით
და შვებით სიცოცხლე და ცხოვრება, მაგრამ
ყველა ეს გარეული გამოჩენილობა თვალში
სულ არ მომდიოდა... კმაყოფილებას ვიჩენდი
მარტოდ ოსმალეთის სათვალფეროდ, მაგრამ
შინაგანი ტკივილი, სული, გული, მუდამყამს
რადაც გამოუტრკვეველის მწუხარების ბნელი
უკუნით მოცული მქონდა... ან როგორ ავიცი-
ლებდი თავიდან ეგრეთ ბოროტ მოვლენას. ერ-

თის მხრივ ოსმალების უსამართლობა, მძლავ-
რობა, ცარცვა-მგლეჯობა, დამაქცევლობა და
ჩემი ტკბილი სამშობლოს აოხრება, გატილება-
დლითილდე უფრო მატულობდა... მით ერთი-
საათი მე ერთ დღეთ მიმაჩნდა, დღე ერთ-
მგზეფსად, ერთი მგზეფსი საუკუნედ“.

ასე მწარედ იგონებდა შერიფი თავისი მხა-
რის წარსულ უბედურებას. რა მწარედ განი-
დიდა ყოველივე ამას, ეს ნათლად ჩანს იმავე
წერილის შემდეგი სტრიქონებიდან: „რკინის გა-
ლიაში შემწყვდეული ვეფხვის მღვთმარეობა-
სა ჰგავდა დაახლოებით ჩემი მღვთმარეობა“.

დასასრულ შერიფ ხიმშიაშვილი მომავალ
თაობას მოუწოდებდა ახალი ცხოვრებისაკენ.

„... ღრმად მიძინებულ სულსა და გულს და-
შვებდნენ ჩვენი ღირს მემკვიდრეობით, რომ-
ლით წინ წავა ქვეყნის მშენებლობა, განახლ-
დებიან ცინე-ტაძარნი, სამოქალაქო ვაჭრობა,
ხელოსნობა, სწავლა-მეცნიერება, ზნე-კეთილო-
ბით, ერთი ათასად და ათი ათასად წარიმართე-
ბა მიწის შემუშავება, ნერგვა, წინდვა, მოყვან-
მარგვა, ყოველი საზრდო გავავადდება, რომ
ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს
სიმართლითა და კაცთმოყვარეობით“.

გამართლდა შერიფის წინასწარმეტყველება
— ოქტომბრის მზით განათებულ სხვა მოქმე-
რესპუბლიკებთან ერთად აჭარა წარმატებით
მიიწევს წინ. დღეს შერიფის შვილთაშვილები
მგზნებარე ენთუზიაზმით დგანან კომუნისმის
მშენებლობის ხარაჩოებზე და ყველა პირობას
ქმნიან იმისათვის, რომ, შერიფის სიტყვებითვე
რომ ვთქვათ, „ყოველი კაცი ჰედნიერების
გზა-კვალს დაადგეს“.



გიორგი ხაჩინაშვილი

ხშირად ხდება ასე: კაცი შორეული მოგზაურობიდან დაბრუნდა. ყველა ერთნაირი კითხვით მიმართავს — როგორ იმოგზაურა, რა ნახა, და ისიც ჰყვება, ჰყვება, მაგრამ ძალიან ძუნწად, თითქოს სალაპარაკო მიაკლდა ან ხალისი არ ჰქონდესო.

— სულ ეს არის?

— აბა, რომელი ერთი მოგყვებ — თავს იმართლებს მოგზაური.

— აი ეს სურათი... და იწყებს მოყოლას, მაგრამ ახლა უკვე დაწვრილებით.


შემდეგ მოგიყვება, თუ როგორ აჩუქეს სამკერდე ნიშანი, რას ნიშნავს ზედ გამოსახული წარწერა.

და ასე თანდათანობით, პატარა ამბებიდან იწყება საუბარი დიდ მოგზაურობაზე.

ჩემს მაგიდაზე აწყვია ნივთები, რომლებიც უცხო ქვეყნებში ჩვენს ამასწინანდელ მოგზაურობასთანაა დაკავშირებული. ფოტოსურათები, ჩანაწერები, პროგრამები, გაზეთები, რუკები.

ერთხელ კიდევ ვათვალიერებ მათ და თითქოს მოგზაურობას ხელახლა ვიწყებ.

ამ შთაბეჭდილებების მიხედვით დაწერე ეს წერილი, რომელსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს, ერთის გარდა: მკითხველებს მოუთხროს იმის შესახებ, რაც რიგითი ტურისტის, მოგზაურის თვალითაა დანახული.



დავიწყეთ ისე, როგორც ზოგიერთ რომანში წაგვიკითხავს. „ღღე იყო 7 მაისი. 1958 წელი“. დილის ექვს საათზე ოდესიდან გავედით. ჩვენმა თბომაველმა „გრუზიამ“, რომელსაც ვინ იცის რამდენი ზღვა და ოკეანე აქვს გავლილი და რამდენ ნავსადგურში ჩაუშვია ლუზა, ახალი მოგზაურობის კურსი აიღო.

თბომაველზე 750 ტურისტია. ამ 750-დან 34 „მასპინძლები“ ვართ — ტურისტები საქართველოდან. ჩვენს ჯგუფში მეცნიერთა სიჭარბე იკრძაობა: აკადემიკოსები ვ. კუბრაძე, ა. გულისაშვილი, ნ. მახალიანი, პროფესორები დ. შოთაძე, ი. ბაქრაძე, თბილისელთა შორის არიან, აგრეთვე, ცნობილი მკვდელი კ. ილურიძე და ელმავლის მემანქანე კ. ხარაძე. ბათუმი თბილისის ტურისტთაა წარმოდგენილი: მ. ეკიშვილი, ვ. მარღანიძე, ჩემი მეუღლე და მე.

მაშ ასე, მივიღივართ. რას ვნახავთ, როგორ ვიმზავრებთ? ფიქრობს თვითთელი ჩვენგანი გულში და ყველას თავისებურად ენატება მგზავრობის მომავალი სურათები.

ამინდი საერთო განწყობილებას არ შეეფერება. ცა ღრუბლითაა დაფარული და ტირის, თითქოს ჩვენს წასვლას დარდობდეს. ზღვაც უგუნებოდაა და ზოგჯერ ისე ამოიხრებს ხოლმე, რომ ჩვენს თბომაველს აკვანივით შეარწყვს.

გემბანზე კაცის ჰაჭანება არაა. ყველას დაბლა, დარბაზებსა და კაიუტებში შეუფარებია თავი. ეს აიხსნება, ჯერ-ერთი, ამინდით და, მეორეც, იმიტომ, რომ ასე თუ ისე „შინ“ ვიმყოფებით და „უცხო“ ჯერჯერობით არაფერია.

მაგრამ აი გემის რადიო აცხადებს, რომ ხვალ დილით 6 საათზე მივადრწვეთ ბოსფორს. ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ მთელი ხომალდი ამოძრავდა, ტურისტები მოემზადნენ, წესრიგზე მოიყვანეს მთავარი იარაღი — ფოტოაპარატები. აქვე უნდა ვთქვა, რომ 750 კაციდან თითქმის ყველა ფოტოგრაფია და, ცოცხა ვატეხილი ჯობია, მათ შორის მეც. ეს მეორე პროფესია სწორედ გამგზავრების წინ შევისწავლე. ასე რომ ჩემს „საწარმოო სტაჟში“ მხოლოდ ორიოდღე დღე ითვლება.

გათენებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო გემბანის „ოკუპაცია“. ყველა ცდილობს რაც შეიძლება მოხერხებული ადგილი დაიკავოს. „შტურმი“ მალე დამთავრდა და ახლა ისღა დავგრჩენია, რომ ველოდით ბოსფორის გამოჩენას.

პირველი, რაც რიყრაჟის ნისლში დავინახეთ, ეს იყო თურქეთის ლოცმანის კატარა. ჩაუშვეს ტრაპი. ლოცმანთან ერთად გემზე ამოვიდნენ საბაჟოს თანამშრომლები და პოლიციის წარმომადგენლები. „გრუზია“ კვლავ დაიძრა და მალე ჩვენს წინ გადაიშალა ბოსფორის სრუტის ულამაზესი ნაპირები. ბოსფორი ვიწრო სრუტეა (სიგანე 750 მეტრიდან 4 კილომეტრამდე), ნაპირები დაკლაკნილი, რომელთა შორისაც წყალი ძალიან სწრაფად მიედინება. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მდინარეში მიცურავდე. აი წარმტაცი ოქროს რქა. სურათი მით უფრო მიმზიდველია, რომ დილაა და ზღვაზე დგას რძისფერი

ნისლი. ოქროს რქის ორივე ნაპირზე ნაპირზე ლია სტამბოლის ევროპული ნაწილი.

„გრუზია“ სტამბოლის ნავსადგურში შევიდა. მაგრამ უშუალოდ თურქეთის მიწას არ შევხებოვართ, რადგან გემმისადგომსა და ჩვენს თბომაველს შორის ორი დიდი კარკაპი ჩააყენეს. ნავსადგურში სამუშაო დღე იწყება. ჩქარი ნაბიჯით მიმავალი თურქი მუშები წამით შეჩერდებიან და ჩვენს გემს აკვირდებიან. ზოგი ხელს გვიქნევს.

ნაპირზე გადმოსვლა კარგა ხნით ვაკვირდებით, რადგან ვაფორმების პროცედურები დიდი გულმოდგინებით და „კანონის ზუსტი დაცვით“ ჩატარდა. თვითეულ ტურისტს დაურიგეს დიდი სამედიცინო, რომლის ნახევარი გემიდან ჩამოსვლისას მოგვიხიეს.

ნავსადგურის წინ მოედანზე დაგვხვდა 22 ავტობუსი, რომელსაც ამდენივე გამყოლი ემსახურება. ქართული ჯგუფი ცალკე ავტობუსში მოთავსდა. შოფერმა მოტორი ჩართო და მალე სტამბოლის ქუჩებში გავედით.


სტამბოლი დიდი ქალაქია, მილიონზე მეტი მცხოვრებით. როცა ზღვიდან უცქერი, იგი ძალიან ლამაზია, მაგრამ აი გადადიხარ ხმელეთზე, გაივლი ქუჩებში და უკვე სულ სხვა შთაბეჭდილებაა.

ჩვენ დავათვალიერეთ სტამბოლის მხოლოდ ევროპული ნაწილი. პირველი, რაც თვალში გეცემათ, ეს არის მეჩეთებისა და ყავახანების სიმრავლე. აგერ ბაზრის ძველი შენობა. საქონელი უხვადაა გამოტანილი, მაგრამ მყიდველი ნაკლებად ეტანება. კერძო სავაჭროების მეპატრონეები დაუზარებლად აქებენ თავიანთ საქონელს და გამველლებს მალაზიებში ევატიყებიან.

როგორც ვთქვით, სტამბოლში ბევრი მეჩეთია. პირველად გვაჩვენეს ე. წ. ცისფერი მეჩეთი, რომელმაც ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. როცა გუმბათის ქვეშ დგახარ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს პირდაპირ ცა გამოკუყრებს მალლიდან, ჰაერიც როგორღაც ნახია, გამჟვირვალე.

აი საქვეყნოდ ცნობილი „აია სოფია“ — ბიზანტიის ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი, რომელიც თურქებმა ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მეჩეთად გადააკეთეს და მინარეთები მიუშენეს. ამჟამად „აია სოფია“ მუზეუმს წარმოადგენს.

მე-15 საუკუნის სულთნის სასახლეში თვალში გეცემათ ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომლებიც ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი, ჩინური, იაპონური, ფრანგული, გერმანული ფაიფურის ნაირნაირი ჭურჭელი. სასახლესთან არსებული არქეოლოგიური მუზეუმი — ეს ძველი



მეგობრის, რომისა და საბერძნეთის ექსპონატების გამოფენაა. აქვეა კიდევ ერთი „ძეგლი“ — თურქეთის უკანასკნელი სულთნის ჰარემი. სასახლეში 400 ოთახია, რომელთაც თავის დროზე 5000 კაცი ემსახურებოდა.

სტამბოლში ამერიკის ქარი ქრის. ოკეანისგანმელ სტუმრებს მასპინძლების ქალაქში მრავალსართულიანი სასტუმრო „ხილტონი“ აუგიათ. თურქეთის პოლიტიკელს ამერიკული „მოღის“ მიხედვით აცვიათ.

შუღამე იყო, როცა სტამბოლიდან გავედით. 9 მაისს დღით „გრუზია“ მარმარილოს ზღვის ტალღებს მიაღრვევდა. ეს არის ერთ-ერთი უღამაზესი ზღვა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს პრინცი კუნძულე — სტამბოლის მდიდართა სააგარის ადგილი.

ნაშუადღევს ჩვენი გემი შევიდა მეორე სრუტეში — დარდანელში, რომელიც აკავშირებს მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს. რამდენადაც მომხიბლავი და ლამაზია ბოსფორი, იმდენად უფერული და ღარიბი ბუნებაა დარდანელის ნაპირებზე. თვალში გეცემათ ორი მაღალი თეთრი ობელისკი, რომლებიც პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით გაჩნდნენ. ერთი მათგანი არსებობს, ინგლისმა და საფრანგეთმა ააგეს, ხოლო მეორე — მათმა მოწინააღმდეგეებმა — ვერმანიამ და თურქეთმა დიდ საზღვაო ბრძოლაში დაღუპულთა სამახსოვროდ.

თურქეთი უკან დარჩა. წინ გვაქვს ჩვენი მოგზაურობის მეორე პუნქტი — საბერძნეთი, ძველი ელადა, კაცობრიობის კულტურის აკვანი.

„გრუზია“ პირის ნავსადგურში შევიდა. ეს პატარა ქალაქი ფაქტობრივად ათენის გარეუბანს წარმოადგენს. ნავსადგურში ჩასვლისთანავე ყველა ჩვენგანმა იგრძნო, რომ ევროპულ კოხტა და სუფთა ქალაქში ვართ.

გემს დახვდნენ პოლიციისა და საბაჟოს წარმომადგენლები, ბანკის აგენტები და, რაც მთავარია, ჩვენთვის ყველაზე უფრო სასიამოვნო — საბჭოთა საელჩოს მუშაკები. შინაურებში როცა ხარ, თავს თავისუფლად გრძნობ, რაღაც სხვა-ნაირი განწყობილება გეუფლება.

გავგიფორმეს დოკუმენტები, მაგრამ არა თურქული გულმოდგინებით. ავტობუსები ჩვენს განკარგულებაშია. ჩავჯექით. ყველას გული მოუთმენლად ათენისკენ მიუწევს, რომლის შესახებ ამდენი რამ გავგიფორმია და წაგვიკითხავს. მაგრამ სანამ საბერძნეთის დედაქალაქისაკენ გავწევდით, პირველი დავათვალიერეთ. ვნახეთ უძველესი ტაძრის ნანგრევები და, ამრიგად, ათენში ჩასვლამდე „საუკუნეთა მიღმა“ გადავაბიჯეთ.

პირეიდან ათენამდე დიდი მანძილი არაა, სულ რვა-ცხრა კილომეტრი. მშვენიერი ავტოსტრადა.

გზის ორივე მხარეს წარბაქი პეიზაჟებში მწვანეში ჩაფლული თეთრი სახლები, სასტუმროები, მოაგარაკეთა შენობები. ეს საკურორტო ზონაა, სადაც თევზით ცხოვრობენ უცხოელი მდიდარი ტურისტები — ინგლისელები და ამერიკელები. საბერძნეთის ბიუჯეტში ტურისმიდან შემოსავალს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მოაგარაკებისა და ხელოვნების თაყვანისმცემელთა გარდა, საბერძნეთში სხვა ყიდის ტურისტებიც ჩამოდიან: ბანკირები, მსხვილი მეწარმეები, პოლიტიკოსები და სხვა ათასი ჯურის საქმოსნები.

ათენში უცხოელების სიმცირეს ვერ იგრძნობთ. განსაკუთრებით თვალში გეცემათ ამერიკული „სული“. მარტო ეს რეკლამები რად დირს! „მოსკოვით ამერიკული სიგარეტები“, „ნახეთ ამერიკული ფილმი უცნაური მკვლელობის შესახებ“ და ა. შ.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ ჩვენს ტურისტებს, რომლებიც ამ დროს უკვე აკროპოლში არიან. აკროპოლში — ქალაქის ამაღლებულ ნაწილში აღმართული იყო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობები და ტაძრები. ათენის აკროპოლში მსოფლიო ხელოვნების შესანიშნავი და განუთმეორებელი ძეგლებია. საუკუნეთა ქროლვამ თვითუფლ მათგანს საკუთარი დიდი დაანია, მაგრამ ისიც, რაც ჟამთა სვლას გადაურჩა, დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს.

აკროპოლის ძეგლების აღწერას არ შევეუდგები, რადგან მათ შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. გრძნობა, რომელიც გიპყრობს ამ ძეგლების დათვალიერების შემდეგ, ეს არის გაცეცხა, გაცეცხა, თუ რა შეიძლება შექმნას ადამიანის გენიამ. აკროპოლი ქვაში თუ მარმარილოში ამღერებულნი ამ გენიის სადიდებელი ჰიმნია, ჰიმნი, რომელსაც ვისმენთ, მაგრამ მისი შესრულება არ შეგვიძლია.

აკროპოლში მრავალი ძეგლია, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ძველი თეატრის ნანგრევები. ამჟამად თეატრი ნაწილობრივ რესტავირებულია და, როგორც ჩვენმა გიღმა გვითხრა, ელადის დღევანდელი მკვიდრნი ამ თეატრში ღია ცის ქვეშ ნახულობენ სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებს, მათ შორის „ოიდიპოს მეფეს“.

„ოიდიპოს მეფე“. თვალწინ დგება სურათები ტრაგედიასა, რომელიც ასე წარმატებით იღმეება ჩვენთან, საქართველოში — თბილისსა და ბათუმში. თითქოს აგერ, ამ კიბეებზე ნელ-ნელა აღის თვალმდათხროლი ოიდიპოსი, რომ მადლიდან თებესელებს თავისი ზნეობრივი გამარჯვება აუწყოს:

თქვენ კი თებესელთ, აწ გაწმენდილთ ბოროტებისგან,

თხოვნით მოგმართავთ; აწ და მარადის სიმართლე გქონდეთ ცხოვრების საგნად და უკუნიით გწვალოდეთ ღმერთი...

დავბრუნდით ისევ ათენის ქუჩებში. თვალს იტაცებს მარმარილოთი მოპირკეთებული თეთრი სახლები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ძველი ბერძნული სტილით ნაგები შენობები. ესენია მეცნიერებათა აკადემია, მუდმივი გამოფენა-ზაპეიონი, ეროვნული წიგნთსაცავი და მარმარილოს ოლიმპიური სტადიონი, რომელიც ორმოცი ათას მაყურებელს იტევს.

ენახეთ დიდი ინგლისელი პოეტის ბაირონის ძეგლი. ბაირონის ხსოვნას ყველა ბერძენი სათუთად ინახავს გულში, რადგან დიდი პოეტი და პუმიანსტი მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ საბერძნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. აქ დაავადდა ციკებით და სამუდამოდ დასუტა თვალები. ძეგლთან ყვავილების თაიგულეები ეწყვა.

ბაირონის გარდა, ბერძნები კარგად იცნობენ შიორე ლორდს — ელვინს, რომელმაც ის „პატივი“ დასდო საბერძნეთს, რომ ლონდონში გაიტანა ხელოვნების საუკეთესო ძეგლები. ხალხში „დამსახურება“ არ დაუკარგა და შესაფერი „ხელთუქმნელი ძეგლი“ აუგო. მოუხსინით ჩვენი გიღის სიტყვებს: ინგლისურ ენაში ბევრი ბერძნული სიტყვაა, ბერძნულში კი მხოლოდ ერთია ინგლისური — „ელვინი“, რაც ქურდს ნიშნავს.

სადილისათვის გემზე აღარ დავბრუნებულვართ. საბჭოთა ტურისტები რესტორან „ავეროფში“ მიგვიწვიეს. ჩვენი წინასწარი შიში უსაფუძვლო გამოდგა — უზარმაზარ რესტორანში ყველასათვის აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი. ასე რომ სივიწროვს არ ფერძნობდით. სადილზე დავკვსწრო საბჭოთა კავშირის ელჩი საბერძნეთში აშხ. სერგაევი, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირსა და საბერძნეთს შორის კავშირის განმტკიცების შესახებ და დღევანდელი უსურვა ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობას. საბჭოთა ტურისტების სახელით გამოვიდა აკადემიკოსი კუპრაძე.

დაილია სადღევრძელოები. მასპინძლებმა გულთბილი სიტყვებით მოგვმართეს, თუმცა არა მარტო სადღევრძელოების დროს. აი რა მწერა რესტორანის მენიუს ერთ გვერდზე რუსულ ენაზე: „ძვირფასო მეგობრებო, კეთილი იყოს საბერძნეთში თქვენი მოსვლა. დიდი სიხარულით, უბრალო, მაგრამ გულთბილი სტუმართმოყვარეობით გვხვებით თქვენ, საბჭოთა ტურისტებს. ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ საბერძნეთში თქვენი სტუმრობა ფართო გზას უხსნის საბერძნეთსა და საბჭოთა კავშირს

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენი ტურისტებიც დადიან საბჭოთა კავშირში, სათუთად ინახავენ მოგონებას თქვენი სამშობლოს შესახებ, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს“.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა რესტორანის ორკესტრმა, რომელსაც კომპოზიტორი მორაიკის ხელმძღვანელობდა. შესარულეს ბერძნული ხალხური სიმღერები. არც ჩვენ დავჩრით ვალში. მასპინძლებს საბჭოთა სიმღერები მოვასმენინეთ.

სადილობის შემდეგ დრო ისევ ქალაქის დათვლიერებას მოვანდომეთ, მაგრამ ეს უფრო თავისუფალი სეირნობა იყო.

შეუმჩნევლად გავიდა დრო ჩვენმა გამგზავრებამაც მოაღწია. ღამის 12 საათზე „გრუზიამ“ დატოვა პირვის ნავსადგური.


მოგზაურობის შემდეგი პუნქტი, ადრინდელი მარშრუტის მიხედვით, იყო იტალია, მაგრამ იქ წასვლა აღარ მოგვიწია. საქმე იმაშია, რომ 25 მაისისათვის იტალიაში უნდა ჩატარებულყო ბარლამენტის არჩევნები. იმის შიშით, რომ საბჭოთა ტურისტები ზეგავლენას მოახდენდნენ არჩევნების მსვლელობაზე, იტალიის ხელისუფლებმა უარი გვითხრეს ვიზებზე. ამის შესახებ ჭერ კიდევ სტამბოლში გვაცნობეს, რის გამოც მოხდა მცირედი გადაადგილება მარშრუტში — იტალიის ნაცვლად მივდივართ ეგვიპტეში — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ნაწილში.

აქვე უნდა შეგნიშნო: როგორც შემდეგ გავიგეთ, არჩევნებში იტალიის დემოკრატიულ წრეებს, სახელგანთ კომუნისტურ პარტიას მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვებია. ასე რომ ადგილობრივ ხელისუფალთა „შორსმტკერტელმა პოლიტიკამ“ სრული კრაზი განიცადა.

ათენიდან გამოვეყვენე წინასწარ ჩამოსული ეგვიპტელი პოლიციელები და საბაჟოს წარმომადგენლები. ეს იმ მიზნით, რომ სწრაფად მიგვარდეს ყოველგვარი ფორმალური მხარე და ჩასვლისას ტურისტებმა დრო არ დაკარგონ.

ალექსანდრია — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზღვაო ჰიმნარია, ქალაქი, რომელმაც განიცადა ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტების ვერაჯული თავდასხმის მთელი სიმძიმე, ქალაქი, რომელმაც მთელ ეგვიპტესთან ერთად იზიგმა აგრესორებზე გამარჯვება.

მეგობრები ყოველთვის წარგლი გულთხვდებიან ერთმანეთს და ამ მეგობრობის საუკეთესო დადასტურება იყო იმ არაბი მეუშების დიმილით გაბრწყინებული სახეები, რომლებიც ნავსადგურში შეგვხვდნენ. „რუს-ხარაშო“, „რუს-ხარაშო“ გაიძახიან დაბლიდან. ჩვენ, ასეთი გულთბილი შეხვედრით აღვლევებულნი, ნელნელა ჩამოვდივართ ეგვიპტის მიწაზე.



ეგვიპტეში ჩვენი ყოფნის დროს არაბთა გავრთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და ჩვენი ხალხები მოძმე არაბთა სახელმწიფოს მეთაურს ყველგან გულთბილ შეხვედრას უმართავდნენ.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ სპეციალური ავტობუსებით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელაქაოქ კაიროში გავმგზავრეთ. ალექსანდრიიდან კაირომდე 200 კილომეტრია. საუცხოოდ მოასფალტებული გზატკეცილი აფრიკის უდაბნოში გადის. ნახევარი გზის გავლის შემდეგ შევისვენეთ. ეს იყო ოაზისი, სწორედ ისეთი, როგორც გეოგრაფიის სახელმძღვანელოებიდან ვიცით, პალმებით დამშვენებული, მაგრამ მასთან ერთად არის პატარა რესტორანი და ბენზინის შესავსები.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ განვაგრძეთ გზა. 200 კილომეტრის გავლას სულ 3,5 საათი მოვანდომეთ.

კაიროში ჩვენი ჯგუფი მოთავსდა სასტუმრო „ვექტორიაში“. ნაშუადღევს გავდიეთ ქალაქის დასათვალიერებლად. გვიჩვენეს ყოფილი უფლისწულის მოხამედ-ალის სასახლე. არაბი ვიდის სიტყვით, სასახლე, რომელიც 1919 წელს აუგიათ, 200 მილიონ გირანქადაა შეფასებული. ახლა აქ მუზეუმია. თვალში მოგვხვდა სასახლესთან გაშენებული პატარა, მაგრამ არქიტექტურულად ლამაზი და მდიდარი, მოზაიკური ჩუქურთმებით დამშვენებული მეჩეთი.

ეგვიპტეში ჩასულმა კაცმა პირამიდები რომ არ ნახოს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ეგვიპტეში არ ყოფილა. ამიტომ მოუთმენლად მოველით კაიროს გარეუბან გიზაში გამგზავრებას, სადაც პირამიდები და სფინქსი გველოდება.

და აი მივიღვართ, ჯერ, კარგი ავტობუსით, მაგრამ შემდეგ რით? ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდნენ: უდაბნოს ხომალდი — აქლემები, ცხენები და... ვირები. ღიახ, ეს უწყინარი და ყველაფრის ამტანი ცხოველები. ყველაზე დიდი გასაეალი აქლემს აქვს, რადგან თუ ეგზოტიკაა, ეგზოტიკა იყოს! აი შემდეგ, როცა სახლში ჩავლენ, სალაპარაკო ექნებათ: „ერთხელ, როცა ეგვიპტის უდაბნოში აქლემით მივდიოდით...“ ცხენებზეც დიდი მოთხოვნილებაა, ვირებზე კი, რა მოვასხენოთ. ვირზე შეჯდომა ასეთ ვითარებაში ვერაფერი ვუკაცობაა.

სათქმელად ადვილია აქლემზე შევჯექიო, მაგრამ ეს შეჯდომა მთელი ხელოვნებაა. ამბავი იწყება ასე: თქვენთვის განკუთვნილი აქლემი წევს მიწაზე. მიდინართ და ჯდებით „სავარძელში“, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს არაფერს ნი-

შნავს. მთავარი წინაა, როცა აქლემი ადგილი იწყებს. აქლემთან ერთად თქვენ ისრებით წინ, შემდეგ უკან, შემდეგ წინ და ასე, აღიხართ ზღვის დონიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე. თქვენი ძირითადი მიზანი ამ დროს წონასწორობის შენარჩუნებაა. ამ დასკვნებს გადმოცემთ პირადი გამოცდილების მიხედვით.

პირამიდების აღწერას არ შევუდგები. მათმა ნახვამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რომელიც ერთი სიტყვით — გაცივებით შეიძლება გამოიხატოს.

კაიროდან ალექსანდრიაში მატარებლით დაებრუნდით. გზა ნილოსის — ეგვიპტის ამ მაცოცხლებელი დედა-მდინარის ველზე გადის. ახლა რწმუნდებით, თუ რა შეძლებაა წყალს. ფინიკიის პალმების მთელი ტყე, ბრინჯის თუ ბამბის ყანები, ბაღები, ბოსტნები — ყველაფერი ეს ნილოსის წყალობაა.

მატარებლის ფანჯრიდან ვხედავთ, როგორ დგას ეგვიპტელი ფელახი არხში, ვედროებით იღებს წყალს და შემდეგ ყანაში ასხამს. სულ ეს არის მისი „მექანიზაცია“. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ცხოვრების პირობები ჯერ კიდევ მძიმეა, ეს არის ნაყოფი იმპერიალისტების კოლონიური პოლიტიკისა. კოლონიალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლებული არაბთა ხალხი ახლა იწყებს ბედნიერი მომავლის შენებას.

ეგვიპტეს გავშორდით თუ არა, დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი საზღვაო „ექსპედიცია“. ვერაფერი სახარბელოა რვა დღეს ღია ზღვაში ყოფნა. თითქმის ყველა უგუნებოდაა, მაგრამ მოწყყენას ვინ ჩივის — თურმე წინ დიდი უსიამოვნება გველის. 15 მაისს ტუნისის ნაპირებთან დიფიყო რვა-ათი ბალიანი შტორმი. სათქმელად ადვილია რვა-ათი ბალი, მაგრამ სულ სწვავა, როცა საკუთარ თავზე გამოცდი მას. უზარმაზარი ტალღები ნაფოტით ათამაშებს ჩვენს თბომავალს. ირწყევა მთელი გემი და მასთან ერთად მგზავრები. ღელვამ თითქმის ყველას აწყინა, თუმცა რა გასაკვირია, როცა ზღვის ავადმყოფობით ოფიციალტებიც დაავადდნენ და სადილის გამოტანა (მათთვის, ვისაც ჭამის მაღა შერჩა) თვით მზარეულს მოუხდა. ტურისტების სახეებზე უნდა შეგეხებათ! ყველა დაღვრემილი, ყურებჩამოყრილი. ვერ იტყვი, ამ ხალხს ოდესმე გალიმება თუ შეეძლო. ანდა რა ღიმილი, როცა ლაპარაკის თავიც არავის აქვს.

18 მაისს ამინდი გამოკეთდა. „კრიზისი“ გადავლახეთ და ჩვენი ტურისტებიც გამოცოცხლდნენ. გემბანი ისევ გაივსო ხალხით, ყველას აინტერესებს უცნაური თანამგზავრების — მფრინავი თევზების დანახვა.

19 მაისს დილით გამოჩნდა ესპანეთის ნაპირები და სიერა-ნევედას თოვლიანი მწვერვალი. გავიარეთ ორი კონტინენტის გამყოფი გიბრალტარის სრუტე. გემიდან ვხედავთ ევროპასაც და აფრიკასაც. აი ცნობილი „ჰერკულესის სვეტი-ბი“! ნაპირი კლდოვანია, თითქმის სრულიად ტიალი. გიბრალტარი ინგლისის სამხედრო-სახელვაო ბაზაა, განეგებულა ციხე-სიმაგრე.

დავტოვეთ ზღვა და ატლანტის ოკეანეში გავედით. ორგვლივ მხოლოდ, როგორც ბავშვები იტყვიან, „ბევრი, ბევრი წყალი“. ჩვენს გემზე ბალ-მასკარადი გაიმართა. განწყობილება საზეიმოა. ვიგონებთ „გარდასულ ბრძოლებს“, ვიცინით, ვმზიარულობთ, მაგრამ თურმე ჯერ ადრეა. კვლავ „ღმერთმა დაგვსაჯა“. ამოვარდა ქარი და დაიწყო დღევა, თუმცა უფრო ნაკლები ძალის, მაგრამ მინც არასასიამოვნო. ასე გაგრძელდა სამ დღეს.

23 მაისი. „გრუზია“ ჰავრის ნავსადგურში შევიდა. ჩვენ საფრანგეთის მიწაზე ვართ.

საფრანგეთი...

„პოლიტიკური მოსაზრებების“ გამო ჩვენ იტალიაში შესვლაზე უარი გვითხრეს. ეს დანაკლისი ეგვიპტით ავინაზღაურეთ. საფრანგეთშიც ამ დროს ალჟირის ამბებთან დაკავშირებით სავანგებო წესები იყო გამოცხადებული. საბედნიეროდ, იმის შიში, რომ საფრანგეთის ნახვაც არ მოგვეხდებოდა, არ გამართლდა.

საფრანგეთი. ბევრის წარმოდგენაში მთელი ევროპა ამ ერთი ქვეყნით იფარგლება.

საათში 80 კილომეტრის სისწრაფით მიჰქრის მატარებელი ჰავრიდან პარიზში, მაგრამ ჩვენც ოცნებები მისზე სწრაფად მიჰქრიან და საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩებში დაგვაქროლებენ.

ლუერი. თანხმობის მოედანი. ელისეს მინდვრები, ეიფელის კოშკი — ვიმეორებთ ამ ათასჯერ წაკითხულ და გაგონილ სახელებს.

მიჰქრის მატარებელი და აი პარიზიც. ჩამოვედით წმიდა ფილიპეს სადგურზე.

გავემართეთ სასტუმროსაკენ. ქართულა ჯგუფის ტურისტები მოვთავსდით ოტელში, რომელიც ვიქტორ ჰიუგოს პროსპექტზეა აღმართული. სადილობის შემდეგ წავედით ბულონის ტყის დასათვალიერებლად, რომელიც პარიზიდან საქმაო მანძილითაა დაშორებული. იმავე საღამოს გამოცხადდა თავისუფალი სეირნობა ქალაქში.

საღამოს პარიზი. ძნელია ამ სილამაზის გადმოცემა. ჩამავალი მზე ოქროსფერად ხატავს შენობების ფასადებს. ლივლივებს სენის მოსარკული ზედაპირი. სამუშაო დღის შემდეგ ახალ ცხოვრებას იწყებს მწვანეში ჩაფლული ქალაქი, სიცოცხლე ემატება. აგერ ერთ-ერთი ქუჩის კუთხე მტრედებს დაუფარავთ. პირდაპირ

ქაფენილზე სხედან და საკვებს კენკავენ. პარიზელები მათ გულუხვად უმასპინძლებიან. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კი ერთმანეთს ჩახვევიან და კოცნიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. დღისით, მზისით, ამდენი ხალხის თვალწინ...

ქუჩაში გვერდს ვერ აუვლი, იმდენი ხალხია, მაგრამ ამ ხალხზე მეტი მგონი მანქანებია. უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ფართო პროსპექტებზე, მაგრამ ტევა მინც არ არის. ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ამ მანქანების ზღვაში დაინახავთ ეტლსაც, რომლითაც გასეირნება, ეტყობა, ზოგიერთისათვის მოდია. პარიზზე ბინდი წვება. ვეებერთელა ქალაქში ერთბაშად აინთება უთვალავი მზე და ზღაპრულად გაზადდება პარიზის ყოველი კუჩქული.

რეკლამები. რეკლამები. რეკლამები.

ღამის პარიზის აღწერა არ შეიძლება. ეს საკუთარი თვალთ უნდა ნახო.

24 მაისს იმ ექიმებმა, რომლებიც ქართველ ტურისტთა ჯგუფში ვიყავით, დავთვალეირეთ პარიზის ორი კლინიკა — ორთოპედიული და რევმატული. ორთოპედიული კლინიკის გამგემ მსოფლიოში ცნობილმა პროფესორმა მერლდობინემ ძლიერ თბილად მიგვილო, გვესაუბრა, ხოლო შემდეგ, რადგან თვითონ პირადად არ ეცალა სტუდენტებთან მეცადინეობის გამო, დოცენტს დაავალა ჩვენთვის კლინიკა დაეთვალეირებინა. დათვალეირებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ისევ პარიზის ქუჩებში ვართ. პანთეონი. აქ დაკრძალულია ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო, ვიქტორ ჰიუგო, ფლობერი და ფრანგი ხალხის სხვა სახელოვანი შვილები. კედელზე წარწერაა: „თავისუფალი სიცოცხლე ან სიკვდილი“.

თანხმობის მოედანი. აქ 1793 წლის 21 იანვარს გილიოტინაზე სიკვდილით დასაჯეს ლუდოვიკო XVI, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დედოფალი მარიამ ანტუანეტა. აქვე დასაჯეს მარატის მკვლეელი შარლოტა კორდე. გილიოტინის ადგილას ახლა ქანდაკება დგას. ასეთი ქანდაკება მოედნის ირგვლივ სულ ათია. ისინი საფრანგეთის მთავარი ქალაქების სიმბოლიური ძეგლებია და აღმართულია 24 მეტრი სიმაღლის ეროვლიფებიანი გვეიპტური სვეტის გარშემო.

კვარცხლბეკზე გადმოდგარა ცხენზე შემჯდარი იარაღსმული ქალი. ეს ჟანა დარკის ძეგლია.

ვერსალის სასახლე. შორიდან ხედავთ ცხენზე მჯდომ ლუდოვიკო XIV. სასახლეს ნალისებური მოყვანილობა აქვს. საფრანგეთის მეფეების ამ ყოფილ რეზიდენციაში ახლა მუზეუმი. გარშემო ვეებერთელა პარკია, სადაც ათას-



გვარი მცენარეა. პარკს მეტად ამშვენებს შადრევნები და სხვადასხვა ქანდაკება.

მიღირსულადაა გაფორმებული დარბაზების ქერი. კედლებს ხალჩიები ამშვენებს, რომლებზეც არის სასახლის ყოფაცხოვრების სურათები. როგორც გვიხსრეს, ამ პანოებს ძლიერ ნელა ქსოვდნენ — ერთ მეტრს წელიწადში.

აი ცნობილი სარკეებიანი დარბაზი. ეს სარკეები კეთდებოდა მხოლოდ ვენეციაში და ძალიან ძვირად ფასობდა, დაახლოებით ისე, როგორც ოქრო.

ვიქტორ ჰიუგოს მიერ უკვდავქმნილი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. ხელოვნების ეს დიდი ძეგლი შთაბეჭდავია როგორც გარეგანი გაფორმებით (წმიდანთა ქანდაკებანი, ქიმერები), ისე შინაგანი მხატვრობით. პირველი დანახვისთანავე ტაძარი გატყვევებს თავისი სიდიდით, მონუმენტურობით.

პარიზის მშენებელთა ელისეს მიწდერები, რომელიც იწყება თანხმობის მოედნიდან და მთავრდება ვარსკვლავის მოედანზე. იგი წარმოადგენს ქალაქის გრანდიოზულ არტერიას, სასერიზო ადგილს და დიდ სავაჭრო ცენტრს. მოედანზე, საიდანაც ვარსკვლავისებურად იწყება 12 პროსპექტი და მათ შორის „ჩვენი“ — ვიქტორ ჰიუგოს ქუჩა, დგას ტრიუმფალური თალი, ბარელიეფებითა და ქანდაკებებით დამშვენებული. მათ შორის გამოირჩევა ჯგუფი „მარსელიზა“ ანუ „1792 წლის ლაშქრობის სიმღერა“. საზეიმო თალის აგება დაკავშირებულია ნაპოლეონის სახელთან. თალის ქვეშ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე ჩაუქრობელი ალი გიზიზებს.

მახლობლად ცაში აჭრილა ეიფელის კოშკი, რომელიც 1889 წლის საერთაშორისო გამოფენაზე აიგო. კოშკი სამ პატარა მოედანს შეიცავს. სულ კოშკის სიმაღლე 300 მეტრია. მწვერვალზე მოთავსებულია რადიო და მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა (სადგური). კოშკიდან ხელისგულივით მოჩანს ვეებერთელა პარიზი.

პერ-ლაშეზის სასაფლაო. მოკრძალებით ვაწყობთ ყვავილების თაიგულებს კომუნარების კედელთან. ვინახულეთ ანრი ბარბიუსის, ვიან კუტიურის, მარსელ კაშენის საფლავები.

შემდეგ ვიყავით მონმატრის გორაკზე, სადაც დროს ატარებს ღამის პარიზი. ვნახეთ „წმიდა გულის“ ეკლესია, რომლის სამრეკლოზე ჰკიდია 19-ტონიანი ზარი (როგორც გვიხსრეს, უდიდესი მსოფლიოში).

„გრანდ-ოპერა“. ბილეთებზე თავბირის მტარევაა, პარიზში საგასტროლოდ იმყოფებიან მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობები.

ფრანგები ჩვენი ხელოვნების დიდი მოყვარული არიან. ვიამბეს იმის შესახებ, თუ როგორ ბრწყინვალედ ჩატარდა ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები — „ქართველებმა დაიპყრეს პარიზი“.

ვიყავით პარიზის მეტროში. მოსკოვის მეტრო ბევრად უკეთესია.

მეტად სასიამოვნო იყო სენაზე პატარა გემით სეირნობა. გავიარეთ ბევრი ხიდის ქვეშ.

უცხო თვალს აკვირვებს პარიზის კაფეების სიმრავლე. კაფეში თითქმის ყველა დღის — ჯგუფ-ჯგუფად; ოჯახობით, წყვილად თუ მარტო. შექმნილიან ლუდს, ღვინოს, თუ ყავას. მაგიდეზე საქმიანი საუბარია. რეპორტიორები, მწერლები, მსახიობები კაფეების ხშირი სტუმრები არიან. ზაფხულობით, როცა შენობაში ცხელა, მაგიდები გარეთ გამოაქვთ. მზემ რომ არ შეაწუხოს, ტილოს ფარდებს ჩამოაფარებენ.

26 მაისს საფრანგეთში ჩვენი ყოფნის უკანასკნელი დღეა. რა შეუმჩნევლად გარბის დრო. თითქოს ყველაფერი ვნახეთ, მაგრამ, ასევე შეიძლება ითქვას, არაფერი გვინახავს. პარიზის გაცნობა ორიოდ დღეში არ შეიძლება, ამას დიდი დრო უნდა, დრო კი ჩვენ ცოტა გვაქვს.

რა გვრჩება უნახავი? — ლუვრი. და აი ლუვრში ვართ. ვენერა მილოსელი, „მონა ლიზა“. რაფაელის, ტიციანის, რემბრანდტის, რუბენსის გენიალური შედეგები. მათ სათაობით ათვალიერებენ, ჩვენ კი მხოლოდ რამდენიმე წუთი დრო გვაქვს.

ავტობუსით მივიდვართ ისევ წმიდა ფილიპეს სადგურში. ჩვენს კითხვაზე მძლოლი გვიყვება, რომ ხელფასი არ ყოფნის და იმისათვის, რომ ოჯახი არჩინოს, თავისუფალ საათებში ზედმეტად მუშაობს. ჭირს ცხოვრება, განსაკუთრებით ძნელია ბინის ქირის გადახდა. პარიზში საცხოვრებელი ბინების პრობლემა მეტად მძიმე და გადაუჭრელია...

დავტოვებ პარიზი. მატარებელმა მიგვაქრა ოლა ჰაერში, სადაც ნავსადგურში გველოდება „გრუზია“ და აი, უკვე ჩვენს „ბინაში“ ვართ. ნახვამდის, საფრანგეთ!

27 მაისს საღამოს 7 საათზე ბელგიაში მივედით. საბჭოთა თბომავალი მიადგა ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ნავსადგურს ანტვერპენს. მასპინძლები კარგად შეგვხვდნენ. მისვლისთანავე თავისუფლად გავგვიშვეს ნაპირზე. დარჩენილი დრო ქალაქის დათვალიერებას მოვანდომეთ.

მეორე დღეს ავტობუსებით გავემგზავრეთ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის დასათვალიერებლად.

გამოფენა გახსნილია პარკ გეიზელის ტერიტორიაზე, რომელიც თვით ქალაქიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული. გზაზე პატარა ქალაქ ბოლოში ვნახეთ გერმანელთა ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკი ბრენდონკი, რომლის წინ ბანაკში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლია აღმართული.

ბოლოში მოულოდნელად ჩვენს თანამემამულეს გადავეყარეთ, ეს იყო კინოოპერატორი ასათიანი, რომელმაც შემთხვევით ისარგებლა და ფირზე აღბეჭდა საბჭოთა ტურისტების აქ ყოფნა.

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე 50-მდე ქვეყანა მონაწილეობს. დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ათასობით ტურისტით სავსეა სხვადასხვა სახელმწიფოთა პავილიონები.

განსაკუთრებით ხალხმრავალია საბჭოთა კავშირის პავილიონი, რომელიც მონუმენტურობით გამოირჩევა. წარმტაცი სანახავია ალუმიინისა და მინისაგან ნაგები ვეებერთელა შენობა. პავილიონის ექსპოზიციები 20-მდე განყოფილებაში არის წარმოდგენილი. ისინი ასახავენ ჩვენი ქვეყნის მრეწველობას, სივლის მეურნეობას, მეცნიერებას, კულტურას და სხვ. ექსპონატები ნათეს სურათს იძლევიან იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ შიშობვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე.

ჩვენთვის, ქართველი ტურისტებისათვის, განსაკუთრებით სასაამოფნო იყო ის ფაქტი, რომ გამოფენაზე ვნახეთ ექსპონატები საქართველოდან — ჩიის საკრფე მანქანა, კვების მრეწველობის პროდუქტები, ქართული ღვინო, კონიაკი და სხვ. საბჭოთა კავშირის ხელოვნების გამოჩენილ ოსტატთა ნაწარმოებების გვერდით ვნახეთ ქართველი მხატვრების ნამუშევრებიც.

პავილიონში ბევრი რამაა საყურადღებო, მაგრამ ყველაზე მეტი ხალხი მაინც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის თითქმის ნატურალურ მაკეტთანაა. „სპუტნიკი“ ბელგიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საყოველთაო აღტაცებას იწვევს. საბჭოთა პავილიონის ხელმძღვანელობა უშვებს გაზეთს, რომელსაც „სპუტნიკი“ ქვია. ჩვენ შევიძინეთ ეს გაზეთი და, როგორც ერთ-ერთი ძვირფასი სუვენირი, თან წამოვიღეთ.

გარდა საბჭოთა პავილიონისა, ვინახულეთ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების პავილიონები. ბევრი რამ კარგია, ბევრიც არ მოგვეწონა, განსაკუთრებით ეს ითქმის ესპანეთისა და სიამის პავილიონების შესახებ. გამოფენაზე წარმოდგენილია ვატიკანიც, რომლის პავილიონიც გამოსახავს ეკლესიას,

სადაც წირვა მიმდინარეობს.

მსოფლიო გამოფენის ყურადღების ცენტრშია ატომიუმი. ეს არის ნაგებობა, რომელიც ატომის ებოქისადმი მიძღვნილი. გარედან როცა უცქერთ, ასეთი სურათია: ვეებერთელა „ატომები“ — ლითონის ბურთები ერთმანეთთან დაკავშირებულია მილებით, რომლებშიც გაყვანილია ლიტები და ესკალატორები. ხოლო ზემოდან ჩამოსვლის დროს ექსკურსანტები ჩვეულებრივი კიბეებით სარგებლობენ.

ატომიუმის ერთ-ერთ „ატომში“ მოთავსებულია რესტორანი, ხოლო დანარჩენებში სხვადასხვა ქვეყნის გამოფენებია. ექსპონატები ასახავენ ატომის ენერჯის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებას.

გამოფენაზე იმდენი რამაა საინტერესო, რომ გინდა ყველაფერი დაწვრილებით ნახო. ჩვენს განკარგულებაში კი იყო მხოლოდ ნახევარი დღე. მართალია, „გვემა გადაჭარბებით შევასრულეთ“, მაგრამ ყველა პავილიონის ნახვა მაინც ვერ შევძელით.


28 მაისი ბრიუსელის დათვალიერებას მოვანდომეთ, ვიყავით რატუმის მოედანზე, რომლის არქიტექტურული ნაგებობებიდან გამოირჩევა რატუმის (ქალაქის თვითმმართველობის) შენობა.

ვატერლოოში ვართ. აქ 1815 წლის 18 ივნისს სასტიკი დამარცხება განიცადა ნაპოლეონმა. ბონაპარტი ხელთ ჩაუვარდა ინგლისელებს, რომლებმაც იგი წმიდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს.

ვატერლოოს ამ ცნობილ ბრძოლას ასახავს აქ აშენებული პანორამა. საფეხურები მიემართება ხელოვნური გორაკისაკენ, სადაც ძეგლია აღმართული, რომელიც ლომს გამოხატავს. მწვერვალიდან მოჩანს ისტორიული ბრძოლის ველი.

ამით დამთავრდა ბრიუსელში ჩვენი ყოფნა და ისევ ანტვერპენში დავბრუნდით. კვლავ ვეცნობით ამ ქალაქს. ვნახეთ წმიდა იაკობის ტაძარი, რომელშიც დაკრძალულია გენიალური ფლამანდიელი მხატვარი რუბენსი. გიდი გვიყვება, რომ პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ 54 წლის რუბენსს შეურთავს 16 წლის ცოლის დისწული, რომლისგანაც შვილები შეეძინა. რუბენსის ანდერძის მიხედვით, მხატვრისა და მისი მეუღლეების ძეგლებთან მოთავსებულია სურათი, რომელიც აღგორიულად გამოხატავს რუბენსს (წმიდა გიორგი), პირველ ცოლს (წმიდა მარიამი) და მეორე ცოლს (წმიდა მაგდალინა), რომელსაც ხელში ახალშობილი უჭირავს.

ვნახეთ აგრეთვე ძველებური ავეჯით დამშვენებული რუბენსის სახლი, რომელსაც



მიუხედავად ამისა სახელოსნო, სადაც დიდი მხატვარი უკვდავ ტილოებს ქმნიდა.

დაუთვალეირეთ ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც გარეგნულად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს მოგვაგონებს, მაგრამ მხატვრული გაფორმებით ბევრად ჩამოუვარდება მას.

30 მაისს ჩვენს გასაცილებლად ანტეკრპენის ნავსადგურში ბევრი ბელგიელი მოვიდა. ისინი ხელს გვიქნევენ და ბედნიერ მგზავრობას გვისურვებენ.

1 ივნისს ღამით მივადექით კილის არხს, მაგრამ რადგან სქელი ნისლი იდგა, რამაც გემების მიმოსვლა გააძნელა, არხში მხოლოდ მეორე დღეს გავიარეთ. ამას ექვსი საათი დასჭირდა. არხის სიგრძე 98 კილომეტრია, სიგანე — 102 მეტრი, ალაგ-ალაგ უფრო ნაკლებიც. არხზე აშენებულია ხიდები, რომლის ქვეშაც თავისუფლად გადიან საოკეანო ხომალდები.

კვირა დღეა. ხალხი დასასვენებლად გამოსულა. წყლის პირას, მწვანეში გაუშლიათ კარგები. ზოგი თევზაობს, ზოგიც თამაშით ერთობა. ჩვენს მისალმებაზე ხელს გვიქნევენ.

დასათვალეირებელი დაგვჩაა მხოლოდ ერთი ქვეყანა — ფინეთი. მშობლიური ნაპირი ახ-

ლოდებდა. 2 ივნისს თბომაელის რესტორანში გაიმართა გამოსამშვიდობებელი ვახშამი.

პელსინკი. ქალაქის დათვალეირებას ნახევარი დღე მოვანდომეთ. გვიჩვენეს ფინეთის პრეზიდენტის სასახლე, დაუთვალეირეთ სემის შენობა, ვიყავით პელსინკის მთავარ ქუჩაზე — მანერპეიმბინცზე.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ოლიმპიური სტადიონი 50 ათასი კაცისათვის. იქვე აღმართულია მაღალი კოშკი, რომელშიც ასვლა ლიფტით შეიძლება.

და აი ერთთვიანი განშორების შემდეგ ისევ საყვარელ სამშობლოში ვბრუნდებით. „გრუზია“ ლენინგრადის ნავსადგურში შევიდა. ექვს ქვეყანაში ჩვენი მოგზაურობა დამთავრდა.

რა შეიძლება ითქვას საბოლოოდ, როგორაქნება დასკვნა?

მე მგონი ყოველივე ამას შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები:

რას, რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩასთვალო მზედ ანდა მთვარედ?
არ ღირს მსოფლიოს მივლი სიმდიდრე,
ერთ გაქროლებად სამშობლო მხარედ.



ზიციან ტაბიძე

გაჭიანუებული მადრიგალი*

მ. შ.-ს

ხარ ალესილი, როგორც ხმალი მაჩაბელების,
ხარ ალექსილი, როგორც ვერხვი ტაშისკარისა,
შენი სიმაღლე სიმაღლეა სახარხობელების
და გადმოხედვა ღვთისმშობელის, ქართლს რომ აღირსა.
მე მესიზმრება ამალამაც მღვრია ლიახვა
და მუზარადი გაჭენებულ ათაბაგების.
მტკვარი ასპინძში გადაჩეხილ თათრებს მიახვევს,
მტკვარი თათრების ჯილოებით აღარ დადგება.
სავსეა ისევ საქართველო ღვინის მარნებით
და რაინდები გადადიან ყანწებს ყანწებზე.
ჯერ არ მომკვდარა აქ ვაჟკაცი სხვა დანანებით,
რომ არ ედიდოს საქართველოს უკვდავების მზე.
არ მინდა ვიყო გათანგული მორცხვი ოსტატი,
რომელიც ხატავს ვარძიაში დედოფლის ფრესკას.
ყველა ბატის ფრთა ძველ პოეტებს მინდა მოვსტაცო,
სირცხვილი არის იქ ბატის ფრთა, თუ ხმალი რეკავს.
უკანასკნელი ქართლის დარჩი შენ დედოფალი
და თუ გვირგვინი უფროობით თავზე დაგატყდა,
ჩემი გულიდან სხვა გვირგვინი გამოითალე —
ეს ჰიპერბოლა ბევრ პოეტებს დასტოვებს სახტად.

1925.

*ტიციან ტაბიძის ეს ლექსი იბეჭდება პირველად. ხელნაწერი მოგვაწოდა შალვა დემეტრაძემ.



ნაზი ნოლიძე

ხალხური რევოლუციური სიმღერები

დიდი სოციალური ქართველებით აღინიშნა 1905 წელი მთელ საქართველოში, კერძოდ აჭარაში. ხალხი ერთსულოვნად აღსდგა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ამ დიად ბრძოლაში მას ეხმარებოდა მასობრივი სიმღერები, რომლებიც რევოლუციური სულისკვეთებით აღანთებდნენ მასებს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული სიმღერა იყო „მარსელიოზა“. როგორც მწერალი დ. კლდიაშვილი გადმოგვცემს, მუშები „მარსელიოზას“ თეატრშიც კი აგუგუნებდნენ.

„მღელვარე ხალხმა თეატრშივე დასცახა მარსელიოზა. ხალხი გუგუნით გამოვიდა თეატრიდან და რკინიგზის ლიანდაგით გაემართა ბარცხანისა და გოროდკისაკენ. გადმოქართულებული მარსელიოზას სიტყვები მკაფიოდ ისმოდა ლამეში“.

როგორც ცნობილია, მარსელიოზა ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1902 წელს ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის“ მე-3-4 ნომერში. იგი ელვის სისწრაფით გავრცელდა და მთელი საქართველოს მშრომელთა საყვარელ სიმღერად იქცა.

1905 წლის რევოლუციის მონაწილე მ. მგელაძე დღესაც იგონებს „მარსელიოზას“ ცეცხლოვან სიტყვებს, რომლებიც ხშირად გაისმოდა დემონსტრაციების დროს.

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამდვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი,
ზიზლით ვუცქიროთ ჩვენ ოქროს კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი.

1 დ. კლდიაშვილი, ტ. II გვ. 302, 1952 წ.

შურისძიებით დასჯეჲ, ხმაო,
გასწით, გასწით, წინ, წინ, წინ!“
„მარსელიოზასთან“ ერთად დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეფის წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული მეორე სიმღერაც: ძიობა-ერთობას, სიყვარულს ტახტი დავედგათ ქებული, ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ, ჩვენს ზურგზე გასუქებული. ... ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ, საქმე ვქნათ დიდად ქებული, მას გავაყოლოთ ალექსი, ჩვენს ჯიბრზე დაბადებული.

ამ სიმღერებმა დიდი როლი შეასრულეს მუშების შეკავშირებისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად დარაზმვის საქმეში. რევოლუციური სიმღერები აღაფრთოვანებდნენ მილიონობით მშრომელს და გადამწყვეტ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მათ გავრცელებას ხელს ვერ უშლიდა ვერავითარი ძალა. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი დიდი ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რევოლუციური სიმღერების ძალასა და მნიშვნელობას. იგი წერდა, პოლიტიკის ვერავითარი შარი ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში, ყველა საფაბრიკო დაბაში და მოჯამაგირეთა ქოხებში სულ უფრო ხშირად გაისმას ერთსულოვანი პროლეტარული სიმღერა დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის მოახლოებული განთავისუფლების შესახებო.

ამვე წლებში აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ფართოდ გავრცელდა სიმღერა არსენა ჯორჯიაშვილზე, რომელმაც მამაცურად მოჰკლა ცნობილი ჯალათი გრიანოვი.

მწერალი დ. კლდიაშვილი ქება-დიდებას ასხამს ჯორჯიაშვილს და იგონებს ხალხურ ლექსს, რომელიც იმ დროს დიდი პოპულარობით სარ-

გებლობდა. „არსენა ჯორჯიაშვილის ხელით ნას-
როლმა ყუმბარამ სული გააცხებინა მტარვალს
თბილისში ბარიათინსკის ქუჩაზე; მოსპო მისი
ცოფი, მისი ბრაზი, მისი მხეტური აზრების
შემქმნელი ტენი ქუჩის მტვერში ამოითიფხნა:

დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სჩივი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი.

ათქმევენებს ჯორჯიაშვილს ხალხი მისგან
შეთხზულ იმავე დღეებში სასიმღერო ლექსს,
რომელსაც მღეროდა დიდი და პატარა ყველ-
გან“.

ხალხური მთქმელის ხაჯი გოგიტიძის გადმო-
ცემით, ამ ლექსს ყველგან მღეროდნენ — რო-
გორც სოფლად, ისე ქალაქად. აჭარაში გავრცე-
ლებული ყოფილა მისი შემდეგი ვარიანტი:

მამავ ნუ სტირი, დედავ ნუ სტირი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი,
ბომბა ვისროლე, ჰაერში გასკდა
და გრიაზნოვი კედელს შეასკდა.

მიყვარდა ხელში ბომბის ტრიალი,
მისი გორება და თან ტრიალი,
მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი
თავისუფლებას შევწირე თავი;

გულს მიღლავდა, სულს მიშფოთებდა
უსამართლობა ჯოჯოხეთური,
დიდად მიყვარდა მშრომელი ხალხი,
მძაგდა მდიდარი და მედიდური,
ტანჯული ხალხის ტანჯულმა შვილმა
ქუჩაში დროშა ავაფრიალე.

ვესროლე მტარვალს, მოვკალი მხეცი,
ცრემლი მოვწმინდე დაჩაგრულს თვალებზე,
ჯალათის მახვილს არ გავეშეცი
დიმილით აველ სახრჩობელაზე.

ხალხმა სასიმღეროდ აიტაცა აგრეთვე ისეთი
პროგრესული პოეტების ლექსები, როგორიც
იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. ევლოშვი-
ლი და სხვ. მათი ლექსები სწრაფად გავრ-
ცელდა, ხალხური იერი მიიღო და მის
კუთვნილებად იქცა. ასე, მაგალითად, ხალხური
მთქმელი ხაჯი გოგიტიძე ი. ჭავჭავაძის ლექსს
„კომუნის დაცემის დღე“ ხალხურ ლექსად
თვლის და ამბობს, რომ იგი შეიქმნა აჭარაში
რეაქციის დროსო:

ტვითმძიმე და მამვრალთ მხსნელი
დიდი დროშა გაიშალა...

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
სადოკარი იგი ერი,

კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენებერი.

კვლავ შეფერხდა ისტორია.
განახლების შედგენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.
ასეთივე ხალხური სახე მიიღო ირ. ევლოშვი-
ლის ლექსმა „წითელი დროშა გავშალოთ“.

წითელი დროშა გავშალოთ,
საქვეყნოდ გავაფრიალოთ,
ხალხთა ჯალათი, მტარვალი
მოვსპოთ და გავატიალოთ.
წითელი დროშა გავშალოთ,
საქვეყნოდ ავაფრიალოთ,
მტერი შევმუსროთ ტიალი,
ხანჯალი დავატრიალოთ.

ხალხში გასვლისა და ხალხის კუთვნილებად
გადაქცევის შემდეგ ლექსს ცვლილება განუც-
დია და დიდად პოპულარული ვამხდარა. მკვლე-
ვარი აპ. ცანავა ამის თაობაზე გადმოგვცემს:

„1906 წელს დაიწერა ირ. ევლოშვილის ცნო-
ბილი ლექსი „წითელი დროშა გავშალოთ“,
რომლის ყოველ სტრიქონში მუშათა გამარჯვებ-
ის რწმენა მოსჩქეფს. ყოფილი მცდაროს მუშა
ს. კაპანაძე, რომელიც აღნიშნულ ლექსს სიმღერ-
ით ასრულებს, გადმოგვცემს, რომ ბათუმში
კაზაკებთან შეტაკების დროს, ერთი მუშა მოყ-
ლეს, იმ მუშის ლექსი ასეთი იყო:

წითელი დროშა გავშალოთ,
საქვეყნოდ გავაფრიალოთ,


გავიდეთ ბარაკაღზედა,
ხანჯალი დავატრიალოთ.
შევეფიცოთ, ძმებო, ერთმანეთს,
რომ არ ვუმტყუნოთ ბრძოლაში,
არც უკან ჩვენ დავიხიოთ,
ტყვიის წვიმის ქვეშ სროლაში:

გავშალოთ წითელი დროშა,
წინ, წინ გავსწიოთ მტერზედა,
მის უყვარს თავისუფლება,
ვინც მიდის ბრძოლის ველზედა.

ს. კაპანაძემ არ იცის, რომ ეს ლექსი ი. ევ-
ლოშვილს ეკუთვნის. ამ ლექსის წარმოშობას
მთქმელი ბათუმის ქარხნის მუშის მოკვლას
უკავშირებს. აღნიშნული სიმღერის ტექსტი უმ-
ნიშვნელო ცვლილებით იმეორებს ი. ევლოშვი-
ლის ამავე სახელწოდების ლექსს“.

ცნობილია, რომ გურიის გლეხობის აქტიურ-
მა გამოსვლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრუ-
ლეს აჭარელი გლეხობის დაბრუნებისა და რევო-
ლუციური თვითშეგნების ზრდის საქმეში.

1905-1907 წლების რევოლუციური ბრძოლე-
ბის მონაწილე ბ. დოლიძე გადმოგვცემს, რომ



აჭარაში საყვარელ სიმღერად იქცა ფირალ სიმონა დოლიძის ლექსი. მაგრამ აქ არა მარტო ვრცელდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებში შექმნილი ლექსები, არამედ თვით მის წიაღშივე იქმნებოდა სიმღერები, რომლებშიც ისმოდა ჩაგრულთა კვნესა და დიადი მომავლის ურყევი რწმენა.

მშრომელი გლახის შავებლობას ასახავს ლექსი „დაწყველილი ჩემი ბედი“.

რამდენს უნდა ვემსახურო
მუხტარსა და ალა-ბეგსა,
გლახისათვის სამართალი
უწერია განა ღმერთსა?

ჩივის გლახი, რომელსაც ექსპლუატატორები სულს ხდიან, მაგრამ იგი გულზე ხელდაკრებილი არ შესცქერის ტანჯვას და იარაღისაკენ იწყდის ხელს:

პირში სული ამომგლიჯეს,
გამაცალეს ილაჯი,
ახლა დროა, რომ მოვინახო
კან-რევა და კოლაჯი.

მრავალტანჯულ გლახს უჭირს თავისი კმარის მიტოვება, მაგრამ მტარვალბისაგან ნაწამები და შეურაცხყოფილი მზადაა ყველაფერი დასთმოს, ოღონდ მის მწვალებლებს სიმშვიდე დაუკარგოს და „ცხვირიდან სულ სისხლი ანთხეინოს“. მან იცის, რომ მალე მზე ამოვა და თავისუფლად ამოისუნთქავს, რომ მტარვალბებს არ შერჩებათ მშრომელთა მრავალსაუკუნოვანი ტანჯვა-წამება.

ვერ შევარჩინთ ამდენ ტანჯვას
ალა-ბეგს და ხოჯა-მუხტარს,
მუშისა და გლახის რისხვა
მალე მოსპობს ყველა მუხთალს!

თვითმპყრობელობის წინააღმდეგაა მიმართული ლექსი „სიკვდილი ჯალათებს“, რომელშიც რევოლუციონერი ამბობს, ბევრი ჯალათი მოვსპე, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემს მაგივრად არ დასაჯონ უდანაშაულოდ დაპატიმრებული მუშა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ვამთავრებო.

მე მოვკალი ივანოვი,
სხვა ჯალათიც კი გავსწირე,
მაგრამ დიდი განთიადი
ვერ ვიხილე, ვერ ველირსე.
მეგობრებო, ნუ გამკიცხავთ
ბრძოლას კი არ გავექეცი,
თუმცა ჩემი ტყვიით მოვეკვდი,
ჩემი ხელით წავიქეცი.
სამარეშო მოვისვენე,
ველარ ვნახე წმინდა დილა,
იმისთვის, რომ საწყალ მუშას
სახარობელია არ ეხილა.
სიკვდილის წინ მუშა წყველა-კრულვას უთვი-

ლის მტარვალბებს და კვდება რწმენით, რომ მალე მშრომელები გაქარჯვებას იზეიმებენ და მისი თავგანწირვაც დაიწყებას არ მიეცემა:

რომ მეცოცხლა, ჯალათებო,
გიტირებდით მრავალს ღედს,
რადგან ქვეყნად გაჩინდებოდა
მშრომელების სატანჯველად.
მალე მოვა გამარჯვება,
სანატრელი დრო დადგება,
მეც საფლავში გავიხარებ,
არ მექნება დაიწყება.

როგორც გამოირკვა, ეს ლექსი მიძღვნილია მუშის გიორგი კიწმარეიშვილისადმი, რომელიც 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობდა და რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამის შესახებ „აჭარისტანის რევოლუციური მოძრაობის კალენდარში“ ვკითხულობთ:

„სოუქ-სოუხე ნახეს გემების მტივრთავი მუშის გრიგოლ კიწმარეიშვილის გვამი, რომელსაც თავი მოეკლა. ტყვია მოხვედროდა გულში და გასულიყო ზურგში. მკვდარს ჯიბეში უნახეს 14 კაპიკი და წერილი შემდეგი შინაარსის:

„მე მოვკალ ებრაელი „გარადავი“, აფიცერი ვასლიცინი, ივანოვი და შმიკინი, მაგრამ ამას არ გამოუწვევია ჩემში თვითმკვლელობის განზრახვა. მიზეზი სულ სხვა არის.

მე, გრიგოლ კიწმარეიშვილი, ცოცხალი რომ დავრჩენილიყავი, კიდევ ბევრ მაგათ მსგავსებს გავგზავნიდი საიქიოს“.

„შენიშვნა: ბათუმის ოლქის უფროსის ამის შესახებ პატაკზე გუბერნატორი აკეთებს რეზოლუციას — „ეს ძლიერ საგულხისმიერო წერილია, ძლიერ სასურველია ვიცოდეთ ეს წერილი მართლა კიწმარეიშვილის ნაწერია თუ არა.“

ამის შესახებ თვით კალენდარის შემდგენლები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს:

„კიწმარეიშვილას წერილში მოყვანილი ტერორისტული აქტები სრული სიმართლეა. აქ ჩამოთვლილი პირები მისი მოკლულია“.

1905 წლის რევოლუციის დღეებში ბათუმში იმდენი მუშა დაპატიმრეს, რომ ციხეში ტევა არ იყო. მათ აუტანელ პირობებს ასახავს ლექსი „მზე მესტუმრა“.

ღღეს საკანში მზე მესტუმრა
ჭუჭრუტანა სარკმელიდან,
რისთვის გავჩნდი ქვეყანაზე
ან მშობელი რისთვის მზრდიდა...

პატიმარმა იცის, რომ ხვალ ვეღარ იხილავს მის საკანში „სარკმლის ჭუჭრუტანიდან შემობარულ მზის სხივს“; იგი დარწმუნებულია, რომ ხვალ მოჰკლავენ, მაგრამ სიკვდილს არაფრად

აღდებს, რადგან მტკიცედ სჯერა, რომ მალე მზე ამოვა და ის მზე მისებრ ჩაგრულთათვის გაანათებს:

ჩემს საკანში მზის სხივები
ხვალ ხომ ჩემთვის არ შემოვა,
არ ვინადელი მტერთან სიკვდილს
სხვებისათვის მზე თუ მოვა.

მებრძოლი რევოლუციონერი, მეფის საპყრობილის პატიმარი ქედს არ უხრის მტრებს, პირიქით, სხვებს ამხნევეს და მოუწოდებს მამაცობისაკენ:

სახრჩობელას აგვიყვანონ,
მტარვალს მაინც შევაფურთხოთ,
დღეს გვტანჯავენ, დღეს გვჯიჯნიან,
მაგრამ საქმე არ წახდება,
ჩემს საკანში ჩემს დამტანჯველს

მალე სული ამოხდება.

მძიმე რეაქციის წლებში აჭარაში ფართოდ გავრცელდა ლექსი, რომელიც მთელ საქართველოში პოპულარული ლექსის ზაგავლენით უნდა იყოს შექმნილი. მასში გამოთქმულია მომავლის მტკიცე რწმენა:

რეაქციამ დაგვაქცია
არც აცხელა არც აცივა,
სახლი-კარი გადამიწვა,
დღეს პერანგიც არ მაცვია.
ღმერთო ვინაც მოიგონა
სამინელი რეაქცია,
ჩემებრ დაწვი და დატანჯე,
ღმერთმა ჩემებრ დააქცია.

მაგრამ მტრის წარმატება დროებითი იყო. მშრომელებს სჯეროდათ, რომ მალე კვლავ აფრიალდებოდა თავისუფლების წითელი დროშა:

წითელ დროშას კიდევ გავშლით,
დაიქცევა რეაქცია,
მშრომელები გაიმარჯვებს,
მოისპობა რეაქცია.

ფოლკლორმა შეგვინახა აგრეთვე ლექსები, რომლებშიც თავგანწირულ ადამიანებზე, რომლებიც საშინელმა ექსპლოატაციამ და უუფლებობამ აიძულა სოფელი მიეტოვებინათ, ტყვეს შეფარებოდნენ და სამაგიერო მიეზღოთ მტრებისათვის. ერთი მათგანი იყო ილიასა ხელაძე. რევოლუციის წლებში მის შესახებ ხალხი მღეროდა „ფურტიოელ ილიასას ლექსს“.

თვითმპყრობელობის ქალათებმა შეიპყრეს ილიასა და მას საჯაროდ ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ლექსის მიხედვით, სასიკვდილოდ განწირული ილიასა ფიქრობს:

ჩემი სულის მწვალებელი
აი ქალათი, ღარიო,
ნამდვილად უნდა მაწვალონ,
მან უნდა მომცეს ზორიო;
საათის ხუთი შესრულდა,
დაჰკრეს სიკვდილის ბორიო.

ამ სიმღერებსა და ლექსებში, რომლებიც ხალხმა შექმნა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, აისახა მშრომელთა საბრძოლო შემართება, მათი მწარე ყოფა და მომავლის მტკიცე რწმენა. და დღეს, როცა რევოლუციის იდეებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს, მშრომელები შეხარიან ბედნიერ ცხოვრებას. აი რას ამბობს 1905 წლის რევოლუციის მომსწრე ხანდაზმული ალექსანდრე ჩახალაშვილი ლექსში „ახალი დრო“:

ახლა ვცდილობ გავჰაბუკდე,
როს ქვეყანა გავვიახლდა,
მინდა შრომა, და სიბერე
მომეძალა ჯინზე ახლა.
დავბერდი და ალბათ მალე
ასი წელიც მესტუმრება,
უწინ სიკვდილს დავეძებდი,
დღეს სიცოცხლე მენატრება...
ეს იმიტომ, რომ სიცოცხლე
ლენინურ დრომ შემაყვარა,
და მშრომელ ხალხს ეს ქვეყანა
გვისახსოვრა, ჩავგებარა...



ლასხიშვილის აღმანახი

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში, კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებში დაცულია ფრიად საინტერესო მასალა — გიორგი ლასხიშვილის აღმანახი (ფონდი 480/114, საქმე № 1552, ფ. 1-20, 1899 წ.).

სტამბის ანაბეჭდის პირველ ფურცელს ზემოდან წითელი ფანქრით აწერია: „შეჩერებულია 13/XII-99 წ. გაკელი“; შავი მელნით — „ლასხიშვილის აღმანახი. საცენზ. კომიტეტის 99 წ. 15 დეკ. ჟურნალის მიხედვით გადაწყდა: ტენდენციურობის გამო დასტამბვა აიკრძალოს“, ხელმოწერა. მეხუთე ფურცელზე კვლავ მეორდება კავკასიის საცენზურო კომიტეტის დასკვნა.

გიორგი ლასხიშვილი (1866-1933) XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ფართოდ იყო ცნობილი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ჟურნალისტური მოღვაწეობით, თავის „აღმანახში“ გ. ლასხიშვილმა შეიტანა მოთხრობა „მთესველები“, სტატია „ოლადუშყინის კარიერის შესახებ“ (ფურც. 1-7) და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია: „რა წავიკითხოთ?“ (ფურც. 8-20.)

მოთხრობა „მთესველები“ წაშლილია წითელი მელნით. მოთხრობის პირველი ოთხი აბზაცი შავი ფანქრითაა ხაზგასმული. ეს, უძველესად, ცენზორის გაკეთებულია. შემთხვევითი არაა, რომ იქვე წერია „უკვე გადათვ: ცენზორის მიერ“.

ყველაზე საინტერესოა მოთხრობა „მთესველები“.

მოთხრობა დაწერილია რუსულ ენაზე, ჟურნალის მკითხველს ვაწვდით ქართულ თარგმანს.

„ნენ ნეონოვიჩი სეირნობიდან თავის აგარაკ-

ზე ბრუნდებოდა სოფლის გავლით. ქართველი გლეხების ლაპარაკი გაიგონა და მის ხალხთ-მოყვარულ გულს, როგორც იტყვიან, ცეცხლი მოედო.

— ღმერთო ჩემო, როგორი უმეცრებაა, — მწუხარედ გაიფიქრა მან და ამ მწუხარებით ავიდა აგარაკის აივანზე, სადაც მეუღლე საუზმეზე უცდიდა.

— ახ, ნალია, — თქვა მან, და მაგიდას მიჩნეულ ადგილზე მიუჯდა, — როგორი კონტრასტებია ჩვენს წინაშე, მდიდარი, ლამაზი ბუნება და აზროვნებით უბადრუკი ადამიანები... მზის სხივთა ნაკადში გახვეული მთები და ჩაბნელებული ქოხები, იქ კი ადამიანები, რომელთა თავში მუდმივი ბინდია... ბინდი კი არა, ნამდვილი ღამე, შემოდგომის ღამეა...

— დაღიე ყავა და ხელებს ნუ აქნევ, თორემ ისევ წააქცევ ჭიქასა და სუფრას გააფუჭებ, — თქვა ნადეჟა პეტროვნამ.

(ეს აბზაცები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენზორის მიერაა ხაზგასმული — ა. შ.).

— აგარაკები, განათლებული ადამიანების საზოგადოება, — განავრძობდა დაპირისპირებას ნენ ნეონოვიჩი, — ფილოსოფიური კამათი... ხალხოსნობა, მარქსიზმი... და სოფელი, რომელიც მარტოოდენ პურით ცხოვრობს, რომელსაც სჯერა სამი ვეშაბის ამბავი... მეცნიერება და ცრუმორწმუნეობა. ორმუხდი და არიმანი... ეს საშინელება!

მან აღშფოთებით აღმართა ხელი, კოვზს მოსდო და ყავით სახვე ჭიქა წააქცია“.

როგორც მისი ცოლი ამბობს, იგი არა მარტო ენით ლაქლაკობს, არამედ ხელებსაც იქნევს და ყოველთვის აქცევს ჭურჭელს. ცოლმა კვლავ უსაყვედურა ასეთი ჩვეულებისათვის.

„ნენ ნეონოვიჩს ეს ეწყინა და დაღუბდა, ამ ღუმელმა განაიარადა ნადეჟა პეტროვნა. მან ჭიქა აიღო და ყავა დაასხა.

— დაღიე, — თქვა შემრიგებლური ტო-

ნით, — აბა, რას გაფხორილხარ... ყველამ იცის, რომ სოფელში უმეცრებაა, არაა საჭირო რაღაც კონტრასტებზე ჩმახება... მეცნიერება და უმეცრება... ორმუხდი და არიმანი... ო, დამიჯერე, ეს სასაცილო და სავალალოა...“

იგი ამაზე უბასუხებს:

— იცი, ნადია, რაშია საქმე... მე რომ მხოლოდ სოფლის უმეცრების ფაქტის აღნიშვნით ვმაცხოვრებოდი, მაშინ, ცხადია, ეს ტყუილ-უბრალო ლაქლაქი იქნებოდა... მაგრამ მე იღუა მაქვს... მე მინდა ამ წყვილადში შევიტანო სინათლის შუქი... მინდა სოფელში მოვაწყო სახალხო კითხვა.

— ნუთუ შენ ეს ქალაქში არ მოგებურდა!..

— ო, ნადია! ვინც ანი თქვა, ბანიც მან უნდა თქვასო. რაი „მთესველის“ სახელი დავირქვი, უნდა ვთქვასო ყველგან — ქალაქშიც და სოფელშიც...

— კი, მაგრამ, შენ ხომ არ იცი ქართული ენა...

— მერე რა?.. მე კი არ ვიციტხავ... მხოლოდ მოვაწყო ამ საქმეს... დავიწყებ, შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად წავა...

— კარგია, თესე, თესე, — უთხრა ნადეჟდა პეტროვნამ, ისე როგორც ბავშვს ეუბნებია ხოლმე: წადი, ვეთაყვა, ცხენობანა ითამაშეო...

— დღესვე შევიკარბებით და ყველაფერს განვსჯით, — ამბობდა თავისი აზრით გატაცებული ნეონ ნეონოვიჩი, — აქ ორი მთესველია... ახლავე გავგზავნი მათთან.. ნატაშა, — მიუბრუნდა იგი მოახლე ქალს: — ვაიქვც ქალიშვილებთან ალფა და ომეგასთან... ხომ იცი, სად ცხოვრობენ... და სთხოვე მოვიდნენ... უთხარი, რომ საქმეზე ვთხოვ...“

ვიდრე მოახლე ქალიშვილებს მოიყვანდა, ქალაქიდან სადღესასწაულოდ ჩამოვიდა ორი „მთესველი“ იქსი და ივრეკი. ნეონ ნეონოვიჩის ძლიერ გაეხარდა მათი ჩამოსვლა და მაშინვე განუცხადა თავისი განზრახვა. სტუმრებს პროექტში ჰქონდათ ნეონ ნეონოვიჩთან ესაუზმათ და თან მის წითელლოყა ცოლს გაბაასებოდნენ, შემდეგ კი მთის მწვერვალზე ასულნიყვენ რამდენიმე ბოთლი კახური ღვინით დატვირთულ საკვიაყიო. უცებ კი.. სახალხო კითხვა! მაგრამ წასვლა უხერხული იყო და მათ სავალდებულოდ ჩათვალეს მასპინძლისათვის თანაგრბნობა გაეწიათ.

მალე „ჩქარი, საქმიანი ნაბიჯით“ მოვიდნენ ალფა და ომეგა. „ისინი ყოველთვის მეტად სანდომიანი სახის ქალიშვილები იყენენ, მაგრამ მზეთუნახავნი ხდებოდნენ იმ წუთებში, როცა თესვაზე ლაპარაკობდნენ.

იქსისა და ივრეკის საწინააღმდეგოდ, რომლებსაც ამძიმებდათ მთესველის წოდება, და ის

მხოლოდ იმიტომ მიიღეს, რომ უახლოეს ეუხერხულათ. ალფა და ომეგა ამყობდნენ ამ წოდებით და მზად იყენენ ძალ-ღონის დაუზოგავდ ეთესათ და ეთესათ. ისინი არ ფიქრობდნენ თესვის შედეგებზე, არ კითხულობდნენ როგორი იყო „სახალხო ყანის“ ჯევილი, ისევე როგორც ჯარისკაცი არ კითხულობს, კარგია თუ ცუდი უფროსის ბრძანება“.

დაიწყო სხდომა. თავმჯდომარეობდა ნეონ ნეონოვიჩი. შემოვიდა ფელეტონისტი, რომელსაც სთხოვეს სხდომას დასწრებოდა.

სხდომა მოსაწყენი იყო, ყველა თვლემდა. ალბათ ისიც ჩასთვლემდა, მაგრამ მოახლე ისევ გამოჩნდა.

— კიდევ რა ამბავია?

— სანდროს სურს დაესწროს სხდომას.

— რომელ სანდროს?

— აი იმ გლეხს, რომლისგანაც მამიდა დაიქირავეთ ბარგისათვის.

— მას ხომ გადაუხადე საფასური.

— შემოსვლა სურს... ამბობს, რომ უფლება აქვს...

— უფლება?.. სანდროს?.. აჰ ის...

ნეონ ნეონოვიჩმა ცოლის მეტყველი მზერა შენიშნა, გაჩუმიდა და შერცხა, როცა მოაგონდა, ფელეტონისტი აქ არისო.

— სთხოვეთ სანდროს, — უთხრა ნადეჟდა პეტროვნამ მოახლეს.

ის უბრალოდ და თამამად შემოვიდა, თითქოსდა საკუთარ სახლში შედისო.

— დაჯექი, პატივცემულო ხალხის წარმომადგენლო და ისმინე, — თქვა ნეონ ნეონოვიჩმა.

— ილაპარაკე, პატივცემულო ინტელიგენციის წარმომადგენლო, მე კი მოვისმენ, — უბასუხა სანდრომ.

ნეონ ნეონოვიჩი აღეღებებით წამოიწია და იტპიტრის ტონით წარმოთქვა:

— ბატონებო, მაშ რას წავიციტხავთ?..

გადაწყვიტეს წაეკითხათ მეზადურისა და ოქროს თევზის ზღაპარი, „რათა ხალხს დაენახა ბიწიერების სისაძაგლე და სათნოების სილამაზე...“; — როგორც ომეგამ თქვა.

„— შესანიშნავი ზღაპარია...“ — დაასკვნა ნეონ ნეონოვიჩმა და სანდროს მიმართა:

— ჩვენ წავიკითხავთ მეზადურისა და ოქროს თევზის ზღაპარს...

— ნეტავი ვინა გგონივართ? — შეეპასუხა სანდრო. — განა თქვენ ნახავთ თუნდაც ერთ გლეხს, რომელმაც არ იცის, რომ სმა ან ქურდობა ცუდია! ან ნუთუ ფიქრობთ, რომ თქვენი ჭკუის სასწავლო იგავებით ვინმე სმასა და ქურდობას მიატოვებს... „რაიმე ჭკუის სასწავლი“ — ეკ, რა სასაცილონი ხართ!..

ნეონ ნეონოვიჩი სიბრახისაგან თავს ძლიერ



იკავებდა... მას დიდი ხანია სურდა სანდრო ეშ-
მაკებთან გაეგზავნა, მაგრამ ფელეტონისტის იქ
ყოფნა უშლიდა ხელს.

— ერთი მომისმინეთ, — თქვა მან, — შენ,
ე. ი. უნდა მეთქვა თქვენ, სხდომაზე შემოგვიშ-
ვით იმიტომ, რომ ვფიქრობდი, შენ... თფუ!..
მინდოდა მეთქვა თქვენ... მოგვისმენთ და მხო-
ლოდ მაშინ ილაპარაკებთ, როცა რაიმეს შეგე-
კითხებიან, თქვენ კი ისე მსჯელობთ, თითქოს
ბევრი გესმით ამ საქმისა...

— კი, მაგრამ საქმე ხომ ჩვენ გვეხება, ჩვე-
ნი... — უპასუხა სანდრომ, — ხომ ჩვენთვის
კითხულობთ, მამ რატომღა არ გსურთ იცო-
დეთ ჩვენი აზრი? ჩვენ არც ბავშვები ვართ,
არც შეშლილები, რომლებსაც მეურვეობა
სჭირდებათ. თუ გსურთ სულიერი საზრდო მო-
გვეცეთ, მაშინ მოგვეცით ნამდვილად კარგი
საზრდო, ისეთი როგორსაც თქვენ მიირთმევთ...

— დამიჯერეთ, რომ ჩვენ ვიცით ჩვენი მო-
ვალეობა, — თქვა ნეონ ნეონოვიჩმა, — და თუ
შენ... ე. ი. მინდოდა მეთქვა, თქვენ, გაჩუმდე-
ბით, მაშინვე მიხვდებით, რა სწორად მოვიქე-
ციტ, როცა სახალხო კითხვისათვის შევარჩიეთ
მეზადურისა და ოქროს თევზის ზღაპარი. ამ
ზღაპარში კარგი გაკეთილია ყველა შენისთანა,
ე. ი. მინდოდა მეთქვა, თქვენისთანა ყოყოჩისა-
თვის... იგი იმაზე ლაპარაკობს, რომ ისეთ
ალაგს ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყენონ და არ
გაყოფიან... ვინც მცირეთი კმაყოფილია, მას
შეიძლება ექნეს ახალი ვარცლი, ხოლო ვინც
ყოყოჩობს, მას გატეხილი ვარცლი შერჩება...

— დიდად გმადლობთ, — თქვა სანდ-
რომ, — მაშინ იკითხეთ თქვენივე სიამოვნები-
სათვის, ჩვენ კი არ მოვალთ მოსასმენად...

— უმადური!.. ბავშვს გაუცინე და თავზე
დაგაჯდებო, — თქვა ნეონ ნეონოვიჩმა.

უცებ ყველა გამოფხიზლდა და არავის ახ-

სოვდა, რა დაესიზმრა; არც სანდრო იყო და
არც ფელეტონისტი...

— მაშ, ბატონებო, რაზე შევჩერდით! .

— ობიექტივა არაა...

— შეიძლება ჯადოსნური ლამპარის გარეშეც.

— არ შეიძლება!

— შეიძლება!..

— კენჭს ვუყრი საკითხს.

— არ შეიძლება კენჭი ეყაროს ოთხს ორის
წინააღმდეგ...

— მაშ, ბატონებო, წავიდეთ მთაზე! —
ძლევამოსილად წამოიძახა იქმა.

— კარგი, წავიდეთ, — დაეთანხმა ნეონ ნეო-
ნოვიჩი, — კითხვა კი არსად გაგვექცევა: ვაი-
სად, ღვთის წყალობით, როცა თავადი ჩამოვა,
(ეს სიტყვები ცენზორს წაუშლია წითელი
მელნი. — ა. მ.), წავიკითხავთ მეზადურისა და
ოქროს თევზის ზღაპარს.

* * *

როგორც ვხედავთ, ეს ნაწარმოები მწვავე
სატირაა ვითომდა „ჰუმანისტ“ მოლაყებ ინტე-
ლიგენტებზე, რომლებიც ბევრს ლაპარაკობდნენ
ხალხზე, მის განათლებაზე, მაგრამ არაფერს
აკეთებდნენ მისთვის. სანდრო, რომელიც მათ
სიზმრად მოეწონათ, განასახიერებს ხალხის
საყვედურს.

უდაოა, ეს საინტერესო ნაწარმოები ღირსია,
დაიკავოს თავისი ადგილი ხალხოსნობის შესა-
ხებ არსებულ ლიტერატურაში. ის მით უფრო
საინტერესოა, რომ ასახავს რუსულ ლიტერა-
ტურაში ხელუხლებ თემას — ქართულ სოფელ-
ში „ხალხთმოყვარე“ ინტელიგენტების მოღვა-
წეობას.

არტაშეს მხითარაიანი,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



საინტერესო და სასარგებლო კრებული

გასული წლის დამდეგს საქართველოს სსრესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში გაიმართა აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. იგი იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. დეკადამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლენინური კომუნისტური პარტიის მშობლიური მზრუნველობის მეოხებით აჭარამ წარმატებით დაძლია არა მარტო ეკონომიური, არამედ კულტურული ჩამორჩენილობაც და ახლა სერიოზული წვლილი შეაქვს მთელი ქართული კულტურის განვითარებაში. დეკადის მონაწილე შემოქმედებითა კოლექტივებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, აჭარის მწერალთა წიგნებმა და მხატვრების ნამუშევრებმა დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობისა და რესპუბლიკური პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. დეკადის გამოენმურ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „პრავდაც“, რომელმაც მოწინავე სტატიაში აღნიშნა აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დიდი წარმატება თბილისში.


დეკადის დღეებში რესპუბლიკურმა და საოლქო გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბევრი მეტად საინტერესო სტატია, რეცენზია და სხვა მასალები, რომლებიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას ვვაძლევენ აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დღევანდელი დონის შესახებ და შეიცავენ მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებსაც. ამდენად, ბუნებრივია, წამოიჭრა ამ მასალების შეკრებისა და ცალკე წიგნად გამოცემის საკითხი. ეს საქმე იკისრა აჭარის ასსრესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ და წარმატებითაც შეასრულა იგი — გამოსცა კრებული „აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში“.

კრებული იხსნება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის დ. მამულაძის სტატიით „ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობისათვის“, რომელიც გაზეთ „ზარია ვოსტოკში“ დაიბეჭ-

და. მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ ავტორი ახასიათებს აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობას, იმ უდიდეს მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და განსაკუთრებით კულტურის ყველა დარგის განვითარებაში, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდირუსი ხალხისა და ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხთა ძმური დახმარებით.

საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად აღმოიფხვრა წერაკითხვის უცოდინარობა. ახლა აჭარაში არის 283 სკოლა, 10 საშუალო სპეციალური სასწავლებელი და პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლებშიც 44 ათასზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი სწავლობს. მუშაობს სახელმწიფო დრამატული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ორი მუზეუმი — სახელმწიფო და რევოლუციისა, შვიდი კულტურის სახლი, ცხრა კინოთეატრი, 102 სასოფლო კლუბი, ერთი საჯარო და 167 სასოფლო, რაიონული და საქალაქო ბიბლიოთეკა. არსებობს მწერალთა და მხატვართა კავშირის განყოფილებები. დარსების დღიდან 1957 წლამდე აჭარის სახელგამმა მკითხველებს მიაწოდა 415 სახელწოდების წიგნი ერთ მილიონზე მეტი საერთო ტირაჟით. აღიზარდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწენი, რომლებსაც სერიოზული წვლილი შეაქვთ მთელი ქართული კულტურის განვითარებაში.

კრებულის პირველ განყოფილებაში „დეკადის მონაწილენი“ მოთავსებული სტატიები ახასიათებენ იმ შემოქმედებით კოლექტივებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დეკადაში. კერძოდ, მიმოხილულია ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, ლიტერატურის, მხატვრობის



სა და ა. შ. განვითარების გზა, მათი მიღწევები და წარმატებანი.

ეს სტატიები შეიცავენ ბევრ სინტერესო მასალს. ასე, მაგალითად, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლის „ოიდიპოს მეფის“ შესახებ ნათქვამია, რომ იგი ნახა ცნობილმა საბჭოთა დრამატურგმა ლ. მალიუგინმა თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელ სტენბეტთან ერთად. ლ. მალიუგინი მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლს და წერს: „რამდენიმე თვის წინათ ბათუმში, ქართულ თეატრში ვნახე „ოიდიპოს მეფის“ ბრწყინვალე დადგმა. ერთ-ერთი მაყურებელი — ამერიკელი მწერალი სტენბეტი ადვრთოვანებულის იყო სპექტაკლით. და მე, საბჭოთა მწერალი, ვამაყობდი იმით, რომ ამერიკელმა მწერალმა ვერ იხილა სოფოკლე ვერც თავის ქვეყანაში, ვერც დიდი დრამატურგის სამშობლოში — საბერძნეთში, და ნახა იგი ჩვენთან, საბჭოთა კავშირში არა მარტო დედაქალაქის, ვახტანგოვის თეატრის სცენაზე, არამედ პატარა სანავსადგურო ქალაქში, რომელიც ამერიკული წესის მიხედვით, განთქმული უნდა ყოფილიყო არა თეატრით, არამედ დანსინგებითა და ლუდხანებით“.

ერთ-ერთი მოწინავე შემოქმედებითი კოლექტივია აგრეთვე აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელმაც არსებობის პირველი წლებიდანვე მოიპოვა დიდი პოპულარობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. 1929 წელს საქართველოს ოლიმპიადაზე ანსამბლმა უმაღლესი შეფასება მიიღო და პირველი ადგილი მიენიჭა. „აჭარის აკადემიური გუნდი, მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით, — წერდა მაშინ გაზეთი „კომუნისტი“, — წარმოადგენს იმდაგვარ მხატვრულად დამუშავებულ ერთეულს, რომლის შემოქმედებაც განსაკუთრებულად უნდა ჩაითვალოს“. ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ ანსამბლმა კონცერტები გამართა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, სსრ კავშირის სხვა დიდ ქალაქებში და ყველგან დამსახურებული წარმატება ხვდა. გაზეთი „იზვესტია“ ამის თაობაზე წერდა: „გუნდს ახასიათებს განსაკუთრებული ხელოვნება შესრულების მხრივ და ჩინებული მხატვრული დისციპლინა“. მომდევნო წლებშიც ანსამბლი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და წელსაც დიდი გამარჯვება ხვდა. მან ტრიუმფით მოიარა უკრაინა და ბალტიისპირეთი.

კრებულის შემდეგი განყოფილებები („დეკადის რეპერტუარი“, „დეკადის დღიურები“, „პრესა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაეები, თბილისელი მაყურებლები დეკადის შესახებ“)

მოგვიხსნის დეკადის მიმდინარეობის შესახებ თბილისში. სტატიაში „ბათუმის თეატრის სადეკადო სპექტაკლები“ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფ. აკაი ფაღავა დაწვრილებით მიმოიხილავს სპექტაკლებს „მიაა წყნეთელს“, „დინარას“, „პერსონალურ საქმეს“, „ოიდიპოს მეფეს“ და „ჰამლეტს“, აღნიშნავს მათს ღირსებებს, აგრეთვე ნაკლოვანებებს. აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტებს მიუძღვნეს თავიანთი სტატიები ქართული ქორეოგრაფიის „სისტემა გამოჩენილმა ოსტატებმა, როგორიც არიან ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი, აგრეთვე მ. ჩირინაშვილმა და მ. შუბაშუქელმა, ხოლო მხატვართა ნამუშევრების გამოფენას — იგორ ურუშაძემ და ოთარ ფირალიშვილმა. პოეტი შალვა აფხაიძე სტატიაში „შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე“, რომელიც გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა, ახასიათებს აჭარის მწერალთა შემოქმედებას, აჯამებს მათ მიღწევებს და მიუთითებს ნაკლოვანებებზეც. კერძოდ, იგი წერს: „მკითხველთა დიდი პოპულარობით სარგებლობს აჭარაში მცხოვრები და მომუშავე ქართველი მწერლების მრავალი ნაწარმოები. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების — რესპუბლიკის ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივის — წევრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში“.

მეტად საინტერესოა აგრეთვე განყოფილება „სხდომები შემოქმედებით ორგანიზაციებში“. აქ თავმოყრილია იმ სხდომების მასალები, რომლებიც გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში, მხატვართა კავშირსა და თეატრალურ საზოგადოებაში.

აჭარაში მომუშავე პოეტების, პროზაიკების, კრიტიკოსებისა და დრამატურგთა ნაწარმოებების გარჩევაში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა ალიო მირცხულავამ, გრ. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, ს. ეულმა, ს. შანშიაშვილმა. შ. აფხაიძემ, ბ. ქლენტმა, დ. შენგელიამ, ა. ბელიაშვილმა, ი. ვაკელმა, ლ. კალანდოძემ და სხვ.

აჭარის მხატვრების სადეკადო ნამუშევრების განხილვისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოაწყო საქართველოს მხატვართა კავშირმა, მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარემ სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ. მოხსენება გააკეთა ო. ფირალიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ დოც. ვლ. თოფურია, დოც. ი. ურუშაძე, პროფ. ნ. კანდელაკი და სხვ. „ბათუმელი მხატვრებისა

და მოქანდაკეების მთელი რიგი ნამუშევრები, — განაცხადა თავის სიტყვაში დოც. ი. ურუშაძემ, — თავისუფლად შეიძლება გამოიფინოს ცნობილი ქართველი მხატვრების ქმნილებათა გვერდით“.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სადევადო სპექტაკლების განხილვისადმი მიძღვნილი სხდომა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მსცოვანმა მწერალმა შალვა დადიანმა. შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. ა. ფაღავა და რეჟ. მ. გიჟიმყრელი, ხოლო სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, მწერალმა გ. ქიქოძემ, დრამატურგმა გრ. ბერძენიშვილმა და სხვ. მაღალი შეფასება მისცეს თეატრის დადგმებს, განსაკუთრებით „ოდიშოს მეფეს“. გამოჩენილმა ქართველმა აქტიორმა აკაკი ხორავამ დიდად მოიწონა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. კობალაძე ოდიშოსის როლში და განაცხადა: „კობალაძემ გვიჩვენა მთელი რიგი ახალი ნიუანსები. მე სიამოვნებით გამოვიყენებ ამ ხერხებს და თამამად ვიტყვი, რომ იგი ეკუთვნის კობალაძის შემოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხელოვნება ერთ წერტილზე არ იყინება და ახლებურად სწყვეტს აქტიორული შემოქმედების ამა თუ იმ ამოცანას“.

აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წარმატება თბილისში იმდენად სერიოზული იყო, რომ ქალაქ ბათუმის მშრომლებმა

აღფრთხილებული შეხვედრა მოუწყვეს დეკადის მონაწილეებს რკინიგზის სადგურში, სადაც გაიმართა სახელდახელო მიტინგი. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ი. კობალაძემ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „საქართველოს დედაქალაქმა ღირსეულად შეაფასა ჩვენი ლიტერატურა, ხელოვნება. დეკადის დღეებში ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ. ყველა ის საქმიანი, მეგობრული შენიშვნა და მითითება, რომლებიც მოგვცეს, დაგვეხმარება ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებაში“.

საგულისხმო სიტყვებია. ისინი მოწმობენ, რომ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები არ კმაყოფილდებიან მოპოვებული წარმატებებით, აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით კიდევ მეტი შეუპოვრობით იბრძოლონ ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის და განუწყვეტლივ ზარდონ თავიანთი წვლილი მშობლიური ქართული კულტურის წინსვლაში.

კრებულს ერთვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი აჭარის ასსრ ხელოვნების მუშაკათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ და აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების, აგრეთვე აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

ეს საინტერესო და სასარგებლო კრებული გამოცემულია ლამაზად, მდიდარია ილუსტრაციებით.

ი. ქაშიზაძე.



2

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VIII 58 წ. საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6. შეკვეთის
№ 4702. ემ 00704. ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბილიგრაფსამმართველოს
სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22)

Батумская типолитография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

შანნი 4 835.

18.12/210


გერმანული
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ლიტერატურული ადჯარა

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ